საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.ge

№44 (279)

3 - 9 დეკემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

gazeti@inbox.ru

«ფრაუ მერკელ, 2 თქვენ, საერთოდ, სად ცხოვრობთ?»

## რღვევაი საკვირველი



## ბიუჯეტი სამასი მილიონით გაირღვევა? 4

## ხელისუფლება ხმის ამოღებას ვერ ბედავს, კოალიციას «ნაცების» შიშით გული უსკდება! 13



## «ისლამურმა სახელმწიფომ», შეიძლება, საქართველოშიც განახორციელოს დივერსიული აქტები 8

## «რა დროს გუანტანამოს პატიმრების სოციალური რეაბილიტაციაა, როცა ჩვენ აღმოგვხდა ჩვენს ქვეყანაში სული?!» 6



9 პეტრე მამრაძე:

## იმის შიშით, რომ ქვეყანაში რუსეთუმე არ გიწოდონ, ბავშვურად არ უნდა მოიქცე

„ობამა პუტინს ყირიმის გამო უფრო ნაკლებად საყვედურობს, ვიდრე ელ-ჯი-ბი-ტი-ების უფლებების დარღვევაზე სოჭის ოლიმპიადის წინ. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია“

## თურქეთი საქართველოს მიმართ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიას აწარმოებს! 3



„ბათუმის აეროპორტი თურქეთს მოხსენიებული აქვს რეესტრში, როგორც შიდა ავიამიმოსვლის აეროპორტი, საზღვარზე უვიზოდ გადმოსვლაც იმ ხელშეკრულების გამოძახილია“

5 გიორგი ვეტოსმდებელი...

11 ძმობა და მეგობრობა კინოდოკუმენტალისტ გოგა ხაინდრავას შემოქმედებაში

12 რამდენიმე ათასი კილომეტრი და რამდენიმე ათასი სულელი

14 ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა

16 «ალასანიასა და მის გუნდს საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ!»

17 «ხელისუფლებას არ სურს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება»

## დიახ, თქვენ ნამდვილად გაყიდეთ დედა! 10

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ილია მეორე: თანასწორობა კი არა, დიდი პატივისცემა უნდა ჰქონდეს ცოლს



**საქართველოს პატრიარქმა ოჯახში ძალადობისა და ქალისა და კაცის ურთიერთობებზე ისაუბრა.** „ხშირია შემთხვევა, როდესაც მამაკაცი, ქმარი, ძალადობს ცოლზე ან ცოლი ძალადობს ქმარზე. ძალიან ხშირად გვესმის, რომ საჭიროა თანასწორობა ქმარსა და ცოლს შორის. არ შეიძლება ასე მსჯელობა. თანასწორობა კი არა, დიდი პატივისცემა უნდა ჰქონდეს ცოლს, უნდა სარგებლობდეს ამ პატივისცემით ქმრის წინაშე, ქალის ეს ავტორიტეტი მუდამ მაღალი იყო საქართველოში და ეს უნდა შევინარჩუნოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქალმა, დედამ, დაიკავოს თავისი მაღალი წოდება და მაღალი ადგილი“, — განაცხადა ილია მეორემ 30 ნოემბერს, ქადაგებისას.



კახა კალაძე:

## უკრაინის ხელისუფლებაში იმ ადამიანების ხილვა, რომლებიც ძალადობრივი რეჟიმის ავტორები იყვნენ, არასასიამოვნო იქნება!

**გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უკრაინის მთავრობაში საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები თანამდებობებზე შეიძლება დაინიშნონ, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე გამოეხმაურა.**

თვითონ ფაქტი, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, რადგან საუბარია ადამიანებზე, რომლებიც იყვნენ სცენარისტები და ძირითადი ავტორები იმ ძალადობრივი რეჟიმისა, რომელიც მათ შექმნეს მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით. ყველას კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა ქვეყანაში 9 წლის განმავლობაში. თუ ასეთი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, რა თქმა უნდა, ეს იქნება მტკივნეული ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან უკრაინა მიგვაჩნია მეგობარ ქვეყნად და ვფიქრობ, ცოტა უხერხული და წარმოუდგენელი იქნება იმ ადამიანების ხილვა უკრაინის ხელისუფლებაში, რომლებიც დღეს იძებნებიან საქართველოში. ეს არ იქნება სასიამოვნო ფაქტი, თანაც მაშინ, როცა უკრაინაში საქართველოს პრემიერმინისტრის ოფიციალური ვიზიტი იგეგმება“, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ.

ბოლო დღეებია, ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინის მთავრობაში საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები თანამდებობებზე ინიშნებიან. ზოგიერთი უკრაინული მედიასაშუალება უკვე ადასტურებს, რომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი **ალექსანდრე კვიტაშვილი** იქნება, შს მინისტრის მოადგილე კი — **ეკა ზღულაძე.**



სოზარ სუბარი:

## ირაკლი ალასანიას ადგილზე, არ დაველოდებოდი, როდის გამაგდებდნენ

**დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობას ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილი მართავს.**

„ბიძინა ივანიშვილი მთავრობის მუშაობაში არ ერევა და ეს ძალიან კარგად იცის ირაკლი ალასანიამაც. მის მიმართ მაშინაც კი, როცა პრემიერმინისტრი იყო ბიძინა ივანიშვილი, მთავრობის სხდომაზე ისმებოდა მწვავე კითხვები, რომლებზეც პასუხები არ იყო. ჩემ მიმართ რომ ასეთი კითხვები დასმულიყო და მათზე პასუხები არ მქონოდა, მე, პირადად, მის ადგილზე, იმავე დღეს წავიდოდი მთავრობიდან და არ დაველოდებოდი, როდის გამაგდებდნენ. არ არის სწორი, როცა მას შემდეგ გახსენდება რაღაც, როცა გაგიშვებენ“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სარა ვაგენკნეხტი:

# ფრაუ მერკელ, თქვენ, საერთოდ, სად ცხოვრობთ?

## გერმანელმა დეპუტატმა მერკელი და ობამა ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა






**«სად იყავით, როცა აშშ ერაყში ფეხქვეშ თელავდა საერთაშორისო სამართალს იმისთვის, რომ თავისი გავლენა გაეძლიერებინა ერაყულ ნავთობზე? სად იყავით, როდესაც გერმანიის მონაწილეობით ფეხქვეშ ითელებოდა საერთაშორისო სამართალი ავღანეთში? სად იყავით, როდესაც ლიბიას ბომბავდნენ? სად იყავით, როდესაც სირიაში შეაიარაღეს ოპოზიცია, მათ შორის, დაჯგუფება «ისლამური სახელმწიფო»? ეს ყველაფერი, თქვენი აზრით, საერთაშორისო სამართალს შეესაბამებოდა?»**

**სკანდალით აღინიშნა დეპუტატის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორისა და ჟურნალისტის, გერმანიის მემარცხენე პარტიის წევრ სარა ვაგენკნეხტის გამოსვლა გერმანიის ბუნდესტაგში (პარლამენტში).**

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არსებობს რაღაც, რაც უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ფრაუ მერკელ, ვიდრე გერმანული ბიზნესის ინტერესები. ეს არის ამერიკის მთავრობისა და ამერიკული ბიზნესის ინტერესები. სიდნეიში სიტყვით გამოსვლისას თქვენ აღშფოთებული იყავით იმით, რომ ბერლინის კედლის დაცემიდან 25 წლის შემდეგ კვლავაც განაგრძობს არსებობას „გავლენის სფეროების“ კატეგორიის ძველი აზროვნება, რომელსაც ფეხები გამოჩრილი აქვს საერთაშორისო სამართლიდან. „ვის შეეძლო, ეს ეფიქრა?“ — ციტირებდნენ თქვენს სიტყვებს, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: „ფრაუ მერკელ, თქვენ, საერთოდ, სად ცხოვრობთ?“ და სად ცხოვრობდით ბოლო 25 წლის განმავლობაში? **სად იყავით, როცა აშშ ერაყში ფეხქვეშ თელავდა საერთაშორისო სამართალს იმისთვის, რომ თავისი გავლენა გაეძლიერებინა ერაყულ ნავთობზე? სად იყავით, როდესაც გერმანიის მონაწილეობით ფეხქვეშ ითელებოდა საერთაშორისო სამართალი ავღანეთში? სად იყავით, როდესაც ლიბიას ბომბავდნენ? სად იყავით, როდესაც სირიაში შეაიარაღეს ოპოზიცია, მათ შორის, დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“? ეს ყველაფერი, თქვენი აზრით, საერთაშორისო სამართალს შეესაბამებოდა?“** — განაცხადა გერმანელმა დეპუტატმა ბუნდესტაგის სხდომაზე მიმდინარე წლის 26 ნოემბერს.

## ერდოღანმა აშშ-ის «თავხედობა» და «დაუსრულებელი მოთხოვნები» დაგმო




**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ექსტრემისტების წინააღმდეგ სამხედრო კამპანიას ეწევა, თავხედობაში, უგუნურებასა და „დაუსრულებელ მოთხოვნებში“ დაადანაშაულა.**

თურქეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების ურთიერთობაში დაძაბულობა მაშინ წარმოიშვა, როდესაც ანკარამ უარი განაცხადა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაზე თურქეთის საზღვართან ახლოს მდებარე სირიის ქალაქ კობანიზე შტურმის დროს. ახლა კი ერდოღანმა აშშ თავხედობასა და ანკარაზე ზემოქმედების მცდელობაში დაადანაშაულა, — წერს Defonse News-ი.

„მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია 12 ათას კვ.კმ-ს შეადგენს, ამ რეგიონში ყოველთვის ვიღაც ცდილობს შემოსვლას“, — განაცხადა ერდოღანმა ანკარაში ბიზნესმენებთან შეხვედრისას და დასძინა: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ თავხედობის, უგუნურებისა და დაუსრულებელი მოთხოვნების“.

## დიდ ბრიტანეთში საიმიგრაციო პოლიტიკას ამკაცრებენ



**„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, იმ საიმიგრაციო ზომების მიხედვით, რომლებზეც დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა განაცხადა, ევროკავშირიდან შრომით მიგრანტებს ოთხი წლის განმავლობაში არ ექნებათ საშუალება, მოითხოვონ შეღავათები, მათ შორის, საგადასახადო დაქვითვაზე, ბავშვის დახმარებაზე და სოციალურ საცხოვრისზე.**

გარდა ამისა, მიგრანტებმა დიდ ბრიტანეთში სამუშაოს ოფიციალური შეთავაზება მანამდე უნდა მიიღონ, ვიდრე ქვეყანაში შევლენ. ის უცხოელები კი, რომლებიც ბრიტანეთში უკვე იმყოფებიან, დეპორტირებულები იქნებიან, თუ ნახევარი წლის განმავლობაში სამსახურს ვერ იშოვნიან.



## მარინ ლე პენმა საფრანგეთის პრეზიდენტს მატყუარა დონდლო უწოდა, ევროკავშირს — საპყრობილე

**პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა ტელეარხ „ევრონიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდეტ ფრანსუა ოლანდს დონდლო უწოდა და ფრანგებს ევროკავშირიდან გამოსვლისკენ მოუწოდა.**

როდესაც ჟურნალისტმა „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერს რამდენიმე პოლიტიკოსის მოკლე დახასიათება სთხოვა, მარი ლე პენმა **ფრანსუა ოლანდს** „მატყუარა დონდლო“ უწოდა, ევროკომისიის თავმჯდომარე **ჟან-კლოდ იუნკერს** — „ორპირი“, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** — „იმედგაცრუება“.

ფრანგმა პოლიტიკოსმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ევროკავშირი ამჟამად აგონებს საპყრობილეს, რომლიდანაც გამოსვლის უფლება არავის აქვს.

„კანონი ოკუპაციის შესახებ თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ითვლება ოკუპირებულად. თურქეთი ამ სიაში არ არის შეყვანილი. არადა, თურქეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გელა ხუციშვილი:

# თურქეთი საქართველოს მიმართ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიას აწარმოებს!

„ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე ვალდებულია თავისი რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების მოხაზულობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად ედგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და კეთილ მეზობლობას დაუშლის“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, თბილისი, 1919 წ.).
„რუსეთთან ტრაქტატის დადებისას (1783) ერეკლე მეორე სრულიად სამართლიანად მოითხოვდა მტრის მიერ მიტაცებული ქართული მიწების შემოერთებას. მოთხოვნიდან 45 წლის შემდეგ, 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, საქართველოს ფარგლებში მოექცა: ქობლიანი, ოძრახე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ქარმაგი, ფოცხოვი, აბოცი, და ერუშეთი. 1877-78 წლებში შემოერთებული იქნა აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ოლთისი“ —
ეს მცირე ისტორიული ექსკურსი მათთვის, ვისაც ერეკლე მეფის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერა დანაშაული ჰგონია.
რა ვითარებაა საქართველო-თურქეთის საზღვარზე? რომელი ხელშეკრულებისა და წყობის სამართალმემკვიდრედ ვითვლებით დღეს და რით ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობა? სად იწყება და მთავრდება საქართველოს საზღვრები? არის თუ არა სათანადოდ დაცული?
ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიეთ სასაზღვრო საკითხების დამოუკიდებელ ექსპერტს — **გელა ხუციშვილს.**



# «საქართველო-თურქეთის საზღვარი იწყება ვალედან და სარფამდე გრძელდება, ამას ემატება 6-მილიანი საზღვაო საზღვარი, რომელსაც თურქეთი აღიარებს. დანარჩენი კი არის ეკონომიკური ზონა და ნეიტრალური წყლები»

**— ბატონო გელა, ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან არსებულ საფრთხეებზე ვისაუბროთ. დავიწყოთ იმით, რომელ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრედ ვითვლებით.**

— ეს რთული თემაა, რომლის გარკვევაც ჯერ ვერ შევძელით, ვერ გავიგეთ, 1991 წლის 21 დეკემბერს დადგენილი საზღვრებით ვხელმძღვანელობთ თუ 1921 წლის.

ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა, რომ საქართველო არის პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. თუ ამჟამინდელი საქართველო პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა, გამოდის, რომ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება და დოკუმენტი აპელირებული უნდა ყოფილიყო პირველ რესპუბლიკაზე. **გავიდა ხანი, შეიცვალა ხელისუფლება, პოლიტიკური ვითარება, უარი განვაცხადეთ საქართველოს კუთვნილ დიპლომატიურ ქონებაზე საზღვარგარეთ, ეს ზურაბ ჟვანიას პერიოდში მოხდა. შემდგომი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმდა 1992-93 წლებში, უკვე გაუგებრობებში გვხვევს.**

1937 წელს საქართველო უკვე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, არსებობდა კონსტიტუცია, დადგენილი იყო საქართველოს ფართობიცა და ქონებაც. ამ დროს ფორმდება ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის, რომელსაც მოჰყვა სასაზღვრო კონვენცია. სწორედ იმხანად დადგინდა კონკრეტული საზღვრები, ასევე დეტალურად იყო განხილული, როგორი კონტროლი უნდა განხორციელებულიყო და რა რეჟიმი ყოფილიყო.

**1992 წლის დოკუმენტში „კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და საზღვრების ურღვევობის შესახებ“ წერია: „საქართველო და თურქეთის რესპუბლიკა გამოხატავენ ერთმანეთის პატივისცემას, აღიარებენ საბჭოთა კავშირის დროს დადებულ ყველა ხელშეკრულებასა და შეთანხმებას დაკავშირებულს სახელმწიფო საზღვართან“.**

გამოდის, რომ საქართველო 1937 წლის დოკუმენტს აღიარებს, ასევე ვაღიარებთ 1964 წლის რედემარკაციის დოკუმენტს, მაგრამ აღნიშნულ დოკუმეტში მინიშნებულია, რომ ვაღიარებთ ყარსის ხელშეკრულებასაც.

ამ ხელშერულების რატიფიცირება 1993 წელს მოხდა 10 წლის ვადით, ეს ვადა „ვარდების რევოლუციის“ დროს ამოიწურა. დოკუმნეტის რატიფიკაცია ხელახლა უნდა მომხდარიყო. დღემდე არავინ იცის, ასე რით მოიხიბლნენ „ვარდების რევოლუციის“ თავკაცები, ხელშეკრულების რატიფიკაციას ხელი კვლავ რომ მოაწერეს.

**ჩვენთვის უცნობია, რა დევს ამ ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებში, რაც დაუშვებელია. ასეთი ხელშეკჰრულებები უნდა იყოს გამჭირვალე და სახალხო რეფერენდუმის შედეგებით გამაგრებული. დაუშვებელია, ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა კულუარულად მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება.**

— საიდან იწყება საქართველო-თურქეთის საზღვარი და რამდენ კილომეტრს შეადგენს?

— **საქართველო-თურქეთის საზღვარი იწყება ვალედან და სარფამდე გრძელდება, ამას ემატება 6-მილიანი საზღვაო საზღვარი, რომელსაც თურქეთი აღიარებს. დანარჩენი კი არის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და ნეიტრალური წყლები.**

**თურქეთი, ყველას მოეხსენება, ნატოს წევრი ქვეყანაა, საქართველო კი იყო ქვეყანა, რომლიდანაც სახმელეთო მონაკვეთით საბჭოთა კავშირი ნატოს ესაზღვრებოდა, რაც, ცხადია, ნიშნავს იმას, რომ საქართველო ამიერკავკასიის ძალიან მნიშვნელოვანი სასაზღვრო ოლქი იყო. საზღვარიც გაძლიერებულად იყო დაცული — მავთულხლართებით, ელექტროგაყვანილობებით, ათმეტრიანი დახნული მინდვრებით, მოკლედ, საიმედოდ. საზღვრისპირა მოსახლოებაც დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა, ეს იყო იდეოლოგიზებული პროცესი.**

1964 წელს საზღვრების დემარკაცია მოხდა და სახლმწიფოს სიმბოლოებით აღჭურვილი ნიშნულები დაიდგა, განაკაფი გაკეთდა, რათა სივრცე ხილული ყოფილიყო, ხდებოდა ყოველწლიური შემოწმება გადაცდომის ტავიდან ასაცილებლად. 1994 წელს გაფორმდა ხელშეკრულება და კვლავ მიეცა რუსეთს უფლება, თურქეთ-საქართველოს საზღვარი დაეცვა, რაც 1998 წლამდე გაგრძელდა.

**რუსეთს თურქეთის საზღვართან ჰქონდა შექმნილი განსაკუთრებული სასაზღვრო ოლქი 10 ათასი მესაზღვრით. არ მგონია, სახელმწიფო საიდუმლო გავთქვა, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში დანარჩენ საზღვარს სულ 3 ათასი კაცი იცავდა.**

1998 წელს საქართველოს საზღვრები ქართული მხარეს სრულად დაექვემდებარა.

**1 კილომეტრი საზღვრის აღჭურვა თანამედროვე პირობებში 500-დან 800 ათასამდე ჯდება, 1998 წელს კი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ბიუჯეტი 16 მილიონი ლარი იყო, რაც მესაზღვრეების გამოსკვებად და შესამოსად არ იყო საკმარისი.** ამ პერიოდში სამხედრო ძალები განისაზღვრებოდა მოსახლეობის 1%-ით, ამაში არ შედიოდა სასაზღვრო და შინაგანი ჯარი, რომელთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრული იყო 10 ათასამდე. სულ კი საქართველოს უნდა ჰყოლოდა სამხედრო ჯარი 70 ათასი ჯარისკაცის შემადგენლობით. ეს იყო იმ კვოტით განსაზღვრული, რომელიც ამიერკავკასიაში ხელშეკრულებით დადჰგინდა.

ყველა საგუშაგო ჩავიბარეთ დარღვევებით, არ გვყავდა კონტიგენტი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა.

საქართველოში არ არსებობს რუკა, რომელზეც დატანილი იქნება, სად გადის ტერიტორიული წყლები და სად — ეკონომიკური ზონა, რომელიც უზარმაზარ სიმდიდრეს წარმოადგენს. ქართველების ცნობიერებაში არ ჯდება, რომ ჩვენ საზღვაო სახელმწიფო ვართ, რაც დიდი შეცდომაა.

**— რა ვითარებაა დღეს საზღვრის ამ მონაკვეთზე?**

— **1992 წელს საქართველო-თურქეთს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი თურქეთს ძალიან დიდ პრივილეგიებს აძლევს. ბათუმის აეროპორტი თურქეთს მოხსენიებული აქვს რეესტრში, როგორც შიდა ავიამიმოსვლის აეროპორტი, საზღვარზე უვიზოდ გადმოსვლაც იმ ხელშეკრულების გამოძახილია.**

მეზობლობის წინააღმდეგი არავინ არის, მაგრამ არ შეიძლება, სახელმწიფოს ჰყავდეს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ინტერესები, მუდმივი ინტერესი კი არის ის, რასაც გამუდმებით გვედავებიან — ტერიტორია. ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გადახედვა. წინააღმდეგ შეთხვევაში, გამოუსწორებელ შედეგს მივიღებთ.

2003 წლამდე ვითარება საზღვრებთან ჯერ კიდევ იმართებოდა და არც ისე ურიგოდ. 2003 წლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა: რადიკალურად შეცვალეს მიდგომა მიგრაციის საკითხების მიმართ; დიდი შეცდომა იყო ის, რომ აეროპორტებში, საკონტროლო-გამტარ პუნქტებში იძლეოდნენ ვიზებს; ყველაზე ძლიერი დარტყმა კი მაშინ მიაყენეს საზღვრის დაცვას, როდესაც ეს საქმე საპატრულო პოლიციას გადააბარეს, კოდორის ხეობაში რომ ყოფილიყო სამხედრო ქვედანაყოფი სასაზღვრო ჯარის სახით, ბევრ პრობლემას ავიცილებდით თავიდან.. აი, ეს გამოიწვია საზღვის დაცვის ფუნქციების გადაცემამ საპატრულო პოლიციისთვის.

დღეს საქართველოს საზღვრებთან აღარ არსებობს მკაცრი დაცვის სისტემები, ელექტრონული აღჭურვილობა აქვთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

საქართველო-თურქეთის საზღვრის მონაკვეთზე ამჟამად განუკითხაობაა, მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს აქვს საზღვრების მიმართ, არასრულყოფილია. სახელმწიფოს შემუშავებული არ აქვს კონსპირაციული დემოგრაფიული პოლიტიკა საზღვრისპირა რეგიონში.

ნუ გვავიწყდება, რომ **თურქეთში ამოქმედებულია კანონი, რომელიც ოსმალეთის იმპერიის აღდგენას ითვალისწინებს. თურქეთი საქართველოს მიმართ აწარმოებს არა აგრესიულ ქმედებებს, არამედ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიას.**

როდესაც მოვლენებსა და ფაქტებზე ვსაუბრობთ, მკაცრად ობიექტურები უნდა ვიყოთ, კანონი ოკუპაციის შესახებ თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ითვლება ოკუპირებულად. თურქეთი ამ სიაში არ არის შეყვანილი. არადა, თურქეთმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. რა მნიშვნელობა აქვს, როგორი დიპლომატიური ურთიერთობა გვაქვს, აუცილებელია, ობიექტური ვიყოთ.

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან **მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც, კონსტიტუციით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტია: დაინტერესდით ამ საკითხებით, რათა იცოდეთ რეალური სურათი!**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინმემ იანგარიშა, რამდენი მილიონი შედის ხალხის ჯიბიდან მხოლოდ იუსტიციის სახლიდან სრულიად მარტივი მომსახურების საფასურის სახით? ესეც „ნაციონალების“ მიღწევაა, რომელზეც არც ახალ ხელისუფლებას უთქვამს უარი. ან როგორ უნდა შეაფასონ ბიუჯეტის მდგომარეობა ერთნაირად პენსიონერებმა და მაღალი თანამდებობის პირებმა, რომელთა შემოსავალი ასი ათასობით ლარს აღწევს წელიწადში?**

# რღვევაი საკვირველი

## ბიუჯეტი 300 მილიონით გაირღვევა?

**საქართველოში ახალი აპოკალიფსური მოლოდინის ავტორი, რაღა თქმა უნდა, კვლავ „ნაციონალური მოძრაობაა“. ამჯერად ბიუჯეტის „რღვევაი საკვირველს“ აანონსებენ. მათი ვერსიით, იმისთვის, რომ 2014 წლის ბიუჯეტის გეგმა შესრულდეს, ფინანსთა სამინისტრომ ორ თვეში 2 მილიარდამდე ლარის მობილიზება უნდა შეძლოს. ოქტომბერში ბიუჯეტში მხოლოდ 670 მილიონი ლარი შევიდა. აქედან გამომდინარე, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ბიუჯეტის შესრულებას 300 მილიონამდე ლარი დააკლდება.**

ამ ვერსიით, როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ დაკმაყოფილდა და რამდენიმე დღის წინათ კიდევ უფრო პირქუში პროგნოზი გააკეთა. **„ნაცმოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ გვამცნო, რომ ბიუჯეტი არა 300, არამედ 700-800 მილიონით გაირღვევა.** შარშან გარღვევა 640 მილიონი იყო, თავდაპირველად პროგნოზირებული 300 მილიონი ორჯერ ნაკლებია, ამიტომ უფრო დიდი რიცხვი უნდა დასახელდეს, ანუ — 700-800 მილიონი.

ციფრებით თამაში ახალი გამოგონება ნამდვილად არ არის. როცა გინდა, მსხვილფეხა საქონელს თავებით დაითვლი, როცა გინდა – კილოგრამობით, ხოლო ძალიან თუ გაგიჭირდა, ფეხებს დაუთვლი და ოთხჯერ მეტი გამოგივა. ამ შემთხვევაშიც ასეა.

კატასტროფულ პროგნოზს არ იზიარებს **პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ოპოზიციაში ახლახან გადასული „თავისუფალი დემოკრატების“ გუნდის წარმომადგენელი *დავით ონოფრიშვილი.*** მისი განცხადებით, ბიუჯეტს შეიძლება 150 მილიონი ლარი დააკლდეს, თუმცა ესეც მხოლოდ წლის ბოლოს გამოჩნდება.

**იოსებ არჩვაძე, გლობალური კვლევების ცენტრის თანადამფუძნებელი, ექსპერტი:**

„ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდე და შესაბამისი გეგმის შესრულება დამოკიდებულია როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ფაქტორებზე. ობიექტურ გარემოებებს მიეკუთვნება ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდე და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადები, საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო ტვირთის დონე. სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვისა და შესრულების პროცესი, რომელიც, მიუხედავად კანონის ძალისა და შესრულებისთვის აუცილებელი მოთხოვნისა, ხშირად ირღვევა და ხელისუფლება და ფინანსთა სამინისტრო ამის ახსნასა და „ობიექტურ გარემოებებზე“ აქცენტირებაზე, მგონი, იმაზე ნაკლებ დროსა და ძალისხმევას არ ხარჯავენ, ვიდრე თვითონ პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურიდან გამომდინარე, ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს და მასზე დამყარებულ სახელმწიფო ბიუჯეტს ახასიათებს ზრდის მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია კვარტლების მიხედვით, ანუ წლის მთლიანი შიგა პროდუქტი კვარტლების მიხედვით თანაბრად (25-25%-ად) კი არ იყოფა, არამედ მზარდი ტენდენცია ახასიათებს. მაგალითად, 2013 წელს პირველ კვარტალში წარმოებული იქნა 2013 წლის მშპ-ის მხოლოდ 21,5%, მეორეში — 25,2%, მესამეში — 25,2%, მეოთხეში კი — 28,1%. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიც დაახლოებით ანალოგიურად ნაწილდებოდა: 2013 წლის იანვარ-სექტემბერზე წლიური შემოსავლების 71,6 პროცენტი მოვიდა, მეოთხე კვარტალზე — 28,4 პროცენტი. ანალოგიურ ტენდენციაა მიმდინარე წელსაც. შემიძლია, გითხრათ, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულებულია 73,3%-ით (მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების — 73,9%-ით), ანუ მეოთხე კვარტალში მობილიზებული უნდა იქნას წლიური გეგმის 26,7% (გადასახადების 26,1%), რაც, გასული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ძნელი შესასრულებელი. შემოსავლების მობილიზაციის მიხედვით, წინა წელთან შედარებით, 2014 წლის მეოთხე კვარტალის სიმძიმე 1,7 %-ით ნაკლებია (შესაბამისად, 26,7% და 28,4%).

გეგმის შესრულებაში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა ხარჯვის მხრივ: 9 თვეში ათვისებულია წლიური გეგმის მხოლოდ 69,1% (გადასახდელების მიხედვით, წლიური გეგმა კიდევ უფრო ნაკლებადაა შესრულებული — 68,1%). მართალია, ეს უკეთესია გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებლებზე (2013 წელს, შესაბამისად, 67,0% და 65,7%), მაგრამ იგი არ იძლევა თვითდამშვიდების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ წლიური გეგმის შესასრულებლად წლის დარჩენილ დროში ხარჯების მასშტაბები, წლის წინა თვეების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, 1,4-ჯერ და მეტად უნდა გაიზარდოს, წლიური გეგმის შესრულება საკმაოდ პრობლემური იქნება. მაკროეკონომიკური კუთხით, წლიური გეგმის შესასრულებლად **წლის დარჩენილ პერიოდში ხარჯების ფორსირებული ზრდა, ეკონომიკის ზრდის დაგეგმილი (სასურველი) ტემპის მიუღწევლობასაც რომც დავანებოთ თავი, პირდაპირ ახდენს ინფლაციის პროვოცირებას. ამას გარდა, იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ვალუტის კურსის სტაბილურობასაც.**

აქ საყურადღებო კიდევ ერთი საკითხია, რომელიც სცდება ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას და ზოგადად მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და პოლიტიკის ეფექტიანობას ეხება. 2014 წელს ბიუჯეტის შემოსავლები წინა წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს მხოლოდ 7%-ით, მათ შორის, გადასახადები — 8,5%-ით, ეკონომიკის ნომინალური ზრდა გათვალისწინებულია 8,7 %-ის დონეზე (რეალურ განზომილებაში — დაახლოებით 5%-ის ფარგლებში). ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **ხელისუფლების წნეხისა და ტერორისგან ბიზნესის გათავისუფლების შემდეგ ეკონომიკა რატომ ახდენს ზრდის ასეთი დაბალი, „უღიმღამო“ ტემპების დემონსტრირებას?!** იქნებ, შესაცვლელია ის პოლიტიკა, რომელსაც 2012 წლის ოქტომბერში მოსული აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს და მეტი ყურადღების კონცენტრირებაა საჭირო არა მხოლოდ ბიუჯეტის გეგმის შესრულებაზე, მისი ცალკეული კომპონენტებისა და უწყებების მიხედვით, არამედ, საზოგადოდ, ეკონომიკური პოლიტიკის ავკარგიანობასა და წარმატების ძიების ახალი, კრეატიული და რეფორმატორული ფორმების ძიებაზე?!“




**ეს «რღვევაი საკვირველი», რომელზეც «ვარდების რევოლუციონერები» აპელირებენ, სინამდვილეში ხალხზე ზრუნვას კი არა, ხელისუფლების რევოლუციურ რღვევას ისახავს მიზნად და, ვინც ამას ვერ ხვდება, ან მიამიტია, ან თავს ისულელებს**

რაღაც რომ შესაცვლელია, ამას ყველა ხვდება, მაგრამ ხელისუფლება ინერციით სვლას განაგრძობს და წინამორბედების კრიტიკას იმკის. ხალხი, რომელიც საკუთარ ბიუჯეტს არც მილიარდებში ითვლის, არც მილიონებში და არც ასი ათასებში, როგორც ჩვენი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ნეგატიური წინასწარმეტყველებებითა და მათზე საკმაოდ უფერული თავის მართლებით, კიდევ უფრო იზაფრება. არადა, **ჯანდაცვის ხარჯები კიდევ 127 მილიონით გაიზარდა, იმატებს პედაგოგთა ანაზღაურებაც. „ნაციონალები“ გაიძახიან, თქვენი 10-ლარიანი დანამატი პენსიაზე ინფლაციამ უკვე შეჭამაო, მაგრამ რომ არ დაემატოს, განა უკეთესი იქნება? — „ნაციონალებისთვის“ — კი, პენსიონერებისთვის — არა.**

**მიხეილ მაჭავარიანი მწყაზარი სახით გვამცნობს, რომ „ბიუჯეტი ეკონომიკის ზრდის ხარჯზე კი არა, მთავრობის მიერ აღებული ვალების ხარჯზე იზრდება“. თითქოს გასული 9 წლის განმავლობაში საქართველო სილიკონის ველად ექციოთ და სულ „ეკონომიკის ზრდით“ გაზარდეს ბიუჯეტი!**

ახალი ხელისუფლება ნელნელა ძველდება, მაგრამ „ნაციონალური“ ხიბლიდან ჯერაც ვერ გამოსულა. ყოფილმა მმართველმა პარტიამ ისინი დაარწმუნა, რომ ქვეყანა დღესაც მათი „მიღწევებით“ ამაყობს, ახლებს კი არაფერი დაუმატებიათ — მეტიც, ეკონომიკა საერთოდ გაჩერდა, ანუ გაჩერდა ის, რაც ისედაც არ იყო! გაზრდილი ბიუჯეტი, რომლითაც დღემდე ტრაბახობენ „ნაციონალები“, რეალურად მოსახლეობიდან ამოღებული თანხების ქაღალდზე გადატანას წარმოადგენდა. რეალურად არაფერი გაზრდილა. ეს დაახლოებით იმავე სახის აფერაა, როგორიც სააკაშვილის ხანაში ბიზნესის წამოწყების სიიოლით ჩემპიონობა. ბავშვმაც კი იცოდა, რომ ბიზნესი მხოლოდ ყოფილი მმართველი გუნდისა და მასთან დაახლოებული მანამდე უჩინო პირების ხელში იყო, მაგრამ მსოფლიო ბანკის დასანახად ბიზნესის დარეგისტრირება გაამარტივეს. თუმცა რად გინდა ქაღალდზე რეგისტრირებული „ბიზნესი“, თუ მას შემოსავალი არ მოაქვს არც პატრონისთვის და არც სახელმწიფო ბიუჯეტისთვის?

**ვინმემ იანგარიშა, რამდენი მილიონი შედის ხალხის ჯიბიდან მხოლოდ იუსტიციის სახლიდან სრულიად მარტივი მომსახურების საფასურის სახით? ესეც „ნაციონალების“ მიღწევაა, რომელზეც არც ახალ ხელისუფლებას უთქვამს უარი. ან როგორ უნდა შეაფასონ ბიუჯეტის მდგომარეობა ერთნაირად პენსიონერებმა და მაღალი თანამდებობის პირებმა, რომელთა შემოსავალი ასი ათასობით** ლარს აღწევს წელიწადში?

**ადამიანები მსოფლიო ბანკის შეფასებებსა და პოლიტიკური ელიტის განცხადებებზე უკეთ ბიუჯეტის შესახებ საკუთარი ცარიელი ჯიბითა და მაცივრებით მსჯელობენ. „გარღვევაზე“ მეტად ხალხს ის უფრო უნდა აინტერესებდეს, რატომ ვერ ითვისებენ სამინისტროები მათთვის გამოყოფილ თანხებს.**

მაგალითად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების, ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად პარლამენტმა 917 მილიონ ლარამდე დაუმტკიცა. აქამდე სამინისტროს 286 მილიონი ლარი აქვს ასათვისებელი. მოთხოვნილ თანხას ვერ ხარჯავს განათლების სამინისტროც, რომელსაც 754 მილიონი ლარის დაფინანსებიდან 208 მილიონი ლარი აქვს დასახარჯი. თანხის ათვისების პრობლემა დგას თავდაცვის სამინისტროშიც. 2015 წლის ბიუჯეტში, თავდაცვისთვის თანხის ჩამოკლების გამო, მთავრობამ კრიტიკა მიიღო, არადა, წლევანდელი ბიჯეტის ათი თვის ანგარიშში ჩანს, რომ სამინისტრო თანხებს წელსაც ვერ ითვისებს. თავდაცვას 673 მილიონი ლარიდან 531 მილიონი ლარი აქვს მიღებული, ანუ გეგმა რომ შეასრულოს, ორ თვეში 141 მილიონი ლარის დახარჯვა უნდა მოასწროს.

**მაინც რატომ ვერ ითვისებს თანხებს ხელისუფლება? საკუთარი თავისთვის დანამატებისა და პრემიების ათვისება მათ სულაც არ უჭირთ. ეს აუთვისებელი თანხები კი, პირველ რიგში, სწორედ მოსახლეობაზე აისახება. ერთ-ერთი მიზეზი ყოფილი პრემიერის განცხადებაში უნდა ვეძებოთ, როდესაც მან თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია დაადანაშაულა „ნაციონალური“ კომპანიისთვის რამდენიმე მილიონის დაკვეთის მიცემაში. ე. წ. კაბელების საქმეს სწორედ ასეთი სარჩული აქვს. საბიუჯეტო სახსრებზე წურბელებივით მიმჯდარი „ნაციონალური“ კომპანიები წლების განმავლობაში წოვდნენ ფულს და ტენდერებს უპრობლემოდ იგებდნენ.**

არც ერთი „იოლად დარეგისტრირებული“ ბიზნესკომპანია მათ ახლოსაც არ მიუშვიათ ტენდერებთან. ახლაც მათ აქვთ პრეტენზიები სახელმწიფო ტენდერების მოგებაზე, რადგან 10 წლის განმავლობაში მხოლოდ მათ შეიქმნეს ბიზნესბიოგრაფია. **ახალი ხელისუფლება არჩევანის წინაშე დგას: ან ისევ „ნაციონალები“ კვებოს ბიუჯეტიდან, ან ახალ სუბიექტებს მისცეს გასაქანი. თუმცა არის მესამე გზაც — ახალი სუბიექტები, იმავე სქემით, ახლა უკვე ახალ ხელისუფლებასთან იყვნენ ისეთივე კავშირში, როგორც ძველები – ყოფილთან.**

არის ასეთი პიესა – „რღვევა“, რომელიც 1917 წლის რევოლუციის მოვლენებს ასახავს. მის სიუჟეტს საფუძვლად კრეისერ „ავრორაზე“ განვითარებული მოვლენები დაედო. ეს „რღვევაი საკვირველი“, რომელზეც „ვარდების რევოლუციონერები“ აპელირებენ, სინამდვილეში ხალხზე ზრუნვას კი არა, ხელისუფლების რევოლუციურ რღვევას ისახავს მიზნად და, ვინც ამას ვერ ხვდება, ან მიამიტია, ან თავს ისულელებს.

**ვისაც ბიუჯეტი და ეკონომიკის რეალური ზრდა აინტერესებს, რეალური ციფრები შეაფასოს: 2012 წლის ოქტომბერში ევროკომისიის დაკვეთით ჩატარდა საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტების მოდელირება. გამოკვლევით, მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – 4,3 %-ით, ასევე, მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით ზრდა იყო დაანონსებული. შედარებისთვის: მხოლოდ 2014 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ექსპორტის ზრდამ 23% შეადგინა. ეს კი დიდწილად გამოწვეული იყო მხოლოდ რუსეთის ბაზრის არასრული გახსნით.**

**აი, ასეთია რეალობა, დანარჩენი ოდენ სიტყვებია და სხვა არაფერი!**

**ნიკოფსიას ეგ ვერ აიღებს, გელათს ვერ ააშენებს, შესაბამისი უფლებები და შესაძლებლობები არ აქვს და არც არასოდეს ექნება. აქვს ვეტოს დადების უფლება და იყენებს ისე, როგორც მთვრალი უმცროსი კლერკი — ორგანიზაციის ბეჭედს, რომელიც უფროსს შემთხვევით მაგიდაზე დარჩა.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გიორგი ვეტოსმდებელი, როგორც მეექვსე ელემენტი

**გიორგი ვეტოსმდებელი — სწორედ ამ სახელით შეიძლება შევიდეს პრეზიდენტი მარგველაშვილი საქართველოს მრავლისმნახველ ისტორიაში. მართალია, „ვეტოსმდებელი“ ისე ამაყად არ ჟღერს, როგორც „აღმაშენებელი“ ან „ბრწყინვალე“, მაგრამ „ჰალსტუხიჭამიას“ ნამდვილად სჯობს. ვერაფერს ვიზამთ, ცხოვრება ასეა მოწყობილი, ზოგი ბრწყინავს, ზოგი კი ადებს და სხვაგვარად არ ძალუძს.**



პრინციპში, სხვა რა უნდა ქნას? ნიკოფსიას ეგ ვერ აიღებს, გელათს ვერ ააშენებს, შესაბამისი უფლებები და შესაძლებლობები არ აქვს და არც არასოდეს ექნება. აქვს ვეტოს დადების უფლება და იყენებს ისე, როგორც მთვრალი უმცროსი კლერკი — ორგანიზაციის ბეჭედს, რომელიც უფროსს შემთხვევით მაგიდაზე დარჩა. ვისაც არ უნახავს მთვრალი კლერკი ბეჭდით მარცხენა ხელში და კალმისტრით — მარჯვენაში, შეუძლია, სიტყვაზე მენდოს – ნამდვილად ჰგავს (ფურცელი არ დატოვა ოთახში ბეჭდისა და ხელმოწერის გარეშე, თანაც პროცესში თავს ბედნიერად გრძნობდა).

**ყველაზე თანმიმდევრული „ბიძინისტებიც“ კი ხშირად საყვედურობენ ივანიშვილს იმის გამო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი შეარჩია, რომელიც ემოციური (თუ არა ისტერიული) რეპლიკებით სულ უფრო ხშირად უპირისპირდება „ქართულ ოცნებას“, მაშინაც კი, როდესაც წარმატების მიღწევის იოტისოდენა შანსიც არ აქვს. თუმცა, შესაძლოა, ივანიშვილს პრეზიდენტად სწორედ ასეთი პიროვნება სჭირდებოდა, რომელიც, ერთი მხრივ, საკმარისად თავმოყვარეა იმისთვის, რომ აშკარა მარიონეტის როლს არ შეეგუოს, მაგრამ, მეორე მხრივ, არასაკმარისად გამბედავი და ძლიერი იმისთვის, რომ დამოუკიდებელი თამაში წამოიწყოს.** რამდენადაც არ შეესაბამება ასეთი ფიგურა ფართო მასებში გავრცელებულ სტერეოტიპებს „ნამდვილი პრეზიდენტის“ შესახებ, იმდენად მოსახერხებელია მისი გამოყენება მრავალფეროვანი კომბინაციებისთვის და, ალბათ, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებაზე სააკაშვილისა და ივანიშვილის მიდგომებს შორის პოლიტიკის მიმართ. **სააკაშვილს არ ესმოდა, რომ მმართველი პარტიის პოზიციების გაძლიერება რეჟიმის გაძლიერების ტოლფასი არ არის და მან შეიძლება მთელი სისტემის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ივანიშვილი კი ცდილობს, მართოს სისტემა მთლიანობაში და „ქართულ ოცნებას“ თუ აღმასრულებელ სტრუქტურებს ერთადერთ ინსტრუმენტად არ განიხილავს.** უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დღეს შექმნილ სიტუაციაში სააკაშვილი დანიშნავდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს იმისთვის, რომ „ნაცმოძრობას“ 70-80% აეღო, შემდეგ კი პრეზიდენტად დავით ბაქრაძის მსგავს 100%-ით პროგნოზირებად და კონტროლირებად პერსონაჟს გაიყვანდა. ოდნავ მოგვიანებით კი, ალბათ, გულწრფელად გაუკვირდებოდა, რატომ ინგრევა ასე სწრაფად ერთი შეხედვით „ჩაბეტონებული“ რეჟიმი. **ივანიშვილი, თავის მხრივ, არ აღიქვამს სახელისუფლო პარტიას, როგორც ტანკს, რომელმაც ყველას და ყველაფერს უნდა გადაუაროს და, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ მისი არაპროპორციული გაძლიერება ნებისმიერ ფასად ხელისუფლებას სწრაფი დეგრადაციის გზით წაიყვანს, ამიტომ რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს (ცხადია, ფორმალურად ამას სხვა გააკეთებს) არა იმისთვის, რომ „ოცნებამ“ მანდატების ორი მესამედი ან სამი მეოთხედი მოიპოვოს, არამედ იმისთვის, რომ სისტემა უფრო მართვადი და სტაბილური გახდეს. ამ მიდგომის ფარგლებში მნიშვნელობა აქვს არა კონკრეტული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას, არამედ იმას, თუ როგორი იქნება ზოგადი სურათი მომავალ პარლამენტში.**

საერთოდ, სიტუაცია, როდესაც ძალთა განლაგება პარლამენტში არ ასახავს ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის თანაფარდობას და, ასე ვთქვათ, „იდეოლოგიურ მრავალფეროვნებას“ საზოგადოებაში, არანორმალურია და დაძაბულობას ქმნის. **თავის დროზე „ქართული ოცნება“ შეიქმნა, როგორც სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა ერთიანი ფრონტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან ძირითადი ამოცანა შეასრულა, დაიწყო მისი დაშლის სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური პროცესი.** კონსერვატიზმსა და ტრადიციონალიზმზე, ზომიერ ნაციონალიზმზე, „ნაცმოძრაობასთან“ რადიკალურ დაპირისპირებაზე, აგრეთვე, ნეიტრალიტეტსა და რუსეთთან კარგ ურთიერთობაზე ორიენტირებული „ოცნების“ ამომრჩევლების ნაწილი წავიდა ბურჯანაძესთან, „პატრიოტთა ალიანსთან“, ზოგიერთ სხვა ჯგუფთან. სწრაფ ვესტერნიზაციაზე, **ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და (შესაბამისად) რუსეთთან კონფრონტაციაზე ორიენტირებული ამომრჩევლების ნაწილი ახლა ალასანიასთან მიდის (ალბათ, ყველამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ალასანია კოალიციიდან „გააცილეს“ ისე, რომ დარჩენის თეორიული შანსიც კი არ დაუტოვეს; ეს იყო ერთგვარი „იძულება დაშორებისადმი“). მალე, სავარაუდოდ, რესპუბლიკელებიც წავლენ. დღეს მათი და „ქართული ოცნების“ (იგულისხმება პარტია და არა კოალიცია) ერთად ყოფნა მმართველ კოალიციაში ისევე უცნაურად და არაბუნებრივად გამოიყურება, როგორც სერბეთისგან და ჩერნოგორიისგან შემდგარი იუგოსლავია სხვა რესპუბლიკების გარეშე** (იყო ასეთი ხანმოკლე პერიოდში). ან თვითონ წავლენ, ან ამის გაკეთებას აიძულებენ ისევე, როგორც ალასანიას, და ისინიც იმავე „პროდასავლურ ფლანგზე“ გადაინაცვლებენ. ახალი არჩევნები შეიძლება პროცესის დაგვირგვინებად ჩავთვალოთ, რომელიც მთელ ამ დისპოზიციას ცენტრში დარჩენილი მმართველი პარტიით და ერთმანეთთან დაპირისპირებული „ფლანგებით“ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაიტანს და ამით დაასრულებს ბიპოლარული მოდელის („ოცნება“-„ნაციონალები“) დემონტაჟის პროცესს. სხვათა შორის, ლათინური ამერიკის ისტორია ნათლად ადასტურებს, რომ მსგავსი მოდელი სუსტ ქვეყნებში უცხო სახელმწიფოების უხეში ჩარევისა და სამოქალაქო ომის დაწყების საფრთხეს მნიშვნელოვნად ზრდის.

აქ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სააკაშვილისა და ივანიშვილის მიდგომა პოლიტიკური პროცესის მართვის მიმართ. სააკაშვილის მსოფლმხედველობის ფარგლებში მომავალ არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ (მაგალითად) 45%-ის აღება, მისი მარცხისა და ახალი ხელისუფლების მოახლოებული „ჩამოშლის“ უტყუარი ნიშანი იქნება. მაგრამ თუ ამავე დროს დანარჩენი ხმები „ფლანგებზე“ დაახლოებით ასე გადანაწილდება — 25% ალასანია-რესპუბლიკელების ალიანსსა და „ნაციონალებს“ და იმდენივე ბურჯანაძესა და „პატრიოტთა ალიანსს“ (პლუს-მინუს რამდენიმე პროცენტი), **ხელისუფლების მდგომარეობა, სავარაუდოდ, გაცილებით უსაფრთხო გახდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით 70-80%-ს აიღებდა და მალევე გადაიქცეოდა აღმასრულებელ სტრუქტურებთან შერწყმულ მონსტრუოზულ სახელისუფლებო პარტიად, როგორც ეს „ნაცმოძრაობას“, უფრო ადრე კი „მოქკავშირს“ დაემართა.**

კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ამ ხუთი ელემენტისგან შემდგარ მოდელს (შეიძლება, სხვაც დაემატოს, უბრალოდ, ფრაგმენტაცია, სავარაუდოდ, არ გასცდება გონივრულ ჩარჩოებს). აშკარაა, რომ **ფლანგებზე, მაგალითად, „ალასანია-რესპუბლიკელების“ ბლოკსა და „ნაცმოძრაობას“ შორის, მიზნობრივი 20-30 პროცენტისთვის გააფთრებული ბრძოლა გაიმართება და იგივე მოხდება კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ „ფლანგზეც“. იმ სიტუაციაში, როდესაც ამ პირობითი „ფლანგების“ შიგნით და ამავე დროს მათ შორის სერიოზული დაპირისპირება იქნება, ცენტრში დარჩენილი სახელისუფლებო პარტია, სავარაუდოდ, უპრობლემოდ მიაღწევს მთავრობის თუ ბიუჯეტის დამტკიცებას და საკონსტიტუციო ცვლილებებსაც კი, ჩამოთვლილთაგან რომელიმე ძალასთან სიტუაციური თანამშრომლობის ხარჯზე. ამასთანავე**, მას შესაძლებლობა მიეცემა, წარმოაჩინოს თავისი კურსი, როგორც „ოქროს შუალედი“ ერთმანეთთან დაპირისპირებული „ფლანგების“ რადიკალური (და ურთიერთსაწინააღმდეგო) მოწოდებების ფონზე. პლუს ამას, — ეს კონფიგურაცია გამორიცხავს ფართო ანტისახელისუფლებო ფრონტის შექმნას შემდეგი არჩევნებისთვის ან „მაიდნისთვის“. საზოგადოება მიიღებს საინტერესო დებატებს ჭრელ პარლამენტში, რომელიც, ასე თუ ისე, ადეკვატურად ასახავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის შეხედულებებს და პრობლემა (თუ ივანიშვილს დასჭირდება) არც მისი პარალიზება იქნება. არა ერთი სიგნალი მიუთითებს იმაზე, რომ ამ მიმართულებით მივდივართ, მაგრამ **გაურკვეველია, როდის მივიღებთ ასეთ პარლამენტს — 2016-ში თუ რიგგარეშე არჩევნების შემდეგ. რამდენად აძლევს ხელს ივანიშვილს დროის გაწელვა, მაშინ, როდესაც უკმაყოფილება ღარიბაშვილის მთავრობის მოქმედებით თანდათან იზრდება?**

აქვე შეიძლება გაჩნდეს კიდევ ერთი კითხვა — **რა შუაშია ის მთვრალი კლერკი, უკაცრავად, მისი აღმატებულება გიორგი ვეტოსმდებელი („ს მეჩამი ი ს ბანტომ“)? გამორიცხული არ არის, რომ ის შეასრულებს ერთ-ერთ მთავარ როლს მართვად კრიზისში, რომელსაც კოალიციის საბოლოო დაშლა და, შესაძლოა, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მოჰყვება.** გასული კვირის ვნებები „მოსმენების კანონპროექტის“ და ვეტოს გარშემო (ყურადღება მივაქციოთ რესპუბლიკელების ორაზროვან პოზიციას) შეგვიძლია მომავალი მოვლენების ერთგვარ წინასახედ ჩავთვალოთ. ზოგადად კი, **მარგველაშვილმა ბოლო ხანს მართვადი ოპოზიციონერობის, გნებავთ, კონფორმისტული დისიდენტობის ერთგვარი „ეტალონი“ შექმნა.**

ამასთანავე, მან არამხოლოდ ჩაუნერგა **„ნაციონალებს“ ცრუ იმედები ხავერდოვან გადატრიალებაზე (და ამით ერთობ დააშორა რადიკალურ გეგმებს), არამედ ჩაითრია რიგი არასამთავრობოები უცანურ თამაშში, რომლის ფარგლებში მისი (არსებითად უსარგებლო) ვეტო თუ კომენტარი განიხილება, როგორც ზემნიშვნელოვანი ფაქტორი.** ერთი მხრივ, ის ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქართველოში გაქანებული დემოკრატიული პლურალიზმია; მეორე მხრივ, ივანიშვილისთვის პრინციპულ საკითხებში სწრაფად უკან იხევს. **ეს ქცევა, უპირველესად, ალბათ, მარგველაშვილის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარეობს – ის საკმარისად ამბიციურია იმისთვის, რომ უნებისყოფო მარიონეტის როლს არ შეეგუოს, მაგრამ მოკლებულია შეუპოვარი მებრძოლისთვის აუცილებელ თვისებებს. საერთოდ, ვინ და რატომ დაასკვნა, რომ ივანიშვილს პრეზიდენტად, მაინც და მაინც, ყურმოჭრილი მარიონეტი სჭირდებოდა?** შესაძლოა, ეს დასკვნა ახალ რეალობაზე სააკაშვილის დროინდელი სტერეოტიპების მექანიკური პროეცირების შედეგს წარმოადგენდა.

რბილი ავტორიტარიზმის პირობებში დემოკრატიული ფასადის შენარჩუნება და თანმდევი ილუზიების გაძლიერება არც ისე იოლია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პარალელურად ახალი სისტემის გამყარებაზე ზრუნავ და ყოველდღიურად ებრძვი ცდუნებას, ყველა პრობლემა უხეში დიქტატორული მეთოდებით გადაწყვიტო. სააკაშვილმა ამ ცდუნებას ვერ გაუძლო, გაუძლებს თუ არა ივანიშვილი? ბევრი რამ ცხადი მას შემდეგ გახდება, როდესაც ის საკუთარ პოზიციას მმართველი პარტიის მომავალზე აშკარად გამოხატავს. **„ხუთელემენტიანი პარლამენტის“ ჩამოყალიბება ზემოაღწერილი კონფიგურაციით (პლუს ამას „მეექვსე ელემენტი“ მარგველაშვილის სახით) საწყის ეტაპზე საკმაოდ დახვეწილ თამაშს და პოლიტიკურ მიკრომენეჯმენტში ჩარევას მოითხოვს, მაგრამ საბოლოოდ შეიძლება გაცილებით მდგრადი (თანაც „უფრო ადამიანური“) სისტემის შექმნით დაგვირგვინდეს, ვიდრე „სააკაშვილის სახელობის ალგორითმი“ და ფაქტობრივ ერთპარტიულობაზე გადასვლა მოიტანდა.** საბოლოო პასუხს ყველა დასმულ კითხვაზე ჩვენ, სავარაუდოდ, 3-4 თვეში მივიღებთ; უფრო ადრე, უბრალოდ, არ გამოვა, თუნდაც იმიტომ, რომ მართვადი დემოკრატია ლობიობა როდია.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს პრეზიდენტი რომ გქვია, როგორ შეიძლება, გიგა ბოკერიას მეგობარი იყო?! თანაც პრეზიდენტი იმ ხალხისა, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ბოკერია და მისნაირები სიცოცხლეს უმწარებდნენ? ბოკერიასა და მთელი „ნაცმოძრაობის“, ანუ ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შეკრებაზე რომ მიდიხარ პრეზიდენტი კაცი, ამას სხვა რამ ჰქვია“.**



დავით სოკოლოვი:

# რა დროს გუანტანამოს პატიმრების სოციალური რეაბილიტაციაა, როცა ჩვენ აღმოგვხდა ჩვენს ქვეყანაში სული?!

**„დამსახურებული პენსიით ვცხოვრობ, სულ რაღაც, 150 ლარით, მაგრამ არა უშავს, ქვეყანაში ჩემს პენსიაზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემებია მოსაგვარებელი“, — ღიმილით გვითხრა ინტერვიუს ჩაწერის წინ ცნობილმა ტელედიქტორმა დავით სოკოლოვმა, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესები კრიტიკულად შეაფასა:**

— ბევრს აღიზიანებს, ხელისუფლება ამდენს რომ აყეფებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს, მაგრამ, ასე რომ არ მოქცეულიყო, შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო — პროვოკაციას ვგულისხმობ. დღეს ყველას ერთბაშად მოცილება საკმაოდ რთულია. არადა, ხალხს ხომ ყოველთვის გვეჩქარება? არც გაგვემტყუნება, რადგან იმდენ ხანს ვითმინეთ სააკაშვილის პარპაში და იმდენ გაჭირვებას გავუძელით, ვერავინ დაგვძრახავს, გულისწუხილის რომ გამოვთქვამთ. თუმცა დაფიქრებაც გვმართებს და ცოტა მოთმინებაც. რთულია მიწასთან გასწორებული სახელმწიფოს ფეხზე დაყენება. **მეც მეჩქარება, ორი წუთიღა დამრჩა ამ ქვეყანაზე და მეც მინდა, რამეს მოვესწრო.** „ნაცმოძრაობისგან“ ყველაზე ძალიან ის მაღიზიანებს, რომ ხელისუფლების კრიტიკისა და ბრალდების წაყენების მეტს არაფერს აკეთებს. **ხელისუფლება ვალდებულია, საზოგადოების რიგითი წევრებისგან მიიღოს საყვედური, მაგრამ როგორ შეიძლება, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა საერთოდ ხმა ამოიღონ?“**

დიახ, ეს ხელისუფლების ბრალია, ამდენს რომ ალაპარაკებენ, ამიტომ უნდა აღდგეს კანონიერება და სამართალი. შეიძლება ეს ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება კიდეც, მაგრამ არა ისეთი ტემპით, როგორითაც ხალხს სურს. ეს გამოუცდელობის ბრალიც არის. დღეს რაში იკარგება დრო? „ნაცები“ ყვირიან, რაღაცებს აბრალებენ, ხელისუფლება კი პასუხს სცემს.

**— საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე რას ფიქრობთ?**

— სახარბიელოს — არაფერს. **ხომ გაირკვა, რომ ევროკავშირი უკვე ნახევრად მკვდარი ორგანიზაციაა, რომლისგანაც საქართველო, უარყოფითის გარდა, ვერაფერს მიიღებს.** თავის ბაზარზე ჩვენ არ გვიშვებს და არც შეგვიშვებს. რუსეთის ბაზარი, როგორც იქნა, ასე თუ ისე, გაიხსნა და ამის გამო „ნაციონალები“ კივიან და წივიან. **მაია ფანჯიკიძის „შალახო“ და პარაფირება თამაში იყო, დასავლეთის აღშფოთებისა არ იყოს ან რა გვეევროკავშირება?!** რამდენიმე ქვეყანამ ამ ორგანიზაციიდან გასვლის სურვილი გამოთქვა და ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებასაც აპირებს.

**— მაშ, რას მიაწერთ საქართველოს ხელისუფლების ლტოლვას ევროკავშირისკენ?**

— საქართველო ამ მხრივ არა მცდარ, არამედ იძულებით გზაზე დგას. ახლა თურმე, ნატოს თუ ქსენიას, ველარ გავიგე, სასწავლო ცენტრის გახსნა სურთ საქართველოში. საინტერესოა, ვის წინააღმდეგ — კენიისა და ბურკინა ფასოს? — რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ. აშშ თავის დიქტატს ევროპის დიდ სახელმწიფოებსაც კი ახვევს თავს და, რასაც მოისურვებს, იმას აკეთებინებს. ამ ყველაფერს კი მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ აკეთებს. **ამერიკას საქართველო ფეხებზე ჰკიდია. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს უკრაინის მიმართაც, რომელსაც, დიდი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ჰუმანიტარული დახმარება კი არა, იარაღი გვჭირდებაო, უარი სტკიცა. ვერ ხვდებიან, რომ ამერიკა მგლის ხახაში გვაგდებს და, რამე რომ მოხდეს, რუსეთი, ამერიკას კი არა, ჩვენ დაგვარტყამს, ამერიკა კი აღშფოთებას გამოთქვამს.**

სასტიკი წინააღმდეგი ვარ ნატოში საქართველოს შესვლის. ჯერ ვინ შეგვიშვებს, მაგრამ მაინც, რადგან ხეირს არ მოგვიტანს და საქართველო მხოლოდ საზარბაზნე ხორცი იქნება.

**— ამჟამინდელი ხელისუფლება თუ ცდილობს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას?**

— როგორ არ ცდილობს, მაგრამ ე. წ. ოპოზიცია უშლის ხელს. ჩვენ ევროპასთანაც გვინდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ არა იმიტომ, რომ გუანტანამოს ციხის პატიმრები გვიგზავნონ შესანახად. თურმე სოციალური რეაბილიტაციისთვის ჩამოჰყავთ! **რა დროს გუანტანამოს პატიმრების სოციალური რეაბილიტაციაა, როცა ჩვენ აღმოგვხდა ჩვენს ქვეყანაში სული ამ ე.წ. დემოკრატიის გადამკიდე?!**

ახლა დასავლელი ე.წ. დემოკრატები გაჰყვირიან, — სიტყვის თავისუფლება არ არის რუსეთშიო, მაგრამ **იმაზე, რაც ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში ხდებოდა, ამერიკასა და ევროპას ყური არ შეუბერტყავს, პირიქით — სააკაშვილსა და მის რეჟიმს ამართლებდნენ და დემოკრატიის შუქურად გვაჩეჩებდნენ.** მეტიც, დაგვცინოდნენ და სხვა ქვეყნებს უჩიჩინებდნენ, საქართველოში ჩამოსულიყვნენ და დემოკრატიის „საიდუმლოებები“ ესწავლათ. **ამერიკა რუსეთის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებს და სურს, მსოფლიოს დაანახვოს, თითქოს რუსეთი საქართველოში დემოკრატიის დამყარებას უშლის ხელს, ჩვენ კი გვიჩიჩხინებს, რუსეთის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ.**

არ ვიცი, დღეს დაგვიანებულია თუ არა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ამის სურვილი მაქვს. **რატომ უნდა ვიყოთ მწყრალად ამხელა მეზობელთან და ოკეანისგაღმელ ამერიკას რატომ უნდა ვეპოტინებოდეთ?..** დააკვირდით ევროპარლამენტში სააკაშვილის ძველ მეგობრებს, რომლებსაც საქართველოს ხარჯზე დიდძალი თანხით ამარაგებდა, შემოაკლდათ ჩვენი ფული და ამიტომ არიან გაცეცხლებულები. ხომ გამოჩნდა, ვის უსქელებდა სააკაშვილი ჯიბეს? დღეს დაუფასეს და ისეთ პატივში ჰყავთ, ლამის თეთრ სახლში დაასახლონ. ან **რა იყო სააკაშვილის ინიციატივა ბენდუქიძის მთაწმინდაზე დასაფლავების შესახებ?! ეს ხომ ქართველი ერის დაცინვაა! სააკაშვილის დაპატიმრება აუცილებელია, რადგან სხვისთვის მაინც უნდა იყოს მაგალითი, რომ არავის შერჩება ბოროტება და სახელწიფოს საწინააღმდეგო მოქმედება.** სააკაშვილი აუცილებლად უნდა გასამართლდეს, მაგრამ ამაში ჩვენი ამერიკელი და ევროპელი „ძმები“ გვიშლიან ხელს.

**— თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გათავისუფლებაზე რას გვეტყვით?**

— ალასანია „ნაცმოძრაობის“ გზას რომ დაადგა, ძალიან საწყენია. ეს გამოიკვეთა თუნდაც იმაში, რომ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად ნატოს რაღაცებს დაჰპირდა. ეს როგორ შეიძლება? რისთვის არის საჭირო საქართველოში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგება ან ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა? რუსეთის წინააღმდეგ ამერიკას ეს სისტემები ვერ უშველის და ჩვენ რატომ ვეჩრებით? რამდენიმე დღის წინათ რუსულ ტელეარხზე ვნახე, რუსეთმა ისეhთი იარაღი გამოიგონა, რომელიც წყლის სიღრმიდან რვაას კილომეტრზე ისვრის რაკეტას, რომელსაც ვერც ერთი ამერიკული იარაღი ვერ შეაჩერებს. ეს კარგად იცის ამერიკამ და ამიტომ რუსეთთან საქართველოსა და უკრაინის გამო საქმეს არ გაიფუჭებს.

**ან ეს ამერიკის ელჩი რატომ გვყავს ასე განებივრებული? — ყველაფერში ეჩხირება, ყველაფერზე ჭკუას გვასწავლის და ყველგან ეგ არის.** რუსეთი მშვენივრად ხვდება, რაც ხდება საქართველოში და ისიც იცის, რომ ქართველ ხალხს ბრალი არაფერში მიუძღვის. **ამ ფრაზის გამო, შეიძლება, ირმა ნადირაშვილი და ზურაბ ჯაფარიძე გამოხტნენ და თქვან, დათო სოკოლოვი რუსეთის აგენტიაო, მაგრამ არა უშავს.**

**— საქართველოს პრეზიდენტზე რას ფიქრობთ?**

— **საქართველოს პრეზიდენტი რომ გქვია, როგორ შეიძლება, გიგა ბოკერიას მეგობარი იყო?! თანაც პრეზიდენტი იმ ხალხისა, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ბოკერია და მისნაირები სიცოცხლეს უმწარებდნენ?** ბოკერიასა და მთელი „ნაცმოძრაობის“, ანუ ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა შეკრებაზე რომ მიდიხარ პრეზიდენტი კაცი, ამას სხვა რამ ჰქვია.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქციელიც უკვე ამაზრზენია. ჭიდაობა მიმდინარეობდა იმაზე, ვის უნდა ჰქონოდა ფარული მოსმენების ე. წ. გასაღები. ამას რა დიდი სჯა-ბაასი და აჟიოტაჟი სჭირდება? — ვის უნდა ჰქონდეს და შს სამინისტროს, აბა, ნინო ლომჯარიასა და ეკა გიგაურს ხომ არ ექნება?!

სხვათა შორის, **თქვენს გაზეთში წავიკითხე პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას რამდენიმე წლის წინანდელი პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ, რომლებიც ერთი-ერთში ახდა. უჭკვიანესია ეს კაცი!.. ის ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის საკითხსაც ვარაუდობდა. ამბობდა, რომ ეს უბედურებას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას. ასეც მოხდა.** იმაზე დიდი დანაშაული, რომელსაც ჩვენი მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა ჰქვია, არ არსებობს. ზვიად გამსახურდიას კანონპროექტი ჰქონდა შეტანილი, რომლის დამტკიცებაც უზენაესმა საბჭომ ვერ მოასწრო. თენგიზ სიგუა რომ გაჰყვიროდა, საკუთრებაში არ აძლევს ხალხს მიწებსო, ზვიადმა კანონპროექტში ჩაწერა, მიწა გადაეცეს ყველას, ოღონდ საზღვრისპირა რაიონებში, 50 კილომეტრის რადიუსით აიკრძალოს მიწის გაყიდვაო. ეს ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი იყო, რადგან მთავარი საზღვარზე ფეხის მოკიდებაა. **გამაგებინეთ, ინდოელებს და მით უმეტეს ჩინელებს, რა უნდათ საქართველოში, ქალაქებს რომ იშენებენ?** მაგალითი ხომ არსებობს, როგორ აიღეს ნიუ იორკი ჩინელებმა? **შუა ნიუ იორკში, ე.წ. ჩაინა-თაუნში ჩინელის გარდა ფეხს ვერავინ დაადგამს! ჩვენ კიდევ ყველას თავზე ვისვამთ.** ჰერეთში, საქართველოს ძირძველ მიწაზე, აზერბაიჯანელები ქართველებს ეკლესიაში შესვლასა და ბავშვებისთვის ქართული სახელის დარქმევას უკრძალავენ, ჩვენთან კი გაჯეჯილებულები არიან. ბათუმი, და არამხოლოდ, გაივსო თურქებით... საზღვრები ვერ გაგვიმაგრებია და რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?

**საქართველოს პარლამენტს, რიგგარეშე არჩევნების გარდა, ვერაფერი გაწმენდს. არადა, როგორი გასაწმენდია?!.. რა უნდა პარლამენტში ისეთ ადამიანს, რომელიც ილია ჭავჭავაძეს არ ცნობს პოეტად, ხოლო ვაჟა-ფშაველა მისთვის საზიზღარი ადამიანია?!**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ეს ამერიკის ელჩი რატომ გვყავს ასე განებივრებული? — ყველაფერში ეჩხირება, ყველაფერზე ჭკუას გვასწავლის და ყველგან ეგ არის»**

**«თქვენს გაზეთში წავიკითხე პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას რამდენიმე წლის წინანდელი პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარების შესახებ, რომლებიც ერთი-ერთში ახდა. უჭკვიანესია ეს კაცი!.. ის ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვის საკითხსაც ვარაუდობდა. ამბობდა, რომ ეს უბედურებას მოუტანდა ჩვენს ქვეყანას. ასეც მოხდა. იმაზე დიდი დანაშაული, რომელსაც ჩვენი მიწების უცხოელებისთვის მიყიდვა ჰქვია, არ არსებობს!»**

**ის, რაც დღეს ხდება აფხაზეთისა და საქართველოს მიმართ, გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა, რომლის ხელშემწყობი ფაქტორის ფუნქცია, საქართველოს ხელისუფლების პროდასავლურმა კურსმა შეასრულა. ბოლო მოვლენები კი გვიჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაცია მზად არის, ჩაერთოს დასავლეთის მიერ დაწყებულ თამაშში, რომელიც გულისხმობს რეგიონში დღეს არსებული წესრიგის შეცვლას და აფხაზეთისადმი უფრო მყარი კონტროლის დაწესებას, რომლითაც მოხდება გეოპოლიტიკური საზღვრების დადგენა რუსეთის ფედერაციასა და ნატოს შორის.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაც დღეს აფხაზეთის მიმართ ხდება, გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა

**24 ნოემბერს სოჭში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის. წინამდებარე წერილის მიზანია, გეოპოლიტიკური თამაშის წესების გათვალისწინებით, მიმოხილვა იმისა, რამ განაპირობა მოსკოვსა და სოხუმს შორის ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების დადება.**



ირაკლი უბილავა

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი **ნიკოლა სპიქმენი** თავის ნაშრომში წერს: **„პატარა სახელმწიფოების არსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა ის დიდ სახელმწიფოს სჭირდება, როგორც ბუფერი... როგორც კი იცვლება ძალთა ბალანსი, პატარა სახელმწიფო ქრება პოლიტიკური რუკიდან“.**

თუ ამ ჰიპოთეზას გავყვებით, აფხაზეთის მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა ობიექტურ გეოპოლიტიკურ კანონზომიერებად უნდა მივიჩნიოთ. რომ გავიგოთ, რეალურად რა გეოპოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს, აუცილებელია, ჩავუღრმავდეთ იმ საგარეო-პოლიტიკურ ტენდენციებს, რომლებიც იყო აფხაზეთის გარშემო. **კერძოდ, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, ამიერკავკასიაში ეტაპობრივად შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატები, რამაც, თვის მხრივ, ხელი შეუწყო რეგიონში ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის ძალთა ბალანსის ცვლას.** კავკასიის რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლის პროცესმა კი გამოიწვია ეთნოკონფლიქტები, რომლებმაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია ზოგიერთი კავკასიური სახელმწიფოს დე ფაქტო საზღვრების შეცვლაში. საქართველომ დაკარგა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონზე ფაქტობრივი პოლიტიკური კონტროლი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებული მხარეები (საუბარია გეოპოლიტიკურ აქტორებზე, უპირატესად, რუსეთის ფედერაციასა და აშშ-ზე) საქართველოს იურისდიქციიდან გასულ რეგიონებს ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

პოსტბიპოლარული სტატუს კვო კავკასიის რეგიონში შენარჩუნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე, თუმცა 2008 წლამდე შეერთებული შტატების გავლენა თანდათან იზრდებოდა კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით — საქართველოში. ამის მაგალითია 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ მკვეთრად პროდასავლური ძალები, რომლებმაც ჩაანაცვლეს პოლიტიკური ინტერესების დაბალანსების მომხრე შევარდნაძის ხელისუფლება. პროცესების ამგვარი განვითარება კი არსებული სტატუს კვოს ცვლილებამდე რომ მიიყვანდა კავკასიის რეგიონს, ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო. ანუ, როდესაც ერთი გეოპოლიტიკური აქტორის პოზიციები ძლიერდება, ხოლო მეორის სუსტდება, მეორე ბოლომდე ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს პირველს და შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს, რათა ხელი შეუშალოს მას პოზიციების გამყარებაში. ეს შესაძლებლობა კი რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჰქონდა. სტატუს კვოს ცვლილების მცდელობამ საქართველო მიიყვანა ცხელი ომის ფაზამდე. ომს ამა თუ იმ რეგიონში თან სდევს ძალთა ბალანსის ცვლა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ერთი ფორმირებული რეგიონული წესრიგიდან ახალზე გადასვლას. ახალი წესრიგი კი ქმნის ახალი გავლენის სფეროებს, რაც პატარა სახელმწიფოებზე ხშირად ნეგატიურად აისახება. თუ ამ მოსაზრებას საქართველოზე განვაზოგადებთ, ჩვენი ქვეყნის დე ფაქტო დაშლა გადაიზარდა დე იურეში. რუსეთის ფედერაციამ, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. **ამ ნაბიჯით რუსეთმა სოხუმისა და ცხინვალის სახით ბუფერული სახელმწიფოები შექმნა, თავისი მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის — შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნის — საქართველოს საპირწონედ.**

2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს კორექტირება არ განუცდია. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, წინამორბედის მსგავსად, განაგრძო სვლა ევროატლანტიკური მიმართულებით, რაც დაგვირგვინდა კიდეც უელსში ნატოს სამიტზე ახალი პაკეტის შემოთავაზებით. **ნატოს მიერ საქართველოსთვის შეთავაზებული პაკეტიდან ჩანს, რომ დასავლეთი თავისი გავლენის გასაფართოებლად რეგიონში და განსაკუთრებით — საქართველოს ტერიტორიაზე, დღეს არსებული წესრიგის „გადაფორმატებას“ ცდილობს. ეს პაკეტი გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნას, რაც, ფაქტობრივად, საქართველოში ნატოს ჯარების ყოფნას ნიშნავს. როგორ აამაღლებს ეს ცენტრი საქართველოს თავდაცვისუნარიანობას, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: ეს ნაბიჯი მიმართულია დღეს არსებული სტატუს კვოს წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ძალთა ბალანსის შეცვლას საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო რა მოგვიტანა წინა ცვლილებებმა ტერიტორიული მთლიანობის მხრივ, ყველას გვახსოვს.**

სწორედ ნატოს უელსის სამიტის პაკეტს მოჰყვა რუსეთის მიერ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების პროექტის შეთავაზება აფხაზეთისთვის. ამ ხელშეკრულებას მინიმუმამდე დაჰყავს აფხაზების ოცნება ნაციონალური აფხაზური სახელმწიფოს შექმნაზე. **რაც უნდა იმართლოს თავი აფხაზეთის ხელისუფლებამ თავისი მოსახლეობის წინაშე, რომლის უდიდესი უმრავლესობა ნეგატიურად აფასებდა ხელშეკრულების პროექტს, ამ ხელშეკრულებით აფხაზეთის ამჟამინდელი პოლიტიკური სუვერენიტეტი შეიზღუდება.** იურიდიულად, შესაძლოა, არა სუბიექტის სტატუსის დონეზე, მაგრამ, ფაქტობრივი კონტროლის თვალსაზრისით, აფხაზეთი რუსეთის ფედერაციის სუბიექტს გაუთანაბრდება; ანუ, თუ ნიკოლა სპიქმენის თეორიიდან აღებულ პასაჟს გავითვალისწინებთ, გამოდის რომ **აფხაზეთი, გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, როგორც ბუფერული სახელმწიფო, პოლიტიკური რუკიდან გაქრობას იწყებს.**

**ის, რაც დღეს ხდება აფხაზეთისა და საქართველოს მიმართ, გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა, რომლის ხელშემწყობი ფაქტორის ფუნქცია საქართველოს ხელისუფლების პროდასავლურმა კურსმა შეასრულა.** ბოლო მოვლენები კი გვიჩვენებს, რომ **რუსეთის ფედერაცია მზად არის, ჩაერთოს დასავლეთის მიერ დაწყებულ თამაშში, რომელიც გულისხმობს რეგიონში დღეს არსებული წესრიგის შეცვლას და აფხაზეთისადმი უფრო მყარი კონტროლის დაწესებას, რომლითაც მოხდება გეოპოლიტიკური საზღვრების დადგენა რუსეთის ფედერაციასა და ნატოს შორის.**

ის, რაც ხდება აფხაზეთის მიმართ, პირველ რიგში, ჩვენი პოლიტიკური კლასის მიერ ყოვლად გაუაზრებელი და ყოველგვარ სტრატეგიულ ხედვას მოკლებული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯების შედეგია და არა იმდენად იმ გარე ძალების მოქმედებისა, რომლებიც კავკასიის რეგიონით არიან დაინტერესებული. საქართველოს მმართველ ელიტას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე რომ გაეტარებინა საგარეო პოლიტიკა და გაეთვალისწინებინა გეოპოლიტიკური თამაშის წესები, თავს დავაღწევდით იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. კერძოდ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკა მკვეთრად პროდასავლურიდან ინტერესების შედარებითი დაბალანსების მდგომარეობაში რომ გადაეყვანა, დღეს რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულების მომსწრე არ ვიქნებოდით. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ განდგომილ ქართულ რეგიონებზე რუსეთის ფედერაციის გავლენის ზრდა პირდაპირპროპორციულად უკავშირდებოდა საქართველოს პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსის ზრდას.

შეიძლება, ბევრი თვლის, რომ დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის წარმოება საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის შეუძლებელია ან დიდი ფუფუნებაა, მაგრამ, პრაგმატულ გათვლაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, ეს შესაძლებელი იყო. მაგალითად, ცნობილი ქართველი მეცნიერი და პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია** ივანიშვილის ხელისუფლებას სთავაზობდა პოლიტიკური სისტემის მოწყობის საინტერესო მოდელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა გეოპოლიტიკური აქტორების ინტერესების დაბალანსება საქართველოს ტერიტორიაზე:

„თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა. რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მით უმეტეს, გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბლინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს. რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს“,** — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ 2013 წლის დასაწყისში („საქართველო და მსოფლიო“, №6 (193), 20-26 თებერვალი, 2013წ.).

ზემოაღნიშნული მოდელის პირობებში სრულიად შესაძლებელი იქნებოდა დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესების დაბალანსება, რომელიც აგვარიდებდა ისეთ კატასტროფულ სიტუაციას, რომელშიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აღმოვჩნდით.

აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსი დამოკიდებული იქნება საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე. **თუ საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად განაგრძობს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ზრდის ხელშემწყობ პოლიტიკას, ანუ სვლას ევროატლანტიკური მიმართულებით, არსებობს საფრთხე, რომ აფხაზეთი საბოლოოდ გაქრეს პოლიტიკური რუკიდან, როგორც დამოუკიდებელი სახხელმწიფო** და მისი სტატუსი იურიდიულად გაუთანაბრდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუსს. ამიტომ, **თუ გვინდა, რომ 10 წლის შემდეგ აფხაზეთი არ გახდეს რუსეთის ფედერაციის სუბიექტი და გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც შევინარჩუნოთ აფხაზეთის დაბრუნების შანსი, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და განსაკუთრებით — ბიძინა ივანიშვილმა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანაზე იფიქრონ.**

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

**თუ საქართველოს ხელისუფლება კვლავინდებურად განაგრძობს ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის ზრდის ხელშემწყობ პოლიტიკას, ანუ სვლას ევროატლანტიკური მიმართულებით, აფხაზეთი საბოლოოდ გაქრება პოლიტიკური რუკიდან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო**

**თუ გვინდა, რომ 10 წლის შემდეგ აფხაზეთი არ გახდეს რუსეთის ფედერაციის სუბიექტი და გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც შევინარჩუნოთ აფხაზეთის დაბრუნების შანსი, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა და განსაკუთრებით — ბიძინა ივანიშვილმა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ცვლილებების შეტანაზე იფიქრონ**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როგორც წესი, გუანტანამოში გადაჰყავდათ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები, რომელთა მიმართაც, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის გამოიყენებოდა წამების ცნობილი მეთოდები. სხვათა შორის, ამ მეთოდს სააკაშვილის პერიოდში ხშირად იყენებდნენ გლდანის მერვე საპყრობილეში. მხედველობაში მაქვს ე. წ. მოხრჩობის იმიტაცია, როდესაც ადამიანს თავზე აცვამენ ცელოფნის პარკს, გუდავენ, სუნთქვას უკრავენ და შემდეგ ისევ ათავისუფლებენ. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. წამების სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები: ვალერი ზუმბაძე, ვლადიმერ დათაშვილი და ოთარ ორჯონიკიძე“.**



# კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც სააკაშვილის პოლიტპატიმრებს სასტიკად აწამებდა, დღეს ლაფანყურის სპეცოპერაციის საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელია

**წინა ხელისუფლების პერიოდში მომხდარ გამოუძიებელ დანაშაულებზე და ბოლო ხანს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე ექსპერტი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.**

## ვახტანგ მაისაია:

## «ისლამურმა სახელმწიფომ», შეიძლება, საქართველოშიც განახორციელოს დივერსიული აქტები

**— ბატონო ვახტანგ, რამდენიმე დღის წინათ საქართველოში გუანტანამოს ციხის სამი პატიმარი ჩამოიყვანეს და, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, ისინი აქ იცხოვრებენ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ჰუმანიტარული პროგრამის ფარგლებში. რას გვაძლევს ჩვენ ამ პატიმრების ჩამოყვანა და რა პასუხისმგებლობას იღებს სახელმწიფო?**

— საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან აქვს სტრატეგიული პარტნიორობის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიიდან. ამ ქარტიის მიხედვით, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, დავეხმაროთ ამერიკას. ეს არის ლოგიკური შედეგი იმ პროცესისა, რომელიც დაიწყო წინა ხელისუფლების პერიოდში და გაგრძელდა მოქმედი ხელისუფლების პირობებშიც...

**— საინტერესოა, ქვეყანა, რომელშიც ცხრა წლის განმავლობაში 40 ათასამდე მსჯავრდებული იყო და მათ უმრავლესობას ციხის ადმინისტრაცია სასტიკად აწამებდა, თუ აკმაყოფილებს სტანდარტებს, რომ უცხოეთიდან ჩამოიყვანოს პატიმრები, მით უფრო, სასჯელაღსრულების სისტემაში დღემდე მუშაობენ ძველი კადრები, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმთან და ძალადობასთან ასოცირდებიან?**

— შეთანხმების მიხედვით, მათ უნდა გაიარონ რეაბილიტაცია რესოციალიზაციის კუთხით და ამ პროცესს მეთვალყურეობას გაუწევს ამერიკული მხარე, ანუ ეს ადამიანები გადიან გარკვეულ პროგრამებს და ამის შემდეგ ან დაბრუნდებიან სამშობლოში, ან, თუ სურვილი ექნებათ, შეუძლიათ, დარჩნენ. საერთოდ, როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება უცხო ქვეყნის პატიმრებს საშუალებას აძლევს, სასჯელი ნორმალურ პირობებში მოიხადონ. აქ კი თავის პატიმრებს და განსაკუთრებით — პოლიტპატიმრებს, ყურადღებას არ აქცევს. რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

**— შესაძლებელი თუ იყო, საქართველოს უარი ეთქვა ამ პატიმრების მიღებაზე?**

— ბუნებრივია, ყველაფერი იყო შესაძლებელი, მაგრამ ვინაიდან ვამბობთ, რომ ვართ ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და გაფორმებული გვაქვს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, ეს ჩაითვლებოდა არაეთიკურ საქციელად. ცხადია, შეიძლებოდა, უარი გვეთქვა გუანტანამოს პატიმრებზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლების აზრით, ეს სჭირდებოდა საქართველოს, სჭირდებოდა ორი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორობას და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. როგორი იქნება შედეგი, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

**— რატომ იცილებს ვაშინგტონი გუანტანამოს პატიმრებს და რატომ გზავნის მათ უცხო ქვეყნებში? რატომ არ ხდება მათი გადანაწილება ამერიკის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?**

— მიზეზი მარტივია: იმიტომ, რომ **ამერიკის ტერიტორიაზე ომი ოფიციალურად გამოცხადებული არ არის და, რაც მთავარია, მათ ტერიტორიაზე აკრძალულია პატიმრების მიმართ არაჰუმანური მეთოდების გამოყენება.**

**— საქართველოში დაშვებულია?**

— ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ თუ მოხდება, ეს იქნება ამერიკის ფარგლებს გარეთ და ამით ის აიცილებს პასუხისმგებლობას კანონდარღვევაზე. სწორედ ამიტომ აირჩიეს თავის დროზე გუანტანამო. **როგორც წესი, გუანტანამოში გადაჰყავდათ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები, რომელთა მიმართაც, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის, გამოიყენებოდა წამების ცნობილი მეთოდები.** სხვათა შორის, **ამ მეთოდს სააკაშვილის პერიოდში ხშირად იყენებდნენ გლდანის მერვე საპყრობილეში.** მხედველობაში მაქვს **ე. წ. მოხრჩობის იმიტაცია, როდესაც ადამიანს თავზე აცვამენ ცელოფნის პარკს, გუდავენ, სუნთქვას უკრავენ და შემდეგ ისევ ათავისუფლებენ. ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. წამების სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლები: ვალერი ზუმბაძე, ვლადიმერ დათაშვილი და ოთარ ორჯონიკიძე.** აგრეთვე, მათი კიდევ ერთი კოლეგა, სააკაშვილისდროინდელი ჯალათი **ზვიად ლონიაშვილი,** რომელიც დღეს მერიაში ზის და ო-დე-ერის (მოქმედი რეზერვის) ოფიცერია. აი, ამ ადამიანებს მართლაც უმაღლეს დონეზე ჰქონდათ ე. წ. გუანტანამოს მეთოდები ათვისებული. საიდან და ვისგან აითვისეს, ცალკე საკითხია...

**— საიდან იცოდნენ მათ ეს მეთოდები?**

— იცით რა, ეს ისეთი სერიოზული საკითხია, რომ **ნორმალურ ქვეყანაში ამით გამოძიება უნდა ინტერესდებოდეს, ანუ პროკურატურა უნდა ადგენდეს, ვინ არიან რეალურად ეს ადამიანები და ვის მითითებებს ასრულებდნენ.** ჩვენ თეორიულად ვიცით ეს ყველაფერი, მაგრამ ერთია შენი ვერსიები და მეორეა, როცა გამოძიება დადებს დასკვნას. მით უფრო, რომ ეს ადამიანები უშუალოდ მონაწილეობდნენ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებაში, ასევე ფიგურირებდნენ სიმონ კილაძის, რეპორტიორებისა და მუხროვანის ე. წ. ამბოხის საქმეში. ეს არის დამნაშავეების კასტა. მე მათსა და ნაცისტებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ, მაგრამ, საუბედუროდ, დღეს ისინი დაუსჯელი არიან.

**— არამხოლოდ დაუსჯელი, როგორც ვიცი, მაღალი თანამდებობებიც უკავიათ.**

— დიახ, მაგალითად, ვალერი ზუმბაძე დღეს ლაფანყურის სპეცოპერაციის საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელია. შეფასება თქვენთვის და თქვენი მკითხველისთვის მომინდვია...

**— დავუბრუნდეთ გუანტანამოს პატიმრებს, ზოგი ექსპერტი თვლის, რომ მათი ჩამოყვანა საქართველოს საფრთხეს უქმნის. თქვენი აზრით, რა საფრთხეები არსებობს რეალურად?**

— 2010 წელს რომ დაგესვათ ეს შეკითხვა, გიპასუხებდით, არანაირი საფრთხე არ არსებობს-მეთქი, მაგრამ იმხანად გეოპოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად განსხვავებული იყო. დღეს კი **ჩვენ ისლამური ხალიფატის სამიზნეში ვართ და საფრთხეები მომდინარეობს ყველა მხრიდან, ამიტომ, ცხადია, ამ პატიმრების ჩამოყვანა კითხვის ნიშნებს აჩენს უსაფრთხოების კუთხით.**

— კონკრეტულად რა საფრთხეებზე შეიძლება იყოს საუბარი?

**— დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ სამიზნეში ვართ! ბოლოს და ბოლოს, აქედან ადამიანები სირიაში გადავლენ და იქ იბრძოლებენ. გარდა ამისა, „ისლამურმა სახელმწიფომ“, რომელსაც კადრები სჭირდება, შეიძლება საქართველოშიც განახორციელოს დივერსიული აქტები, ანუ გამოგზავნოს დივერსიული ჯგუფი და ამ ჯგუფმა აქედან გადაიყვანოს ხალხი მათ რიგებში. ვინ შეუშლის ხელს?**

**— სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღეებში საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა ათასობით უცხოელს. მათი უმეტესობა დღეს სირიაში იბრძვის. როგორ ფიქრობთ, ეს ჩვენთვის საფრთხე არ არის?**

— ცხადია, ეს საფრთხეა, მაგრამ სააკაშვილისგან არაფერი მიკვირს. ის პირდაპირ მონაწილეობდა სახელმწიფო ტერორიზმის სპონსორობაში და ყველაფერს აკეთებდა ამ პროცესის ხელშესაწყობად. ის კი არა, **ეჭვი მაქვს, ზურაბ ჟვანიას მკვლელობა დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, რომ თავის დროზე ფოთის პორტის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს ძალებმა, რომლებიც გარკვეული ისლამური რადიკალური ჯგუფების უკან დგანან...**

**— ზურაბ ჟვანიასთან რა კავშირი ჰქონდა ამ ყველაფერს?**

— ზურაბ ჟვანიას, როგორც ჩანს, ჰქონდა ეს ინფორმაცია და ეწინააღმდეგებოდა პორტის პრივატიზებას იმ კომპანიების მიერ, რომელთა უკანაც იდგნენ ექსტრემისტული ძალები. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ვერსია ასეთია: **ზურაბ ჟვანიას რაულ უსუფოვი, შეიძლება, მიყვანილი ჰყავდა სააკაშვილთან, რათა დაემტკიცებინა მისთვის, რომ ფოთის პორტის შეძენა სურდა რომელიღაც ისლამური დაჯგუფების გავლენის ქვეშ მყოფ ორგანიზაციას...**

**— კი მაგრამ, რაულ უსუფოვი როგორ დაარწმუნებდა ამაში?**

— საერთოდ, ქვემო ქართლში ძლიერი იყო ვაჰაბიტური მოძრაობა და უსუფოვს, როგორც ჩანს, ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია. მერე მან, ეტყობა, ეს ინფორმაცია მიაწოდა ჟვანიას და ჟვანიამაც უსუფოვი მიიყვანა სააკაშვილთან.

**— ფიქრობთ, რომ მათი მკვლელობა იმ შეხვედრაზე მოხდა?**

— კიდევ ვიმეორებ: მე გამოვთქვამ მხოლოდ მოსაზრებას — **სწორედ ფოთის პორტის თაობაზე შეკამათდნენ ჟვანია და სააკაშვილი და ზუსტად იმ თათბირის შემდეგ დაიღუპა ჟვანია საეჭვო ვითარებაში...**

**— რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, თქვით, რომ ხელისუფლება უცხო ქვეყნის მსჯავრდადებულებს ნორმალურ პირობებში ამყოფებს, საკუთარ პოლიტპატიმრებს კი ყურადღებას არ აქცევს. კონკრეტულად რა სახის ყურადღება გჭირდებათ დღეს?**

— მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ხელისუფლებას: ის, რომ დავით ნარმანიამ მოგვანიჭა გარკვეული პრივილეგია და ოც თეთრად შეგვიძლია მგზავრობა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რა თქმა უნდა, კარგია და ამისთვის დიდი მადლობა მას, მაგრამ უამრავ პოლიტპატიმარს აქვს პრობლემები. **კარგი იქნებოდა, თუ სახელმწიფო გამოიჩენდა კეთილ ნებას და იმ პოლიტპატიმრებს, რომლებიც დასაქმებულები არიან, მოუხსნიდნენ ოცპროცენტიან საშემოსავლო გადასახადს.** აი, ეს გააკეთოს ღარიბაშვილმა და ხმას აღარ ამოვიღებ. გარდა ამისა, ჩემს საქმეს მოხსნან გრიფი „საიდუმლო“ იმიტომ, რომ არის ახალი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ჩემი (და კიდევ სხვების) რეაბილიტაცია ავტომატურად მოხდება.

**— თუმცა რეაბილიტაციამდე იმ ადამიანებმა უნდა აგონ პასუხი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ თქვენს წამებაში.**

— ეს უკვე გამოძიების საკითხია. მე არაერთი ჩვენება მაქვს მიცემული და პროკურატურას მივაწოდე კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტული პიროვნებების შესახებ. დანარჩენი, რატომ ვერ მიდის წინ გამოძიება და რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები, არ ვიცი, ამაზე პასუხი შესაბამისმა პირებმა უნდა გაგცეთ. **დაუკავშირდით გამომძიებელ ზურაბ სამხარაძეს, დაუკავშირდით თბილისის პროკურორს, მათ უნდა გითხრან, ვინ და რატომ ბლოკავს ამ საქმეს.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებით ოჯახებს შვილებს წაართმევენ

**არასრულწლოვნებს, რომლებმაც ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში გამართულ ბრძოლებში თუნდაც ერთი მშობელი დაკარგეს, უკრაინის პრეზიდენტის განკარგულებით, აღსაზრდელად საბავშვო ბაღებში ან თავშესაფრებში გადაიყვანენ.** კეთილისმსურველებს არ აწუხებთ, რომ ბავშვს, შეიძლება ჰყავდეს ნათესავები, რომლებიც მასზე იზრუნებენ. არასრულწლოვანი აუცილებლად უნდა გაიგზავნოს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში! — ასეთი განკარგულება მიიღო უკრაინის ყველა სამეურნეო დაწესებულებამ.

უკრაინის ბავშვთა ყოფილი ომბუდსმენის, იური პავლენკოს განცხადებით, პრეზიდენტის განკარგულება არასრულწლოვანთა უფლებებს არღვევს. **„უკრაინის კანონმდებლობით, შვილება ან მეურვეობა შეიძლება მხოლოდ იმ ბავშვების, რომლებსაც არც დედა ჰყავთ და არც — მამა. რატომ უნდა გააშვილონ ბავშვი, რომელსაც მამა დაეღუპა, მაგრამ დედა ცოცხალია?! — ეს ხომ ცინიზმია?“** — განაცხადა პავლენკომ. მაგრამ ეს არავის ადარდებს. აშშ-სა და ევროპის იუვენალურმა განუკითხაობამ უკრაინაშიც შეაღწია: **თუკი ბავშვს ოჯახს, მშობლიური ფესვებს მოწყვეტ, მისგან ისეთი ვინმე შეიძლება გამოზარდო, როგორიც უკრაინის კაციჭამია რეჟიმს სჭირდება.**



„ობამა პუტინს ყირიმის გამო უფრო ნაკლებად საყვედურობს, ვიდრე ელ-გე-ბე-ტე-ების უფლებების დარღვევაზე სოჭის ოლიმპიადის წინ. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია“ .

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



პეტრე მამრაძე:

# იმის შიშით, რომ ქვეყანაში რუსეთუმე არ გიწოდონ, ბავშვურად არ უნდა მოიქცე

„ჩვენ მოვიწვევთ ეროვნული უშიშროების საბჭოს და დავგეგმავთ კონკრეტულ ნაბიჯებს ვითარების დასტაბილურებასთან დაკავშირებით. მივმართავ საერთაშორისო თანამეგობრობას, ჩვენს მეგობარ ქვეყნებს, უსწრაფესად, ადეკვატურად შეაფასონ ვითარება და მისცენ შესაბამისი რეაქცია ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს“, — ეს არის პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადება აფხაზეთსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების შემდეგ. ამ ხელშეკრულების მნიშვნელობასა და მასზე ქართველი პოლიტიკოსების რეაგირებაზე ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე გვესაუბრება.

**— ბატონო პეტრე, როგორ შეაფასებთ საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს მას შემდეგ, რაც აფხაზეთმა და რუსეთმა „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს?**

— 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის პოლიტიკური ავანტიურისა და სამშობლოს ღალატის შედეგად აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიებზე განთავსდა მძლავრი რუსული ბაზები, არავითარი საზღვარი რუსეთსა და ამ რეგიონებს შორის აღარ არსებობს. ხელმოწერილია 135 ხელშეკრულება. ეს არის 136-ე, საინტერესოა, ახლა რატომ ატეხეს ასეთი ამბავი? ეს ხელშეკრულება, რომელსაც ხან ანექსია უწოდეს, ხან რა, არაფერს მატებს არც ფაქტობრივ და არც იურიდიულ საკითხებს. სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს სურთ ლეგენდის შექმნა, რომ ვითომ რუსეთი საქართველს 2008 წელს ვერაგულად დაესხა თავს; გმირმა მთავრობამ, გმირი სააკაშვილის მეთაურობით, მუხლებზე კი არ იხოხა, არამედ გადაარჩინა ქვეყანა. ახალი ხელისუფლება კი კარგავს ამ მონაპოვარს, რომელიც ხალხის მობილიზებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით შექმნეს. ასეთი ლეგენდა, ალბათ, გებელსსაც შეშურდებოდა.

სინამდვილეში ეს იყო ლაჩრული ღალატი, სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა და ლანგრით მიართვეს ტერიტორიები რუსეთს.

**— ბატონო პეტრე, სააკაშვილის მიზანი გასაგებია, მაგრამ ამ მთავრობის მიზნებს ვერ იგებს ხალხი...**

— ვაი, რომ ხელისუფლება „ნაციონალების“ თითის ქნევას დაჰყვა. დავიწყებ ჩვენი პრეზიდენტით, რომელსაც, თუკი რაიმე ზიანის მიყენება შეეძლო ქვეყნისთვის, ამ მოკლე პერიოდში უკვე მოახერხა.

**— რას გულისხმობთ?**

— დავიწყებ კინკლაობით, რომელიც პრეზიდენტმა მთავრობასთან გააჩაღა ჯერ ვიზიტებზე, შემდეგ — ხელმოწერებზე, რითაც შელახა სახელმწიფოს იმიჯი. მისი დანაშაული იყო შესვლა „კალიგულას“ სასახლეში, რაზეც თავდაპირველად უარს ამბობდა, მაგრამ შემდეგ ნაცისტების დაკვეთა შეასრულა. მარგველაშვილი იმ სასახლეში რომ არ შესულიყო, შენობა დარჩებოდა სადისტური რეჟიმის სიმბოლოდ, სიმბოლოებისა კი ნაცისტებს ძალიან ეშინიათ. ამას მოჰყვა სააკაშვილის საბიუჯეტო ხარჯების დამალვის მცდელობა, რამაც ხმაური გამოიწვია... პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინათ დაუშვა წარმოუდგენელი შეცდომა, როდესაც ბელგიასა და ლუქსემბურგს გამოუცხადა, რომ დაგეგმილ ვიზიტს შლის, ვინაიდან აფხაზეთის ანექსია ხდება, მისი ქვეყნიდან გასვლა არ შეიძლება და სასწრაფოდ უნდა მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა. ამ საქციელს ბლეფი და ტყუილი პიარი ჰქვია. ვინმეს მსოფლიოში აინტერესებს, სად წავა და წამოვა მარგველაშვილი?

**ან მის მიერ ჩატარებული უშიშროების საბჭოს სხდომა გავლენას მოახდენს რუსეთზე, რომელმაც დიდი ხანია, სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა?**

მარგველაშვილმა ამ საქციელით საინვესტიციო კლიმატს, ქვეყნის სტაბილურობას დაარტყა. დასავლეთის პრესა წერდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ვიზიტები გადადო, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია და უშიშროების საბჭო სასწრაფოდ იკრიბება. დასავლეთში რა იციან, რომ აქ მარგველაშვილი „საბავშვობაღობანას“ თამაშობს და „პამპულაობს“ — ეს მისი ტერმინებია. ის სახელმწიფოს ასე უყურებს.

ეს — რაც შეეხება პრეზიდენტს... მარგველაშვილის განცხადებას მოჰყვა დავით უსუფაშვილის განცხადება, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა ალასანიასა და სხვების განცხადებებს.

სამწუხაროდ, თუ ღარიბაშვილზე ყოველთვის ვამბობდი, რუსეთის მიმართ თავშეკავებულიამეთქი, დღეს მთლად ასე აღარ არის, ხანდახან ის, ნაკლებადპატრიოტი რომ არ გამოჩნდეს, ცდილობს, სხვებს აჰყვეს, რაც პოლიტიკოსისთვის დიდი სისუსტეა.

იმის შიშით, რომ ქვეყანაში რუსეთუმე არ გიწოდონ, ბავშვურად არ უნდა მოიქცე.

— პარლამენტში მსჯელობენ, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეუერთდეს თუა არა.

— ეს არის მარაზმი. ჩვენ ვიბრძვით, რათა ბიოლოგიურად გადავრჩეთ. უნდა გადავრჩეთ, როგორც სახელმწიფო და ერი. რა სანქციებზეა საუბარი, მთელი ჩვენი პროდუქცია რომ შეკრიბო, რუსეთისთვის ნულია.

რამდენიმე ხნის წინათ ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ინფორმაცია გიგა ბოკერიას ოჯახის შემოსავლებზე. ბოკერიას ოჯახის ყოველწლიური შემოსავალი 49 მილიონი ლარი ყოფილა. ასეთ ოჯახს სანქციები რამეს დააკლებს? სანქციები ნაგვის ყუთებში გადაყრილი პურის მომლოდინე ადამიანებს დაეტყობა, იმ პურის გადაყრასაც რომ ვეღარ შეძლებენ ოჯახები. პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც კი საქართველო სიღარიბით პირველ ადგილზეა.

**— ბევრი პოლიტიკოსი, პოლიტოლოგი და უკვე ხალხიც, ფიქრობს, რომ დროა, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკება დაიწყოს. რუსეთი ამისთვის მზად არის. სერგეი ლავროვმა რამდენიმე დღის წინათ თქვა, რომ მზად არიან, დაგველაპარაკონ, მაგრამ თბილისიდან პასუხი ჯერ კიდევ არ არის.**

— ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, დასავლეთმა და ამერიკამ ხელი გადაუგრიხეს პეტრე პოროშენკოს და აიძულეს, რუსეთს დალაპარაკებოდა და ნებისმიერი პირობებზე ხელი მოეწერაო. გრიბაუსკაიტე თვლის, რომ პოროშენკომ ხელი უკრაინის გახლეჩვას მოაწერა. ვთხოვ ყველას, ამ ფაქტზე დაფიქრდენენ

**— რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთან შედარებით დასავლეთისა და ამერიკისთვისაც უკრაინა.**

გაიხსენონ, როგორ იხვეწებოდა პოროშენკო მაღალი ტრიბუნიდან, საბნებითა და ჰუმანიტარული დახმარებით ომს ვერ მოვიგებ, იარაღი მომაწოდეთო, მაგრამ უარი უთხრეს.

თაღლითობაა ის, რასაც მაია ფანჯიკიძე თავისი მინისტრობის დროს აკეთებდა. სულ ამბობდა, აბაშიძე დაბრუნდეს კარასინისგან და მერე შევაფასებთ, გავაგრძელებთ თუ არა ამ შეხვედრებსო. გრიგორი კარასინი არც ისმენს საქართველოს პროტესტს ტერიტორიებზე, რადგან, სააკაშვილის ღალატის შედეგად, რუსეთმა აღიარა ეს ტერიტორიები. მართალია, არ აპირებდა, მაგრამ იძულებული შეიქნა, ასე მოქცეულიყო.

გაეროს უშიშროების საბჭო დღეში სამჯერ რომ მიმართავდეს, აფხაზეთთან და ოსეთთან ხელშეკრულება არ დადოო, რუსეთი მაინც არ მოუსმენს და მარგველაშვილთან შეკრებილი უშიშროების საბჭოსი შეეშინდება? სასაცილოა. ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, ტრაგიკომიკურია.

სასწრაფოდ შესაცვლელია სააკაშვილის მავნებლური კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

**— რა წერია ამ კანონში?**

— წერია, რომ მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ აქვს უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს ამ რეგიონებთან თბილისთან შეუთანხმებლად და, თუ ვინმემ ფეხი დადგა იმ ტერიტორიაზე, პერსონა ნონ გრატა ხდება. ამ კანონით სააკაშვილმა ხელი შეუწყო იმას, რომ აფხაზეთი და ოსეთი მხოლოდ რუსეთის გავლენის სფეროში ყოფილიყვნენ.

ჰენრი კისინჯერი ამბობს, რომ უკრაინის კრიზისში დამნაშავე დასავლეთია. ის ამბობს, რომ მოლაპარაკება ყველაზე უკეთესი გზა იყო. ობამა პუტინს ყირიმის გამო უფრო ნაკლებად საყვედურობს, ვიდრე ელ-გე-ბე-ტე-ების უფლებების დარღვევაზე სოჭის ოლიმპიადის წინ. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია.

**— რუსეთის შემდგომი ნაბიჯები რა იქნება?**

— თუ უსუფაშვილმა განაგრძო ყვირილი, რომ, მაპი თუ არ მივიღეთ, საქართველო წაიშლება რუკიდანო, ქვეყანაში დაიწყება მასშტაბური პოლიტიკური დესტაბილიზაცია, საქმე უფრო გართულდება.

**— რომ ვერ მივიღოთ ეს მაპი?**

## «ღმერთმა ნუ ქნას, მაპი მივიღოთ»

— ღმერთმა ნუ ქნას, მაპი მივიღოთ! წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, რუსეთმა გამოაცხადოს, რომ სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებას ითხოვს და ამას შეასრულებს. ყველაფრის კარნახი ხომ არ შეიძლება?! ვთქვათ, რუსეთმა თავისი ჯარების ნაწილი გიუმრიდან გადააადგილოს და შევიდეს ახალქალაქში, ყოფილი ბაზის ტერიტორიზე, რა, ირაკლი ალასანია შეებრძოლება?

თუ გვინდა, ის ტერიტორიაც ჩავაბაროთ, რომელიც დაგვრჩა, და ბანანის რესპუბლიკა გავხდეთ, ბანანის გარეშე, მაშინ გააკეთონ ის, რასაც აკეთებენ.

**— ამ ვითარებიდან გამომდინარე, თუ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებია საჭირო?**

— ახლა პოლიტიკური კრიზისი არ არის. პარლამენტის დათხოვნა ძალიან ცუდი პროცესია. გინდაც დაიშალოს პარლამენტი, გგონიათ, ვინმე უკეთესი მოვა? ის პარტიები, რომლებსაც ფული და ადმინისტრაციული რესურსი აქვს, საკანონმდებლო ორგანოში მაინც შევლენ, მათ შორის, „ნაცმოძრაობაც“. ახალი პარლამენტის არჩევით არაფერი შეიცვლება. საქართველოში ყველა პოლიტიკოსი თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს. ეს არის ქვეყანა, რომლის დეპუტატებიც ფიქრობენ, რომ „დიდ მაყუთზე ვერ გახვალ, თუ პარლამენტში არ ზიხარ“. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება არ არის, საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა!

## «საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა!»

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## გერმანელი ჟურნალისტი: გერმანია აშშ-ის კოლონიაა!

**ცნობილი გერმანელი დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ჟურნალ Compakt -ის მთავარი რედაქტორი იურგენ ელზესერი ამერიკის მიერ გერმანიის ოკუპაციის დასრულებას ითხოვს.** „მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ტაბუ ადევს, აუცილებლელია, ითქვას: გერმანია არ არის სუვერენული სახელმწიფო, ის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაპყრობილი ქვეყანაა, ჩვენ ამერიკის კოლონია ვართ: გაერთიანებულ გერმანიას უფრო ნაკლები სუვერენიტეტი აქვს, ვიდრე წარსულში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას.....ჩვენი ჯარისკაცები, აგერ უკვე 12 წელია, იბრძვიან ავღანეთში, არა ჩვენი ქვეყნის, არამედ აშშ-ის ინტერესების დასაცავად“.



ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თანამედროვე საქართველოს ყველა „პრადვინუტი“ ბლოგერი თავს ვალდებულად თვლის, „ქართველ-კავკასიელი მამრების“ „მუტრუკობას“, „უკულტურობას“, „უზრდელობას“ და, საზოგადოდ, „ქართველი მამაკაცის“ როგორმე დამცირებას მიუძღვნას ერთი აბზაცი მაინც.**

# დიახ, თქვენ ნამდვილად გაყიდეთ დედა!

**გაზეთის რედაქტორთან მოლაპარაკების თანახმად, საავტორო გვერდის ტექსტის წერას უნდა შევუდგე. რაზე დავწერო? პოლიტიკურ ორომტრიალსა და გაწამაწიაზე? მგონი, არ ღირს. აკი, ამ აყვირებულ ორომტრიალში მუდამ განზე გვრჩება ხოლმე უმთავრესი, ის, რაც რეალურად იწვევს ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და ბევრ სხვა უბედურებას!**
**ასე გადავწყვიტე — ჩემი საავტორო გვერდის თემა ის „მცირე მნიშვნელობის“ ამბები იქნება ხოლმე, რომლის დიდი მნიშვნელობა ბევრმა შეიძლება ვერც შენიშნოს...**

1 000 სიტყვაო, — რედაქტორმა.

თუმცა, ინტერნეტში „სეირნობისას“ ისეთ რამეს გადავაწყდი, ათასი კი არა, შეიძლება, ერთი სიტყვაც ვერ დაძრას სრულ ჭკუაზე მყოფმა ადამიანმა...

ვერ დაძრავ შენ და, დაძრავს სხვა!

თანაც 1 000 სიტყვას კი არ იკმარებენ, რომ მოაღებენ პირს, იმდენს და ისეთს ილაყბებენ, შესაძლოა, ჭკუიდან მართლა გადაგიყვანონ. უბედურება კი ის არის, რომ ამ ადამიანების ლაყბობას „ლექცია“ ჰქვია თურმე, ხოლო თვითონ ამ მოლაყბეებს — მეცნიერები!

აბა, მივყვეთ:

**„მაიკოს ბლოგი“** — ასე ჰქვია ამ ინტერნეტგვერდს, ხოლო იქ გამოქვეყნებული ერთ-ერთი ტექსტი, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი სათაურით გვაგდებს ნამუსზე —

**„ჩვენ, ყველამ, გავყიდეთ დედები!“**

...რა თქმა უნდა, გულისამაჩუყებელიც არის და მისასალმებელიც, როდესაც ადამიანს თავისი დედის მიმართ „დანაშაულის გრძნობა“ ამოძრავებს და გოგონას მხრიდან ასეთი გულჩვილობის გამოვლენა, ბუნებრივია, დააინტერესებს ადამიანს...

მაგრამ, რაც უფრო ღრმად შევდივართ „ბლოგერ მაიკოს“ ფანტაზიებში, მით უფრო გვივარდება ენა და მით უფრო ნაკლებია იმის შანსი, რომ დამუნჯებულებმა რედაქტორს შეპირებული 1 000 სიტყვა როგორმე გავუგზავნოთ.

აი, ამონარიდი „მაიკოს ბლოგის“ ამ კონკრეტული ტექსტის პირველივე აბზაციდან: **„ვნახე, სისხლაჩქეფებული კავკასიელი მამრი სტუდენტი გოგონას მინი ქვედაბოლოს ქვეშ რაღაცას რომ ეძებდა თვალებით...“**

კი მაგრამ, რა შუაშია „სისხლაჩქეფებული მამრი“ „გაყიდული დედების“ თემასთან? რა თქმა უნდა, არც არაფერ შუაშია!

უბრალოდ, ეგაა, რომ **თანამედროვე საქართველოს ყველა „პრადვინუტი“ ბლოგერი თავს ვალდებულად თვლის, „ქართველ-კავკასიელი მამრების“ „მუტრუკობას“, „უკულტურობას“, „უზრდელობას“ და, საზოგადოდ, „ქართველი მამაკაცის“ როგორმე დამცირებას მიუძღვნას ერთი აბზაცი მაინც,** ძირითადი თემა თუნდაც ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში ახალი მომაკვდინებელი ვირუსის გავრცელებას რომც შეეხებოდეს...

თანაც ამ „კავკასიელ-ქართველ“ მამრებს ისეთი „ბრალდებებით“ ასწორებენ მიწასთან, გეგონება, გოგონების მინიკაბისკენ თვალის გაპარება ექსკლუზიურად მათი დამახასიათებელია, ხოლო, დავუშვათ, სკანდინაველი მამაკაცები მხოლოდ მაშინ განიცდიან ერექციას, როდესაც მათ ამის უფლებას რომელიმე კონკრეტული ქალი წერილობით მისცემს და დაუდასტურებს!

**მოკლედ, „ბლოგერმა მაიკომ“ მოიხადა „ლიბერასტული“ ვალი, ანუ „მწარედ უკბინა“ „ქართველ მამრს“ და სულ მალე ამოყო თავი... არც მეტი, არც ნაკლები, „ბატონი ლევან ბერძენიშვილის ფეხებთან“!**

დიახ, დიახ! და კიდევ კარგი, ბლოგერი აზუსტებს — „ლექციაზეო“, თორემ ნამდვილად მეგონებოდა, ლევან ბერძენიშვილმა შინაყმა-მოსამსახურეები გაიჩინა და მათ თავის ფეხებთან ფორთხვას აიძულებს-მეთქი!

თუმცა არა უშავს, ოღონდაც კარგი რამ მოისმინოს და ისწავლოს ადამიანმა, და რა მნიშვნელობა აქვს, ამას მერხზე მჯდომი მოისმენს თუ იატაკზე ფეხმორთხმული...

**მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ ბერძენიშვილის ფერხთით მორთხმული გოგო-ბიჭები თურმე ასეთ რამეს ისმენენ:**

**„მე-17 საუკუნეში ქართველი მამაკაცები დედებს ყიდდნენ და ცხენებს ყიდულობდნენ!“**

რაო? ხედავთ, საიდან სად გადახტა „ქართველი მამაკაცების“ დაკნინების მთელი ციკლი?

საინტერესოა, სად ამოიკითხა მსგავსი იდიოტიზმი ამ „ბრძენკაცის“ იმიჯის პრივატიზებით დაკავებულმა პოლიტიკოს-ლექტორმა? არა! არც კი გქონდეთ იმედი — არც „ბლოგერი მაიკო“ და არც მის გვერდით „მორთხმული“ სხვა მსმენელები წყაროს დასახელებას არ ითხოვენ!




**«ბლოგერი მაიკოს» მტკიცებით, ქართველი ერი გაუმაძღარია, ღორი, უნახავი, ხამი და ამიტომ «ვყიდით დედას»... ვერ გეტყვით, რა დაავადებაა ეს, რომ როგორმე და რამენაირად საკუთარი ერი ლანძღო, თანაც უარგუმენტოდ და 20 წლის ადამიანს დააჯერო, რომ ყველაფერი ცუდი, უბედური და ბინძური შენი ერის «უნიკალური თვისებებია»?**

**„ქართველი მამაკაცის“ თათხვას და ლანძღვას განა რა წყარო და დასაბუთება სჭირდება?!**

თუმცა ჯერ სად ხართ!

არათუ რიგითი „ქართველი მამრების“, არამედ მართლაც გამორჩეული, გამოჩენილი და ერის უდიდესი შვილების ვილაც „ვიგინდარა მამრებივით“ ლანძღვაც გველის წინ!

აბა, ყური უგდეთ: **„ჩვენ ვართ ერი, რომელმაც ილია და აკაკი ისე დაამეგობრა რუსთაველის გამზირზე, მხოლოდ ოცი წლისამ გავიგე (მადლობა თამაზ ჯოლოგუას!) ერთმანეთისთვის იმდროინდელ ლექსიკონში აღნუსხულ-აღუნუსხავი ყველა უწმაწური სიტყვა რომ ჰქონდათ ნათქვამი“...**

ნუ გგონიათ, რამე ვერ გაიგეთ. სწორედ ეს წერია აქ, რომ **თურმე ილია და აკაკი, ერთმანეთის მეგობრები კი არა, მოსისხლე მტრები იყვნენ და რუსთაველზე დადგმული მათი ერთობლივი ძეგლი მხოლოდ ქართველი ერის მიერ მომავალი თაობების „მოტყუება“და მეტი არაფერი!**

„მადლობა თამაზ ჯოლოგუას!“ — ამ ფრაზამ მიიქცია ჩემი ყურადღება.

ეს ფრიად პატივცემული ადამიანი 3 წელიწადი მასწავლიდა და ჩემთვის მსგავსი იდიოტიზმი არასოდეს უთქვამს! **რა ხდება? ბატონ თამაზ ჯოლოგუას „ლიბერასტულმა ფულმა“ აურია „რამსები“ და მათი „პლასტინკით“ დაიწყო დაკვრა თუ „ბლოგერ მაიკოს“ ესმის რაღაც არასწორად?**

ნუთუ ილიასა და აკაკის ხშირ კამათზეა საუბარი და ეს ვინმესთვის საკმარისი არგუმენტია, განაცხადოს, რუსთაველზე ილიასა და აკაკის, ამ „დაუძინებელი მტრების“, ძეგლი ერთად არ უნდა იდგესო?

ნუთუ, **აკაკის მიერ ილიას მკვლელობის გამო წარმოთქმული სულისშემძვრელი სიტყვები მაინც არ წაუკითხავთ, არ გაუგონიათ?**

სიტყვამ მოიტანა და სწორედ აკაკის მიერ ილიას მკვლელობის გამო წარმოთქმული სიტყვები მახსენდება ახლაც — „ბლოგერ მაიკოს“ უაღრესად სულელური ტექსტის კითხვისას — „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!“

თუმცა რა, გგონიათ ამას ისე გაიგებენ, დიდმა აკაკიმ რატომაც თქვა? ისეთივე გულისტკივილით ამოიძახებენ?

სულაც არა! ისინი ტკივილით კი არა, უდიდესი სიამოვნებით, ცინიზმით, ერთგვარი ნეტარებით განაგრძობენ: „ქართველების რამდენიმე თვისებას გავკარით კბილი“... „ქართველების უნიკალურ თვისებაზე დავფიქრდით“ და მოჰყვება ამას ქართველი ერისადმი არა ტკივილიანი საყვედური, არამედ გახარებული, აღფრთოვანებული ლანძღვა-გინება!

**„გაყიდული დედების“ თემა სადღა დაიკარგაო? — იკითხავს მკითხველი... სწორედაც რომ! ამ ტექსტის არსი ლევან ბერძენიშვილისა (მჯერა, რადგან ადრეც მომისმენია) და თამაზ ჯოლოგუას (არ მჯერა, რადგან აქამდე არასოდეს მომისმენია), აგრეთვე, „ბლოგერ მაიკოს“ მიერ ქართველი ერის დაუნდობელი და საზეიმო ლანძღვაა სწორედ!**

მხოლოდ ერთდერთი აბზაცითაა აღნიშნული, რომ ქართველები საკუთარ დედებს დღესაც ყიდიან, როდესაც მათ სამუშაოდ საზღვარგარეთ უშვებენ!

თურმე ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ქართველებს „აიფონები“ გვინდა და ჩვეულებრივი „ნოკიები“ არ გვაკმაყოფილებს, თორემ სხვა მხრივ ყველაფერი რიგზეა ჩვენს სახელმწიფოში!

**როგორც ვიცი, ქართველი დედები უცხოეთში სამუშაოდ იმიტომ მიდიან, რომ ოჯახები შიმშილით ელუპებათ. ევროპა-ამერიკაში გამილიონერებული ქართველი კი ჯერ არ მინახავს! თუმცა, „ბლოგერ მაიკოს“ მტკიცებით, ქართველი ერი გაუმაძღარია, ღორი, უნახავი, ხამი და ამიტომ „ვყიდით დედას“...**

**ვერ გეტყვით, რა დაავადებაა ეს, როგორმე და რამენაირად საკუთარი ერი ლანძღო, თანაც უარგუმენტოდ და 20 წლის ადამიანს დააჯერო, რომ ყველაფერი ცუდი, უბედური და ბინძური შენი ერის „უნიკალური თვისებებია“?**

ერთს კი შევახსენებ „ბლოგერ მაიკოსა“ და მის „ბრძენ ლექტორებს“: ილია ჭავჭავაძე, ანუ ის ადამიანი, რომელსაც აკაკი წერეთელი თურმე უშვერი სიტყვებით თათხავდა, სწორედ ეგ ილია, საქართველოს ისტორიას ასე მოიხსენიებდა ხოლმე — „დედა ისტორია!“

**ჰოდა, ახლა კიდევ ერთხელ გადახედეთ ჩემი წერილის სათაურს...**

**ამ ტექსტის არსი ლევან ბერძენიშვილისა (მჯერა, რადგან ადრეც მომისმენია) და თამაზ ჯოლოგუას (არ მჯერა, რადგან აქამდე არასოდეს მომისმენია), აგრეთვე, «ბლოგერ მაიკოს» მიერ ქართველი ერის დაუნდობელი და საზეიმო ლანძღვაა!**

მოკლედ

## ბულგარეთის ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე ჯავშანტექნიკის განლაგების უფლებას აშშ-ს არ მისცემს



**თუკი ამერიკელები გვთხოვენ ბულგარეთის ტერიტორიაზე ტანკებისა და სხვა დაჯავშნილი ტექნიკის განლაგებას, ამ ეტაპზე ჩვენი პასუხი იქნება „არა!“ — განაცხადა ბულგარეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა სამხედრო საზღვაო ძალების სარდალმა, ვიცეადმირალმა რუმენ ნიკოლოვმა.**

ცოტა ხნით ადრე დასავლეთის რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალ ბენ ჰოჯესის განცხადება, რომ აშშ-ს განზრახული აქვს 150 საბრძოლო მანქანის შეყვანა ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, მათ შორის ბულგარეთშიც. რუმენ ნიკოლოვის განცხადებით, ბულგარეთში ამერიკული ტანკების განლაგების საკითხი არც კი განიხილება.

ძმები ხაინდრავები, ძმები ბერძენიშვილები და ცოლ-ქმარი ხიდაშელ-უსუფაშვილი, კარგა ხანია, აითვალწუნა ქართველმა საზოგადოებამ. არც ბიძინა ივანიშვილს უწონებდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მათთვის წამყვანი საპარლამენტო თანამდებობების მიცემას, მაგრამ ამჯერად რესპუბლიკელებს ღალატში „თავისუფალმა დემოკრატებმა“ გადაასწრეს და ამ საქმეში გამოცდილი ძმები და ცოლ-ქმრებიც კი სახტად დატოვეს!

ჩეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გასაღებდაკარგულები

**ბავშვმაც კი იცის, — თუ გოგა ხაინდრავამ ვინმეს კბილი დაადგა, ე. ი. იმ ვინმეს პოლიტიკური სიკვდილის ბუზი აზის. თუ არ აზის, მის სიახლოვეს დაფრინავს და დიდი დრო არ უნდა, წაიქცეს, ხოლო წაქცეულს ორგზის სახელმწიფო მინისტრმა და შეთავსებით კინორეჟისორმა, ერთი პატიოსანი ცხოველივით, ტყუპი წიხლი უნდა მიაყოლოს! ჯერ იყო და ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა; მაშინ პოლიტპატიმრობას გამოჰკრა ხელი და სამხედრო გადატრიალების შემდეგ სხვა კამერტონზე აეწყო.**

## ძმობა და მეგობრობა კინოდოკუმენტალისტ გოგა ხაინდრავას შემოქმედებაში

„პუტჩის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა კანონიერი ხელისუფლების მომხრეების დევნა-შევიწროებაში,“ – გვამცნობს ვიკიპედია. გოგა ხაინდრავა, რომელმაც „ოპერატიულად“ მოაგროვა კარლ ბილდტის, მიხეილ სააკაშვილის ლობისტის, მამხილებელი დოკუმენტები, როგორც ჩანს, ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი არ უნდა იყოს, თორემ, სულ ცოტა, ზემოთ მოყვანილ ციტატას მაინც გააპროტესტებდა; თუმცა არის მეორე ვერსიაც – მას სწორედაც რომ ეამაყება კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა დევნა-შევიწროება!

იმავე ვიკიპედიის ერთობ მცირე სტატიაში ვკითხულობთ: „1991-1992 წლებში ჩაერთო პოლიტიკურ მოვლენებში და სამხედრო გადატრიალების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური იყო. დაპატიმრებული იქნა იმდროინდელი ხელისუფლების მიერ. 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო“.

მერე იყო და აფხაზეთის ომში, რომელშიც ისედაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, არც მეტი და არც ნაკლები, აფხაზეთის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პორტფელი ჩაიბარა. მისი მოგვარებული საკითხი არავის ახსოვს და სიტყვა „პორტფელიც“ ზრდილობისთვის ვახსენეთ, თორემ იმჟამად იგი უპორტფელო მინისტრი იყო; **თუმცა ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ხალხში უმალ გავრცელებულიყო ხმები ხაინდრავას „ბიზნესპორტფელის“ შესახებ, რომელიც ყბადაღებული მაროდიორობის თუ ნარკოტიკების ტრანზიტით ივსებოდა. დღეს ამას კაცი ვერ იტყვის დანამდვილებით, მაგრამ, როგორც ხაინდრავას მომდევნო მეგობრებს — „ნაციონალებს“ უყვარდათ თქმა, „გონივრული ეჭვი“ გაჩნდა და დიდი მითქმა-მოთქმაც გამოიწვია.**

სახელმწიფო მინისტრობიდან ჩუმად წავიდა, კერძო გალერეაც გახსნა და პატარა ბიზნესსაც მიხედა, თუმცა პოლიტიკის ახლომახლო მაინც ტრიალებდა. **2003 წელს შევარდნაძის პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო, რაც მოგვიანებით იმით ახსნა, რომ იგი მისი მეგობარი იყო, მაგრამ, როგორც კი მორიგი გადატრიალება გაფორმდა „ვარდების რევოლუციის“ სახელით, უმალ სააკაშვილის ბანაკში ისკუპა და მეორე დღესვე გუშინდელ თანაგუნდელებს მიაყოლა ტყუპი წიხლი.** სააკაშვილმაც დაუფასა გარჯა და სულ მალე, 2004 წლის თებერვალში კვლავ სახელმწიფო მინისტრად დანიშნა. დიდხანს ვერც იქ გაძლო და 2006 წელს, როცა შეიტყო, რომ მისი გათავისუფლება იყო განზრახული, პირდაპირ ეთერში ხმამაღალი განცხადებები გააკეთა, რითაც თვით „პიარის დიდოსტატად“ შერაცხულ სააკაშვილს დაასწრო და ისევ პოლიტდევნილის მანტია მოისხა. ეროვნული ხელისუფლების შეცდომა მიხეილმა აღარ გაიმეორა და, რამდენსაც არ ეცადა ხაინდრავა, დაპატიმრებას ვერ ეღირსა.

იმჟამინდელმა პრესამ მას ბევრი რამ ამოუქექა. გაუხსენეს შალვა ნათელაშვილის ფრთოსანი ფრაზა: **„ყველაზე ცნობილი ნარკომანი პოლიტიკოსთა შორის და ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსი ნარკომანებში“.** ისიც გაუხსენეს, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას გოგა ხაინდრავამ ორჯერ თქვა უარი, გაევლო ნარკოტესტი და ჯარიმის გადახდა ამჯობინა. ამ ხმების გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აღიარა, თუ როგორ იჯდა წამალზე და კარგა ხანს „იჩხირავდა“.

ერთი ამონარიდი იმჟამინდელი პუბლიკაციიდან: **„სააკაშვილის ნარკომანობაზე ის კაცი ლაპარაკობს, რომელმაც მთელი ცხოვრება კაიფში გაატარა, კაიფობდა მაშინ, როცა სახელმწიფო მინისტრი იყო აფხაზეთში, კაიფობდა მაშინ, როცა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გახლდათ.**

ცნობილი ისტორიაა: ერთხელ ცხინვალში ჩასულ „გოგა ხაინდრავას ბორის ჩოჩიევის კაბინეტში „პერედოზიროვკა“ დაემართა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მთავარმა ექიმმა ადრენალინის ორმაგი დოზა გაუკეთა და სიკვდილს ასე გადაარჩინა. აი, ასეთი მინისტრი იყო ხაინდრავა“.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ, საკუთარი კონიუნქტურიდან გამომდინარე, გოგა ხაინდრავა ხშირად სიმართლესაც ამბობს ხოლმე, მაგრამ მისი ბიოგრაფიისა და მორალის კაცს სიმართლესაც აღარ უჯერებენ. რამდენიმე ასეთი სიმართლე ახლაც გაახმიანა – დღეს უკვე „ქართული ოცნების“ „ალალი და უანგარო მეგობრის“ სტატუსით.



დაგმო და დაამიწა რესპუბლიკური პარტია, როგორც კოალიციის შიგნიდან ძირის გამომთხრელი. ამ შემთხვევაშიც, როგორც „რევოლუციის“ მომენტში, მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი იმ გარემოებას, რომ მისი ღვიძლი ძმა – ივლიანე ხაინდრავა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია და შეთავსებით პრეზიდენტ მარგველაშვილის უშიშროების საბჭოს მდივანიც გახლავთ.

ოჰ, ეს პრეზიდენტის ადმინისტრაცია! რა უშნოდ დაებედა სხვადასხვა ბანაკში მყოფი ძმები! ჯერ „ნაცმოს“ სახის, მიხეილ მაჭავარიანის, ძმა – ვანო იღვწოდა იქ, რომელსაც მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გაცეცხლების შემდეგ დაატოვებინეს ავლაბრის რეზიდენცია; ახლაა და სულ ცოტა ხნის წინათ დანიშნულ ივლიანე ხაინდრავას საკუთარი ძმის მკვახე განცხადებებმა შეიძლება შეუყენოს წყალი!

**ძმები ხაინდრავები, ძმები ბერძენიშვილები და ცოლ-ქმარი ხიდაშელ-უსუფაშვილი, კარგა ხანია, აითვალწუნა ქართველმა საზოგადოებამ. არც ბიძინა ივანიშვილს უწონებდნენ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მათთვის წამყვანი საპარლამენტო თანამდებობების მიცემას, მაგრამ ამჯერად რესპუბლიკელებს ღალატში „თავისუფალმა დემოკრატებმა“ გადაასწრეს და ამ საქმეში გამოცდილი ძმები და ცოლ-ქმრებიც კი სახტად დატოვეს!** გოგა ხაინდრავამ ამჯერადაც სიმართლე თქვა, ოღონდ ამჯერადაც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ ამბობს ყველასთვის დიდი ხნის წინათ ცნობილ სიმართლეს!

აფორიზმი — **„დროული ღალატი არ არის ღალატი, ეს წინასწარ განჭვრეტაა“** სრულიად ერგება გოგა ხაინდრავას. ის ახლაც ამ ფორმულით იქცევა, მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკელებში არამხოლოდ მისი ძმა, არამედ მისი დიდი ხნის მეგობრები არიან.

ერთ ვეტოიან დღეს ჟურნალისტები ემოციურ და საინტერესო პოლიტიკურ შეფასებებს ელოდნენ გოგა ხაინდრავასგან. საბაბი მისი, როგორც ყოველთვის, თამამი და მოუზომავი განცხადება იყო: **„60 წლის ვხდები და ჯერ ასეთი მთავრობა საქართველოში არ მახსოვს“.** სწორედ ამის განმარტებას ითხოვდნენ ჟურნალისტები. **„კონტექსტს არ კითხულობთ. ამაშია თქვენი, ჟურნალისტების, პრობლემა. მე ვიგულისხმე, რომ არ მახსოვს, ხელისუფლებას არ ჰყავდეს საკუთარი პრესა, ჟურნალისტები. პირველი არხიც კი არ ემსახურება სახელმწიფოს“**, – მორიგი სიმართლე თქვა ხაინდრავამ. ის მართალია, რადგან, როგორც წესი, ჟურნალისტები მართლაც მხოლოდ სათაურებს კითხულობენ, თორემ ადვილად შეამჩნევდნენ, რომ გოგას ეს არ უგულისხმია.

მან იგულისხმა ის, რაც შემდეგ ციტატაშია: „როგორც წესი, ხელისუფლება იყო ბატონი და ყველა დანარჩენი — ყმები. დღეს ყმა მთავრობა უფრო მგონია და ბატონები — საზოგადოება. სხვა საქმეა, თუ მოთხოვნა უფრო დიდია და დაკმაყოფილება ამ მოთხოვნის არ ხდება, მაგრამ ასეთი აქტიური საზოგადოება და ამდენად მწვავე კრიტიკის ქარცეცხლში მყოფი ხელისუფლება საქართველოში ცოტა მახსოვს“. და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ესეც სიმართლეა, ოღონდ ხელისუფლების მხრიდან დანახული. ხაინდრავაც იქიდან იყურება.

ამის შემდეგ იგი, როგორ სჩვევია, ისევ „ქუჩურზე“ გადავიდა: **„ჩვენ პოლიტიკურ სპექტრს გასაღები დაკარგული აქვს, განსაკუთრებით, არასამთავრობოებს, პრეზიდენტს და რესპუბლიკელებს (იგულისხმება მოსმენების გასაღები, თუმცა არა მხოლოდ ის — თ.დ.). ყოფილი კოალიციის წევრები არ ენდობიან საკუთარ მთავრობას. პარლამენტის თავმჯდომარეა უსუფაშვილი, რამდენიმე კომიტეტის თავმჯდომარე ჰყავთ; ალასანიას პარტიასაც — ვიცესპიკერი, მინისტრები... მე ერთი ვიცი: „ვინც იხდის, ის უკვეთს მუსიკას“.** ეს არასამთავრობოები ყველას ინტერესს ატარებენ, ქართული სახელმწიფოს გარდა“!

ვიცით, ბატონო გოგა, ვიცით! ეს ამბავი დღეს თქვენ აღმოაჩინეთ, თორემ ჩვენ, კარგა ხანია, ვიცით. ამის შემდეგ „მართალი ხაინდრავა“ პრეზიდენტს გადასწვდა (ღირსი არაა თუ რა**?): „გიორგის უნდა ვკითხო, ვისთან შეიმუშავა 8 საათში ახალი ვარიანტი, როგორ მოიფიქრეს? ზეპირად ვიცი, ვინ არიან, სახელებით და გვარებით“. ეცოდინება — ერთი მათგანი, ვინც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს, გვარად ასევე ხაინდრავაა, სახელად — ივლიანე და ჩვენი ფიგურანტის ალალი ძმაა.**

აკი, მოგახსენებდით, ბავშვმაც კი იცის, — თუ გოგა ხაინდრავამ ვინმეს კბილი დაადგა, ე. ი. იმ „ვინმეს“ პოლიტიკური სიკვდილის ბუზი აზის. ახლა ეს ბუზი რესპუბლიკელებს დასტრიალებს და სადაცაა, შუბლზე დააჯდება! ისინიც გრძნობენ და იმაზე ზრუნვა დაიწყეს, რაც „ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება — პიარზე! ძმებ ბერძენიშვილებს აღარც პიარი უშველით და აღარც „პრიპარკები“, ამიტომ ცოლ-ქმარმა ხიდაშელ-უსუფაშვილმა საკუთარი თავის გადარჩენაზე დაიწყო ზრუნვა და აი, გამოცხვა ტელეიმედში „პიარშედევრი“ მომდურებული ცოლ-ქმრის შერიგებისა; ბიუროს სხდომაზე დავით უსუფაშვილმა ერთობ გაბედულად მიმართა ქალბატონ თინას: „ქალბატონო თინა, ან დაწყნარდით, ან დატოვეთ ოთახი“! ოთახს გარეთ ცოლ-ქმარი ერთად სხედან და პარლამენტის თავმჯდომარე შემრიგებლურად მიმართავს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს: „მომეცი ხელი“! ისიც ნარნარად აწვდის ხელს და კადრს მიღმა კლოდ ლელუშის „ქალის და მამაკაცის“ ჰანგები იღვრება...

**ძნელი მოსაფიქრებელია ამაზე უფრო აშკარა ანტიპიარი, როცა ლუარსაბისა და დარეჯანის კომპლექციის წყვილი რომანტიული მელოდიის ფონზე რიგდება, მაგრამ უარესი წინ იყო; დავით უსუფაშვილმა გაიხსენა, როგორი ცელქი სტუდენტი იყო თინა ხიდაშელი: „ტროტუარის ნაცვლად ბორდიურზე ადიოდა, ზემოთ უნდა ყოფილიყო“. მეუღლემაც ტოლი არ დაუდო და განაცხადა, მაგის ყველა შენიშვნაზე რომ ოთახიდან გავსულიყავი, მაშინ სულ გარეთ უნდა ვყოფილიყავიო...**

**ყოფილიყავით, ბატონო, გარეთ, აგერ, თავად გოგა ხაინდრავაც არ არის მაგის წინააღმდეგი და დანარჩენი საქართველო — მით უფრო! მაგრამ თქვენი რა ბრალია, როცა თვითონ ბიძინა ივანიშვილმა გამოგარჩიათ და ხელში მოგცათ, ქვეყნის თუ არა, პარლამენტის მართვის სადავეები!**

**გოგა ხაინდრავამ კიდევ ერთი სიმართლე თქვა, როცა განაცხადა, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს ოიდიპოსის სინდრომი აქვს. იქვე მან ისიც დააზუსტა, რომ საქართველო ჩვენი დედაა. კონტექსტიდან ამოგლეჯილ ციტატებში რომ არ დაგვადანაშაულოს, ჩვენო მკითხველო, თავად გადაიკითხე, როგორ დაქორწინდა საკუთარ დედაზე ოიდიპოსი და რას უნდა ნიშნავდეს გოგა ხაინდრავას მორიგი „მართალი“ მინიშნება!**

**თამარ დავითულიანი**

**P.S. გასაღებდაკარგულს ქალაქელები იმ ადამიანს უწოდებდნენ, რომელსაც გზა-კვალიც არეული ჰქონდა და საკუთარ „ერთ ადგილს“ ველარ აგნებდა. ამ წერილიდან დაასკვენით, მხოლოდ რესპუბლიკელებს, პრეზიდენტს და არასამთავრობოებს აქვთ დაკარგული გასაღები თუ სხვებსაც და არის თუ არა მათ შორის ორგზის სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა!**

საქართველო და მსოფლიო
რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნეტავ, საქართველოში სულელთა რაოდენობა (რომლებიც თავს „დიდ პატრიოტებად“ ასაღებენ) გაცილებით მეტია იმ კილომეტრებზე, რამდენის გავლაც შეუძლია რუსულ ბალისტიკურ რაკეტას გასანადგურებელ მიზნამდე მისაღწევად?**

# რამდენიმე ათასი კილომეტრი







# და რამდენიმე ათასი სულელი

**დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ჟიულ ვერნის ფანტაზია „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ რეალობად იქცა. წყალქვეშ და „თხევად სივრცეში“ კი არა, უკვე ჰაერშიც აღარავის უკვირს მოძრავი სხეულის რამდენიმე ათას კილომეტრზე გადაადგილება.**

სამაგიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეს ათასობით კილომეტრზე მონავარდე „მოძრავი სხეულები“ არ უკვირთ, მაგრამ შეუძლიათ, საჭიროებისამებრ, დაივიწყონ და ამ „გულმავიწყობით“ ფანტასტიკის ჟანრში შეჭრილი ფრაზებით დაგვამახსოვრონ თავი.

ფანტასტიკა ცუდი არ არის, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც საქმე მწერალს ან თუნდაც ძილის წინ ბავშვებისთვის ზღაპრების მომყოლს ეხება. ხოლო, როდესაც საქმე გვაქვს იმ ადამიანებთან, რომელთა სიტყვაზე, აზროვნებასა და მოქმედებაზე სახელმწიფოს ბედია დამოკიდებული, მაშინ მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „დახვეწილი დემაგოგები“ ან „ელემენტარული სულელები“.

უბრალოდ, ძალიან საწყენია, რომ გინდ ერთნი და გინდ მეორენი შენი სახელმწიფოს, შენი სამშობლოს ბედს წყვეტენ. ასეთი ტიპის სულელები ბევრი არ უნდა იყოს, მაგრამ როდესაც რამდენიმე ათას სულელს პრივილეგიური მდგომარეობა უჭირავს, თავისუფლად შეუძლიათ, დალუპონ მილიონობით ადამიანი...

**ოფიციალური ცნობა:**

**„რუსეთმა წარმატებით დაასრულა წყალქვეშა ნავიდან გაშვებული ახალი ბალისტიკური რაკეტის გამოცდა. ამ უახლესი ტექნოლოგიის რაკეტას შეუძლია 11 ათასი კილომეტრით დაშორებული მიზნის განადგურება“.**

არა, ნამდვილად არ მგონია, რომ ამ უძვირეს რაკეტას რუსეთი აუცილებლად თბილისს დაუმიზნებს. ეს სისულელეა, რადგან ასეთი სცენა ბუზის ზარბაზნით მოსპობას მაგონებს...

მაგრამ ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **როდესაც უსმენ პოლიტიკოსს, რომელიც ამბობს, „თუკი სოხუმი-ერევნის რკინიგზა გაიხსნება, მაშინ რუსეთს გაუადვილდება ჩვენი დაპყრობა“-ო, მართლა შეიძლება მოკვდე კაცი სიცილით, მწარე რეალობა რომ არ გეუბნებოდეს, — ეს კონკრეტული სულელი შენი ქვეყნის, შენი სამშობლოს მიერ „ექსპერტად“ აღიარებული პოლიტიკოსი პაატა დავითაიაა!**

**„როგორც ჩანს, პუტინი რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს!“** — აი, ამ მწარე სისულელის ავტორი კი არის, არც მეტი, არც ნაკლები — შენი სამშობლოს, შენი ქვეყნის მინისტრი, თანაც შერიგებისა და თანასწორობის საკითხების მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი!**

აქვე მინდა, ყურადღება მიაქციოთ სიტყვებს — „როგორც ჩანს“, ანუ ბატონი მინისტრი აქამდე ფიქრობდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი, შესაძლოა, რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესებით მოქმედებდა. და აგერ, **მხოლოდ 10-12-წლიანი** დაკვირვების შედეგად გამოიტანა სენსაციური დასკვნა — რუსეთის პრეზიდენტი თურმე (როგორც ჩანსო, ანუ მთლად დარწმუნებული მაინც არ არის) რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს!

**„თუკი ევროპა და ამერიკა დაარწმუნებენ რუსეთს, რომ ომისთვის მზად არიან, რუსეთი შეჩერდება!“** — ეს, ყველას გახსოვთ, რომ „უდიდესი“ ქართველი ქალი-პოლიტიკოსის, პარლამენტარ **თინა ხიდაშელის** „ბრძნული ნააზრევია“.

ნებისმიერი ჭკუათმყოფელი დამეთანხმება, რომ ეს ისეთი ფრაზაა, როდესაც უნდა გაჩუმდე, მთქმელს თვალებში ჩახედო და შეეცადო, გაარკვიო, წამორროშილი სისულელე მართლა სჯერა თუ, უბრალოდ, ამის თქმა მართლა ვილაც „ბნელ-მასონმა“ ძალებმა დაავალეს.

„მასონური თეორიის“ მიმდევარი არასოდეს ვყოფილვარ და ამიტომ იძულებული ვხდები, ისევ „სულელთა თეორიაზე“ გავაკეთო აქცენტი. ეს თეორია კი პირდაპირ და დაუნდობლად მეუბნება შიშველ სიმართლეს იმის თაობაზე, რომ **ჩემს ქვეყანას უკვე 25 წელიწადია (განსაკუთრებით კი — ბოლო 11 წელიწადი), წარმოუდგენელი სულელები მართავენ!**

ნუ გაგიკვირდებათ — **შეგნებულად არ გავყავი ის „ავბედითი 9 წელიწადი“ და ბოლო 2 „აყვავების წელიწადი“ რადგან მიმაჩნია, რომ აი, ამ ძირითად სისულელეებში „მაშინდელნი“ და „ახლანდელნი“ ზუსტად ერთნაირი სულელები არიან!**

**„ჩვენ ავაშენეთ მცხეთიდან ქუთაისამდე ავტომაგისტრალის გაყოლებით მთებში ბეტონის სიმაგრეები და ამიტომ რუსებს ძალიან გაუჭირდებათ ამ გზის გამოვლა და თბილისში შემოსვლა. ამ სიმაგრეებიდან, არტილერიის ცეცხლით ჩვენ შეგვიძლია დიდი ხნით შევაჩეროთ მოწინააღმდეგე,“** — ამ ფრაზის მთქმელი, რა თქმა უნდა, ყველამ იცანით, რომ ჩვენი ყოფილი „გმირი და ბრძენი“ პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილია**.

ჰოდა, მოდით, აბა, და დამიმტკიცეთ, რომ ზემოთ მოყვანილი სამივე სულელური ფრაზა „დიდი მიშას“ ამ ერთ უიდიოტურეს ფრაზაში არ ერთიანდება!

ძალიან გამიჭირება ამ ფრაზების ანალიზი და მათი წარმომთქმელების გონებრივი შესაძლებლობების შეფასება. უბრალოდ, დავალაგოთ თანმიმდევრობით:

**1. რუსეთი ელოდება რკინიგზის გახსნას,** რათა შემდეგ თბილისში საოკუპაციო ძალები კომფორტულად „კუპირებული“ ან „ესვე“ ვაგონებით გამოგზავნოს;

**2. რუსეთი მოქმედებს მხოლოდ რუსეთის ინტერესებით.** აი, როგორც კი რუსეთი დაიწყებს ინდონეზიის, კანადის, მონტენეგროს, პაპუა-ახალი გვინეის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოქმედებას, მაშინვე დაგვიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს;

**3. თუ ევროპა და ამერიკა დაარწმუნებენ რუსეთს, რომ მზად არიან ომისთვის,** რუსეთი გამოსცემს სპეციალურ განკარგულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის საზღვრებში შესვლისთანავე ყველა ქართველს სალამოობით ფეხები უნდა დაუთბილონ!

**4. თუ რუსეთი გადაწყვეტს თბილისის აღებას, ის აუცილებლად წამოვა ცენტრალური ავტომაგისტრალით ქუთაისიდან მცხეთის გავლით!** აბა, ოცდამეერთე საუკუნეში რაღა დროს ცხრა მთის გადალახვა და უაზრო სამხედრო მანევრებია?! აგერაა გაშანშალებული ბეტონის გზატკეცილი და დააწექი კომფორტულად!

დასკვნა?

არა, დასკვნას ნამდვილად ვერ გავაკეთებ. ეს ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება!

უბრალოდ, მართლა მინდა, ვიპოვო მიახლოებითი პასუხი მაინც კითხვაზე: **ნეტავ, საქართველოში სულელთა რაოდენობა (რომლებიც თავს „დიდ პატრიოტებად“ ასაღებენ) გაცილებით მეტია იმ კილომეტრებზე, რამდენის გავლაც შეუძლია რუსულ ბალისტიკურ რაკეტას გასანადგურებელ მიზნამდე მისაღწევად?**

**ბაკურ სვანიძე**

**«როგორც ჩანს, პუტინი რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს!» — აი, ამ მწარე სისულელის ავტორი კი არის, არც მეტი, არც ნაკლები, შენი სამშობლოს, შენი ქვეყნის მინისტრი, თანაც შერიგებისა და თანასწორობის საკითხების მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი!**



**როდესაც უსმენ პოლიტიკოსს, რომელიც ამბობს, «თუკი სოხუმი-ერევნის რკინიგზა გაიხსნება, მაშინ რუსეთს გაუადვილდება ჩვენი დაპყრობაო», მართლა შეიძლება მოკვდე კაცი სიცილით, მწარე რეალობა რომ არ გეუბნებოდეს, ეს კონკრეტული სულელი შენი ქვეყნის, შენი სამშობლოს მიერ «ექსპერტად» აღიარებული პოლიტიკოსი პაატა დავითაიაა!**

---

მსოფლიო

## ქალაქ დეირ ეზ-ზორში «ისლამური სახელმწიფოს» შტაბი გაანადგურეს

**სირიის არმიის ქვედანაყოფებმა, სახალხო მოლაშქრეებთან ერთად, ქვეყნის ჩრდილო აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ დეირ ეზ-ზორში „ისლამური სახელმწიფოს“ შტაბ-ბინა გაანადგურეს.**

სირიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის შედეგად დეირ ეზ-ზორში ისლამისტების შტაბის გარდა, რაიონ ელ-ჯაზარიაში ლიკვიდირებულია 30 მ სიგრძის მიწისქვეშა გვირაბი, ხოლო ქუვეიჯის, ალ-ჰუვეიკისა და ალ-რაშიდიას რაიონებში — ტერორისტების რამდენიმე ჯგუფი.

სირიაში 2011 წლის მარტიდან გრძელდება შეიარაღებული კონფლიქტი, რომელმაც, გაეროს მონაცემებით, თითქმის 200 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სირიის სამთავრობო ჯარებს უპირისპირდებიან სხვადასხვა შეიარაღებული დაჯგუფების „ბოევიკები“, მათ შორის, უცხოეთიდან ჩასულები.



**„ეს საბავშვო ბაღი 2008 წლის აგვისტოში ომის ფასად დაგვიჯდა. დაახლოებით ასე ფიქრობდნენ თავის დროზე „ნაცებიც“. მათ ეგონათ, რომ ამერიკა და ევროპა ჩვენ გამო ომს დაიწყებდნენ და მოაწყვეს ავანტიურა“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



აკაკი ასათიანი:

# ხელისუფლება ხმის ამოღებას ვერ ბედავს, კოალიციას «ნაცების» შიშით გული უსკდება!

**საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი გვესაუბრება.**

**— ბატონო აკაკი, 24 ნოემბერს რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებამ თბილისში არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია. ბევრი თვლის, რომ აღნიშნული დოკუმენტით ახალი თითქმის არაფერი მომხდარა, ზოგი კი ამ ფაქტს ღია ანექსიას უწოდებს. სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ეს ყველაფერი ასე ახსნა: რუსეთმა ხელშეკრულების დადება იმიტომ დააჩქარა, რომ შეეშინდა, ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების ფონზე აფხაზებსაც არ გასჩენოდათ დასავლური სტრუქტურებისკენ სწრაფვის სურვილი...**

— ვფიქრობ, ზაქარეიშვილი და მთლიანად ხელისუფლება პინგ-პონგს ეთამაშება საკუთარ თავს, რითაც დიდ სისულელეს აკეთებენ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა უკრაინის კრიზისი დაიწყო, რუსეთმა პირდაპირ განაცხადა, გამოსავალი უკრაინის ფედერალიზაცია იქნებაო. მაშინვე ცხადი გახდა, რომ ამ განცხადებაში ჩვენც ვიგულისხმებოდით. **სხვა საკითხია, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი უკრაინისთვის, მაგრამ ჩვენთვის ნიშნავდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მობმას, ანუ, როგორც ჩანს, რუსეთში გარკვეული ძალები თვლიდნენ, რომ ეს კარგი წინადადება იყო და ეგონათ, ამას მივხვდებოდით.** ვიღაც, ალბათ, მიხვდა კიდეც, მე მივხვდი, ყოველ შემთხვევაში, მაგრამ საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლებისგან ვერ მოისმინეს ადეკვატური განცხადებები და შემდეგ მივიღეთ სულ სხვა პროცესები...

**— იქნებ უნდობლობის მომენტიც იყო რუსების მიმართ და ამიტომაც არ მოისურვა ჩვენმა ხელისუფლებამ მოლაპარაკებები? ან იქნებ დასავლეთმა დაბლოკა ეს პროცესი?**

— ვერც დასავლეთი და ვერც სხვა გარე ძალა ვერ დაბლოკავს შენს ინტერესებს, თუ თვითონ არ დააყენებ ამ ინტერესებს მეორე და მესამე პლანზე.

რაც შეეხება პუტინის ინიციატივას, კაცმა, რომელიც შერაცხილია მონსტრად და ტერიტორიების მიმტაცებლად, პირდაპირ განაცხადა, თუ საქართველო იფიქრებს ამაზე (ფედერალიზაციაზე იყო საუბარი), პროცესს ხელს შევუწყობთო. მას არ უთქვამს, რის სანაცვლოდ, მაგრამ დაახლოებით ყველას გვესმის... აქ იყო კიდევ ერთი დადებითი მომენტი — ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას რუსეთი აგრესიულად არ შეხვედრია. ეს კი არა, მან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიც არ გააუქმა საქართველოსთან, ანუ ჩანდა ნიშნები იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მზად იყო საქართველოსთან დიალოგისთვის; ჩანდა, რომ მათ სურდათ ურთიერთობის დარეგულირება, მაგრამ არ გადაიდგა შემხვედრი ნაბიჯები; უფრო სწორად, არ გადაიდგა ადეკვატური ნაბიჯები.

**— რატომ არ წავიდა ჩვენი ხელისუფლება ფედერალიზაციის იდეის განხილვაზე და რატომ არ დაიწყო მან ამის შესახებ მოლაპარაკებები რუსეთთან ან თუნდაც აფხაზებთან?**

— მე მარტივი შეფასება მაქვს: დღეს ვერავინ ბედავს ამ საკითხზე საჯაროდ ლაპარაკს.

**— რატომ?**

— ამ ხელისუფლებაში არ არის ადამიანი, რომელიც შეძლებდა ამ საკითხზე ღიად საუბარს. მიზეზიც მარტივია — **ეს ყველაფერი დაკავშირებულია „ნაცებთან“. მათ ატეხეს ხმაური, — ემანდ, არავინ გაბედოს პუტინის წინდადებაზე არათუ დათანხმება, გამოხმაურებაც კიო. აი, ამიტომაა, რომ ხელისუფლება ვერ ბედავს ხმის ამოღებას. საუბედუროდ, კოალიციას გული უსკდება „ნაცების“ შიშით; ხელისუფლების წარმომადგენლები „ნაციონალების“ განცხადებებზე უსუსურად რეაგირებენ. მათგან გვესმის ერთადერთი საპასუხო არგუმენტი: „თქვენ რას შვებოდით?“. ორი წელი გავიდა და ამის მეტს ვერაფერს ამბობენ.**



**«ადამიანი რომ იტყვის, როცა ევროპა და ამერიკა მზად იქნებიან რუსეთთან ომისთვის, მაშინ გვეშველებაო, ეს რას ნიშნავს, იცით? — აქ ხალხი სხვა სამყაროში ცხოვრობს»**

**— რა შემხვედრი ნაბიჯები შეიძლებოდა, ჩვენი მხრიდან გადადგმულიყო პუტინის ინიციატივაზე?**

— შეხვედრა უნდა გამართულიყო მაღალ დონეზე და დაგვესვა შეკითხვა: **თქვენმა პრეზიდენტმა რაც თქვა, რეალურია? შეიძლება მისი განხორციელება თუ არა ან რა შემთხვევაში შეუწყობთ ხელს ამ პროცესს, რას ითხოვთ სანაცვლოდ?** და ა. შ. აი, ეს საკითხები უნდა ყოფილიყო განხილული და მერე შეიძლებოდა დასკვნების გამოტანა. ჩვენ რა გავაკეთეთ? — **გამოვიდა ღარიბაშვილი და ავტონომია შესთავაზა აფხაზებს...**

**მთავარი ის კი არ არის, ღარიბაშვილი რას შეთავაზებს აფხაზებს ან რუსეთი რას შემოგვთავაზებს ჩვენ, მთავარია, მოხდეს ინტერესთა შეთანხმება...** საბედნიეროდ, დღეს საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა საქართველოსთვის აუცილებელია. მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის ჩვენი გეოპოლიტიკური მოცემულობა და ამას სააკაშვილი კი არა, ასი სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ვერ შეცვლის. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: **ქართველები და რუსები ისეთი ღრმა ისტორიული ფესვებით ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, რა ფორმითაც უნდა მომხდარიყო საქართველოს გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან, რაოდენ მშვიდობიანადაც უნდა მომხდარიყო ეს პროცესი, ჩვენთვის ეს მაინც მტკივნეული იქნებოდა.** თავის დროზე ამას ბევრი ვერ ხვდებოდა და, საუბედუროდ, ვერ ხვდებიან დღესაც, ამიტომ ოცი წელია, ვერ ხერხდება ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა.

**— სხვათა შორის, ზაქარეიშვილმა ისიც განაცხადა, რომ ხელშეკრულება, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის დაიდო, ჩვენი წარმატებული პოლიტიკის შედეგიაო.**

— **ეს არის რეალობას მოწყვეტილი ადამიანის განცხადება და, თუ მას მართლა სჯერა, რასაც ამბობს, უბედურებაა.** თუ არ სჯერა და ისე ამბობს, მით უარესი.

**— ამას წინათ თინა ხიდაშელმა განაცხადა, თუ ამერიკა და ევროპა მზად იქნებიან რუსეთთან ომისთვის შუაგულ ევროპაში, პუტინს შეეშინდება და ანექსია შეწყდებაო. არის ლოგიკა ამ განცხადებაში?**

— **ეს არის საბავშვო ბაღი და ეს საბავშვო ბაღი 2008 წლის აგვისტოში ომის ფასად დაგვიჯდა. დაახლოებით ასევე ფიქრობდნენ თავის დროზე „ნაცებიც“. მათ ეგონათ, რომ ამერიკა და ევროპა ჩვენ გამო ომს დაიწყებდნენ და მოაწყვეს ავანტიურა.**

რაც შეეხება ქალბატონი ხიდაშელის განცხადებას, ვურჩევ, ვიდრე რამეს იტყვის, სათქმელი აწონ-დაწონოს ხოლმე, თორემ ასეთი განცხადებები არასერიოზულად წარმოაჩენს. ეს მისი საქმეა, მაგრამ მე ის მადარდებს, რომ ქვეყნის იმიჯი ილახება, არაფერს ვამბობ გაფუჭებულ საქმეებზე. სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლების წარმომადგენლებიც ასეთ განცხადებებსა და შეფასებებს აკეთებენ, სერიოზულად არავინ ელაპარაკება.

**— ხიდაშელი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მსგავს განცხადებებს შემთხვევით არ აკეთებენ. მათ, ალბათ, დასავლეთის გარკვეული წრეები აქეზებენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— როგორც წესი, გადამდგარი პოლიტიკოსები სიმართლეს ლაპარაკობენ და **ამას წინათ შტეფან ფულემ თქვა, დასავლეთისგან უდიდესი შეცდომა იყო, როცა უკრაინას დაუსვა საკითხი — ან ევრაზია, ან ევროკავშირიო.** ახლა დააკვირდით უკრაინას: გაიძახის, ომი მაქვსო რუსეთთან და ამ დროს არ გასულა დსთ-დან, რჩება საბაჟო კავშირის ასოცირებულ წევრად, სატელეფონო კავშირი თითქმის ყოველდღე აქვთ პოროშენკოსა და პუტინს და პლუს კიდევ — კვირაში ერთხელ თუ თვეში ორჯერ პირისპირ ხვდებიან. აი, ასეთი მდგომარეობაა დასავლეთში და თურმე ჩვენ უნდა მივახტეთ რუსეთს. როგორც ჩანს, ჩვენი პოლიტიკოსები თვლიან, რომ ყველაფრის თქმისა და გაკეთების უფლება აქვთ. ეს არის უბედურება და ამიტომ ვერ ხერხდება რეალური წინსვლა ვერც ერთი მიმართულებით — ვერც საშინაო პოლიტიკაში და საგარეოზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— რეალური ცვლილების პერსპექტივა თუ ჩანს?**

— მე ერთ რამეს ვხედავ: **აქ ვიღაც-ვიღაცებს არ სურთ, რეალობას თვალი გაუსწორონ. ადამიანი რომ იტყვის, როცა ევროპა და ამერიკა მზად იქნებიან რუსეთთან ომისთვის, მაშინ გვეშველებაო, ეს რას ნიშნავს, იცით? — აქ ხალხი სხვა სამყაროში ცხოვრობს.** ჩვენ დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება პრაგმატული პოლიტიკა, მაგრამ ჯერჯერობით ამის ნიშნებიც არ არის. ჩვენ დღეს ვართ ოცნებებში და ვიდრე ეს ოცნებები არ დასრულდება, წინსვლაზე, ურთიერთობების რეგულირებაზე საუბარი ზედმეტია...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

---

მოკლედ

## უილიამ ლაჰიუ: პატივს ვცემ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, მაგრამ არ ვეთანხმები მის მოსაზრებას

**ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის — ირაკლი ალასანიას განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ საქართველოს მიერ წამოწყებული რეფორმების პროცესი არ შენელებულა.**

„დიდ პატივს ვცემ თავდაცვის ყოფილ მინისტრს, მაგრამ არ ვეთანხმები მის მოსაზრებას, რადგან არსებითი პაკეტი, რომელსაც უელსის სამიტზე მოეწერა ხელი, სამხედრო სფეროში სხვადასხვა რეფორმის გატარებას გულისხმობს. ეს პროცესი არ შენელებულა და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გაგრძელდება“,— განაცხადა უილიამ ლაჰიუმ.

შეგახსენებთ: ირაკლი ალასანიამ ნატოსთან ინტეგრაციის პროცესის შენელების შესახებ განაცხადა. ალასანია ეჭვობს, რომ თავდაცვის სამინისტროს გარშემო აგორებული სკანდალი სწორედ ინტეგრაციის პროცესის შენელებას ისახავდა მიზნად.



ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილს ჰქონდა ყველა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციური ლიდერი. ამისთვის არ იყო აუცილებელი არსებული პოლიტიკური პარტიების შემოერთება, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის თვალში დისკრედიტებულია".**



ალექსანდრე ჭაჭია:

# პოლიტიკა ბიზნესი გახდა!

## ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა

ნაწილი მესამე. დასაწყისი იხ. №42-43 (277-278)

**მკითხველთა თხოვნით, განვაგრძობთ ამონარიდების გამოქვეყნებას ცნობილი პოლიტოლოგის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას სხვადასხვა წელს ჩაწერილი ინტერვიუებიდან, რომლებშიც ის ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრობს. გულსატკენია, რომ ბატონი ალექსანდრეს პოლიტიკური პროგნოზები, რომლებიც ზედმიწევნით ასრულდა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა. არადა, ამ პროგნოზების გათვალისწინების შემთხვევაში, ქვეყანაში სულ სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება იქნებოდა... აი, რას ამბობდა ალექსანდრე ჭაჭია 2012 წლის მარტში, საპარლამენტო არჩევნებამდე 6 თვით ადრე, როდესაც სააკაშვილის რეჟიმი ჯერ კიდევ მყარად იდგა და ივანიშვილისა და მისი „ქართული ოცნების" ხელისუფლების სათავეში მოსვლა საეჭვო იყო:**

### როგორია საქართველო ივანიშვილის „ოცნებაში"?

**(„საქართველო და მსოფლიო" №10(148), 14-20 მარტი, 2012 წ.):**

„ივანიშვილის განცხადებებიდან არ ჩანს, როგორ ხედავს ის საქართველოს როლს და ფუნქციას თანამედროვე მსოფლიოში. შევარდნაძე გულახდილად აცხადებდა, რომ საქართველომ უნდა შეასრულოს ტრანზიტული დერეფნის როლი, სააკაშვილი ირწმუნება, რომ საქართველოს დანიშნულებაა, გახდეს სამოთხე ტურისტებისთვის. **ორივე ფუნქცია ქართველი ერის მოსამსახურე პერსონალად გადაქცევას გულისხმობს,** ამიტომ განადგურდა განათლების სისტემა, აკადემიური მეცნიერება, თეატრებში სტრიპტიზი იდგმება, ტელევიზიით პორნოგრაფიას აჩვენებენ და ა. შ. და ეს გასაგებიცაა: განათლება, მეცნიერება და კულტურა მოსამსახურე პერსონალს არ სჭირდება. მაგრამ როგორია საქართველო ივანიშვილის „ოცნებაში"? როგორია ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების მისეული სტრატეგია? — ეს ჯერჯერობით გაუგებარია.

**მეც, როგორც ბევრი სხვა საქართველოში, იმედიანად შევხვდი ივანიშვილის გამოსვლას პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით — მისი განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ ის დიდხანს ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის, ყველაფერი გათვალა და მზადაა მძიმე ბრძოლისთვის. ეს იყო სერიოზული ადამიანის განცხადება, რომელიც თავისთავად იშვიათობაა ქართულ პოლიტიკაში, განსაკუთრებით თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ადამიანის ყიდვა შეუძლებელია. მაგრამ გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ჩამოყალიბებული პროგრამა მას არ აქვს, კადრები არ ჰყავს... მოქალაქეობის საკითხიც კი არ ჰქონდა მოგვარებული. როგორ გავიგოთ ეს?**

კიდევ ერთი — მე ძალიან ვაფასებ **გულახდილობას პოლიტიკაში.** საერთოდ, ქართველებმა 20 წლის განმავლობაში იმდენი ტყუილი მოისმინეს შევარდნაძისგან, სააკაშვილისგან და მათი თანამზრახველებისგან, რომ გულახდილი და პატიოსანი სიტყვა სწყურიათ. **ივანიშვილის პირველ გამოსვლაში იყო ეს მიმზიდველი გულახდილობა, მაგრამ შემდეგ გავიგეთ, რომ მის ხელში საქართველო შევა ნატოში და აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს თითოეული ადამიანი, თუნდაც 3 კლასის განათლებით, ხვდება, რომ ეს არის ორი ურთიერთგამომრიცხავი რამ...**

**ყველა ხვდება, რომ ნატოში შესვლის მცდელობაც კი აბსოლუტურად გამორიცხავს საქართველოს აღდგენას იმ სახით, როგორიც ის შევარდნაძემდე იყო. ეს ივანიშვილსაც ესმის. მაშ, რა საჭიროა ასეთი დაპირებები?**

**იმავე კატეგორიას განეკუთვნება ივანიშვილის დაპირება რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე. როგორ უთანხმდება ეს იმას, რომ იგი სააკაშვილივით უარს ამბობს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე რუსული სამხედრო ბაზების გაყვანამდე აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, ანუ დიპურთიერთობები არ აღდგება არასოდეს?** ხომ ნათელია, რომ დღეს არსებული რეალიები უნდა გავითვალისწინოთ და თვისობრივად ახალ საინტეგრაციო პროექტზე ვიმუშაოთ, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესებს. **ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ სრულმასშტაბიანი დიალოგი დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე ვერ გაიმართება? მაშინ რისთვის გვპირდება ივანიშვილი ურთიერთობების აღდგენას რუსეთთან?"**

* სრულიად საქართველო სიხარულით შეხვდა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ იმედი, რომ ქვეყანაში სამართლიანობა აღდგებოდა და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მკვეთრად გაუმჯობესდებოდა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვებიდან მოკლე ხანში გაუცრუვდა ე. წ. კოაბიტაციისა იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ მიიღო. საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია სამართლიანობის აღსადგენად (დამნაშავეთა უმრავლესობა დღესაც თავისუფალია) და დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად (ამ მიმართულებით ნაბიჯიც კი არ გადადგმულა).

### დისკრედიტებული პოლიტიკური ძალები კოალიციაში, ანუ რატომ არ მოაქვს სასურველი შედეგი პარტიების გაერთიანებას ბლოკში

**(„საქართველო და მსოფლიო" №10(148). 14-20 მარტი, 2012 წ.):**

**„ივანიშვილს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო საერთო ეროვნული ოპოზიციური ლიდერი. ამისთვის არ იყო აუცილებელი არსებული პოლიტიკური პარტიების შემოერთება, რომელთა უმრავლესობა მოსახლეობის თვალში დისკრედიტებულია. მეტიც, კოალიციაში ამა თუ იმ პარტიის ჩართვა ავტომატურად ართმევს ივანიშვილს ამ პარტიის მოწინააღმდეგე ამომრჩეველს, ივანიშვილმა კი, სამწუხაროდ, მოახერხა მოკავშირეებად აერჩია ის პარტიები, რომლებსაც ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავთ.** საერთოდ, პრაქტიკამ აჩვენა, რომ პარტიებისგან შემდგარ ბლოკებს ეფექტი არ მოაქვს არც არჩევნების მსვლელობისას და არც არჩევნების შემდეგ. **პარლამენტში ეს ბლოკები იშლება, ყოველი პარტია იწყებს საკუთარ თამაშს და ხელისუფლებას ცალ-ცალკე ევაჭრება.**

**ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკური იმიჯი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუ არენაზე ახალ სახეებს გამოიყვანდა ქართული საზოგადოების ფართო ფენებიდან, რომლებიც თავისი წარსული საქმიანობით კომპრომეტირებული არ არიან. იგი ახალი ადამიანია პოლიტიკაში და ახალ ხალხთან ერთად უნდა მოსულიყო. მგონი, ხალხი ზუსტად ამას ელოდებოდა. თუ მას სათანადო კადრები არ ჰყავს, ანუ იგი არაა მზად დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშაობისთვის, როგორც ეს დღეს ჩანს, მაშინ ყველა უნდა გაეერთიანებინა — სრული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი გამხდარიყო. მან აირჩია მესამე — ყველაზე ნაკლებეფექტიანი ვარიანტი".**

* „ქართულმა ოცნებამ" პოლიტიკურ ქარტეხილებს მხოლოდ 2 წელიწადს გაუძლო — კოალიცია ცოტა ხნის წინათ დემარშით დატოვა ირაკლი ალასანიას „თავისუფალმა დემოკრატებმა", რომელიც იმავე ძალებისგან იმართება, რომლებმაც დამნაშავე სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოს თავზე დაასვა. არადა, ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებდნენ, პირველ რიგში, ალექსანდრე ჭაჭია, რომ თავი შეეკავებინა ამ პოლიტიკურ ძალასთან (აგრეთვე, რესპუბლიკურ პარტიასთან) თანამშრომლობისგან. დისკრედიტებულ და ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიებთან თანამშრომლობამ ივანიშვილის რეპუტაცია საკმაოდ შელახა.

### როგორ იქმნება პარტიები საქართველოში

**(„საქართველო და მსოფლიო" №13(151), 4-10 აპრილი, 2012წ.):**

**„ყველა ჩვენი პარტია ყალიბდებოდა „ზემოდან", ერთი კონკრეტული ლიდერისთვის, რომელიც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში — თავის ოჯახში, ნათესავებში, თანამშრომლებში, უზნელებში სიმპათიით სარგებლობდა. არავინ დაინტერესებულა, როგორი იდეოლოგია აქვს ასეთ პარტიას — მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტული თუ სხვა.** პარტიებს შორის განსხვავებას ლიდერების პიროვნება განსაზღვრავდა, პარტიის სახელსაც კი არ ჰქონდა არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა. მოეწონებოდათ სახელი და ისე დაირქმევდნენ, რომ მისი მნიშვნელობა გააზრებულიც კი არ ჰქონდათ. ბუნებრივია, ასეთი, ყურით მოთრეული პარტიები მასობრივი ვერ გახდებოდნენ...

**თუ გაიხსენებთ, ჟვანია აცხადებდა, რომ „მოქალაქეთა კავშირი" ხელისუფლებაში დიდი ხნით – რამდენიმე ათეული წლით მოვიდა, მაგრამ, როგორც კი შევარდნაძე გადადგა, „მოქალაქეთა კავშირმა" არსებობა შეწყვიტა. იგივე დაემართება მის ახალგაზრდულ ფრთასაც — „ნაციონალურ მოძრაობას", როგორც კი სააკაშვილი პოლიტიკური არენიდან წავა.** ეს ყველა ქართული პოლიტიკური პარტიის წესია — პარტიები იქმნება ლიდერის და არა იდეოლოგიის გარშემო. **მიდის დამფუძნებელი ლიდერი და კვდება პარტიაც.** უკვე 20 წელიწადია, ასე გრძელდება და ასე იქნება კიდევ დიდხანს, ალბათ, მანამ, ვიდრე საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის დასავლურ პრინციპზე — მის პარტიებად დაყოფაზე არ ვიტყვით უარს. მიაქციეთ ყურადღება: **ყველა წუწუნებს იდეოლოგიის მქონე პარტიების არარსებობის გამო, მაგრამ, როგორც კი ივანიშვილმა განაცხადა თავისი პარტიის შექმნის თაობაზე, ათასობით ადამიანი მივარდა გასაწევრიანებლად, მაგრამ განა ვინმე დაინტერესდა, თუ როგორია ამ პარტიის იდეოლოგია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია, სოციალური პრიორიტეტები?** ივანიშვილის გამოჩენამ გამოიწვია აღფრთოვანება, რომელიც კლასიკურ ფრაზაში გამოიხატა: „მხოლოდ თქვენ გადაარჩენთ საქართველოს!". როგორ, რა ხერხებით, როგორი საგარეო პოლიტიკით, ეკონომიკური მოდელით, როგორი სოციალური რეფორმებით, — ამით არავინ დაინტერესებულა. თავის დროზე ასეთივე ეგზალტირებული მოწოდებით მიმართავდნენ შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც".

*აი, ეს თვალსაზრისი გამოთქვა ალექსანდრე ჭაჭიამ 2012 წლის აპრილში, იმ პერიოდში, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნება" ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე იყო და არანაირი იდეოლოგია, ქვეყნის განვითარების სტრატეგია ჩამოყალიბებული არ ჰქონდა ისევე, როგორც სხვა პარტიებს, რომლებიც მანამდე ხელისუფლების სათავეში მოექცნენ.

### პოლიტიკა, როგორც ბიზნესი

**(„საქართველო და მსოფლიო" №13(151), 4-10 აპრილი, 2012წ.):**

„პარტიული ლიდერები ვერ ახერხებენ სათანადო ავტორიტეტის მოპოვებას ან მალე კარგავენ მას. **პარტიები, პარტიული გუნდები ყალიბდება არა ქვეყნის განვითარების იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ადამიანთა ჯგუფის მომგებიანი დასაქმების მიზნით. პოლიტიკა ბიზნესი გახდა,** ამიტომაც ჩვენ მუდმივად ვხედავთ გარიგებებს ოპოზიციურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის, განხეთქილებას პარტიებში, ერთი და იმავე სახეების გადასვლას პარტიიდან პარტიაში. **ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში.** იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. **მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე. ამიტომ ბოლო წლებში ოპოზიციური პარტიების საქმიანობის მთავარი მიზანი იყო, დაემტკიცებინათ ამე-** ▶

# „აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას“.

ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რიკელებისთვის საკუთარი მზადყოფნა და უნარი, შეესრულებინათ მათი მითითებები უკეთ, ვიდრე ამას მოქმედი ხელისუფლება აკეთებს.**

*დღესაც ასეა — ქართული პოლიტიკა კვლავაც გარე ძალებისგან იმართება და ქართველი პოლიტიკოსები ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე კი არა, თავიანთი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ.

## „ძია სემისა“ და „ძია ვანიას“ დახმარების იმედით, ანუ ავტორიტეტული ლიდერების მწვავე დეფიციტი

**(„საქართველო და მსოფლიო“ №13(151), 4-10 აპრილი, 2012 წ.):**

„გაიხსენეთ ამ პოლიტიკოსების ადრინდელი პოლიტიკური კარიერა. რომელი არ იყო ჯერ შევარდნაძესთან, შემდეგ კი — სააკაშვილთან? რას ელაპარაკებოდნენ მაშინ ხალხს? ნატოში უმოკლეს ვადაში შესვლაზე, ევროკავშირზე, აშშ-თან სტრატეგიულ პარტნიორობაზე, „დასავლური ღირებულებების“ დანერგვაზე, „სამარცხვინო წარსულზე“ უარის თქმაზე, მტერზე რუსეთის სახით. სხვათა შორის, **ამერიკელებისგან უარის მიღების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა მხარდაჭერისთვის სწორედ რუსეთს მიმართა, იქ კი კარგად ახსოვთ მათი პოლიტიკური წარსული, თუმცა ზრდილობიანად მიიღეს, გაუღიმეს კიდეც, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის მხარდაჭერის მოპოვება ურჩიეს.** იქნებ ახლა მაინც, როდესაც „ძია სემის“ და „ძია ვანიას“ დახმარების იმედი დაეკარგათ, ამ პოლიტიკოსებმა მკაფიო იდეოლოგიური კონცეფციის შემუშავება დაიწყონ, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და სულიერ-ზნეობრივ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული და **ამგვარად სცადონ ერის მხარდაჭერის მოპოვება, ნაცვლად იმისა, რომ ამერიკის ელჩის მისაღებში საკუთარ რიგს დაელოდონ...**

**შეგიძლიათ, დამისახელოთ თუნდაც ერთი ქართველი პოლიტიკოსი მოქმედ „მჭიდში“, რომელიც იქნებოდა სახელმწიფოს მშენებლობის უმნიშვნელოვანესი თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების შესახებ პროგრამული სტატიის ავტორი?** წიგნზე არ ვამბობ, თუნდაც ერთი უბრალო სტატიის ავტორი რომ იყოს? ისინი ურიცხვ ინტერვიუს აძლევენ, რომლებშიც სააკაშვილის სკანდალურ ქცევას განიხილავენ, ერთმანეთს პრეტენზიებს უყენებენ, საკუთარ თავს იქებენ, სხვებს კიცხავენ. განა შეიძლება ამ ინტერვიუებიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ მათი პოზიციის გაგება? **პარტიული პროგრამები ერთნაირია, მათ კითხვას არანაირი აზრი არ აქვს, ისინი, უბრალოდ, დასავლური ნიმუშებიდანაა გადმოწერილი და ქართულ სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ აქვს. მაშ, რის საფუძველზე უნდა მისცეს მათ ამომრჩეველმა ხმა? ყველა „საქართველოს აყვავებას“ გვპირდება, მაგრამ როგორ გავიგოთ, თუ რა გზით უზრუნველყოფენ ისინი ამ „აყვავებას“? შევარდნაძეც გვპირდებოდა, სააკაშვილიც...**

*პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსები ფლუგერივით არიან — იქით იხრებიან, საიდანაც ძალაუფლების სიო უბერავს, ძალაუფლების მოსაპოვებლად კი არც „ძია სემთან“ (აშშ-თან) და არც „ძია ვანიასთან“ (რუსეთთან) თანამშრომლობას არ თაკილობენ, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

## ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის ჰიპერტროფიული წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე

**(„საქართველო და მსოფლიო“ №13(151), 4-10 აპრილი, 2012წ.):**

„როგორც წესი, კონკრეტული ოპოზიციური პარტიებისა და მათი ლიდერების შეფასებისგან თავს ვიკავებ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, ამ პარტიებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ კიდეც. მეორეც, **ამ პარტიების ლიდერთა უმრავლესობა შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდის ყოფილი წევრები არიან,** ამ გუნდების მიმართ კი სიმპათიით განწყობილი არ ვარ; და მესამე — არ მინდა, ჩემი შეფასებებით მათ ოპოზიციურ საქმიანობას ხელი შევუშალო, ვინაიდან ვიმედოვნებ, რომ ისინი ოდესმე ჩამოყალიბდებიან ეროვნულ ძალად, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს გამოხატავს. რაც შეეხება „სახალხო კრებას“, მასში გაერთიანებულია ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებსაც პატივს ვცემ ეროვნული სულისკვეთების გამო და, რა თქმა უნდა, წარმატებებს ვუსურვებ. ამასთანავე, ჩემთვის, როგორც რიგითი ამომრჩევლისთვის, **სასურველი იქნებოდა, რომ ამ გაერთიანების ლიდერი ნაკლებად იყოს დაკავებული თავის ქებით, თვითტკბობით და მეტად ეცადოს, დაანახვოს მოსახლეობას, თუ რეალურად რით განსხვავდება ყოფილი თანაგუნდელებისგან. მგონი, ჰიპერტროფირებული წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე მას ხელს უშლის, რეალურად შეაფასოს საკუთარი ადგილი ქართულ პოლიტიკაში. ის საკუთარ თავზეც კი მხოლოდ მესამე პირში საუბრობს, როგორც ამას თურქეთის სულთნები და ინდიელთა ბელადები აკეთებდნენ. ეს ძალიან სასაცილოა და მას ავტორიტეტს არ ჰმატებს. მითუმეტეს, რომ მას, ჩემი აზრით, წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით საამაყო არაფერი აქვს...**

**«ჩვენ ხომ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უკვე ნამყოფი არიან აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო დასახელების მქონე ხუთ-ექვს პარტიაში. იდეოლოგიის, სტრატეგიული მიზნების არარსებობამ, პარტიული ლიდერების უპრინციპობამ მოსახლეობაში მათ მიმართ უნდობლობა გამოიწვია. ეს, სხვათა შორის, მათ ნაკლებად აღელვებთ. მათ იციან, რომ შეიძლება შეხვიდე პარლამენტში, თუ ამერიკელებს მოეწონები, და ისინი ხელისუფლებას მითითებას მისცემენ ამა თუ იმ პარტიის შეყვანის თაობაზე»**

*ნინო ბურჯანაძეს (სწორედ ის გახლდათ „სახალხო კრების“ ლიდერი იმხანად) დიდი წარმოდგენა რომ აქვს საკუთარ პერსონაზე, მისი ბოლოდროინდელი (2014 წლის 5 ნოემბრის) განცხადებაც მოწმობს: „დღეს საქართველოში ჩემი რანგის პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის!“. ქართველ საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, როგორ „აპრავებდა“ ქალბატონი ნინო 2007 წელს სააკაშვილის მიერ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევას და ისიც, როგორ გადააბრუნა მან მოგვიანებით ფირფიტა და სააკაშვილის ლანძღვა დაიწყო.

## ადვილად მოსატყუებელი უუნარო საზოგადოება

**(„საქართველო და მსოფლიო“ №10(148), 14-20 მარტი, 2012წ.):**

„ჩვენი ხელისუფლება არ არის დამოუკიდებელი და არ შეუძლია ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება. **საქმე ჩვენს საზოგადოებაშია, რომელიც აღარაა ერთიანი, მოაზროვნე ეროვნული ორგანიზმი. ასეთი საზოგადოება ადვილად ტყუვდება, ადვილად ექვემდებარება მანიპულირებას; მას აღარ შესწევს უნარი, ეფექტიანი წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების დამღუპველ პოლიტიკას, არ ძალუძს, ჩამოაყალიბოს აქტიური, ეროვნული პოლიტიკური ძალა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში სიტუაციის რეალურად შეცვლას“.**

*ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს მოსახლეობა ადვილად რომ ტყუვდება და მისი ცნობიერება რომ შესაცვლელია, ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი მმართველობა, როდესაც დასავლეთმა სხვადასხვა მანიპულაციით თავზე დაგვასვა ქართველთმოძულე რეჟიმი, არამედ „ქართული ოცნების“ მიერ შეუსრულებელი დაპირებებიც.

## ყველაზე მძიმე პერიოდი საქართველოს ისტორიაში

**(„საქართველო და მსოფლიო“ №13(151), 4-10 აპრილი, 2012წ.):**

„საქართველოს თავის ისტორიაში ყველაზე საშიში პერიოდი უდგას. მგონი, ხალხი სწორად ვერ აფასებს დღევანდელი მდგომარეობის კატასტროფულობას ჩვენი სამშობლოსთვის. ხშირად შეიძლება მოვისმინოთ, რომ თურმე საშინელი არაფერი ხდება, საქართველოს გადაუტანია უფრო რთული პერიოდებიც. არა, არ გადაუტანია! დიახ, საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად ყოფილა ერთიანი სახელმწიფო, იყო რამდენიმე სამეფოდ დაშლილიც, არ გააჩნდა დამოუკიდებლობა, იყო ღატაკიც და აოხრებულიც. თუ ყველა იმ წლებს შევაჯამებთ, როცა საქართველო ერთიანი იყო, ჯამში, საბჭოთა პერიოდის ჩათვლით, 200-250 წელიწადი დაგროვდება. მაგრამ დაყოფის პერიოდშიც კი ეს ჯუჯა სახელმწიფოები მაინც ქართული იყო: იქ ცხოვრობდნენ ქართველები, ვითარდებოდა ქართული ენა, მოქმედებდა ქართული ტაძრები, იქმნებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები. **შევარდნაძისა და სააკაშვილის მოღვაწეობის შედეგად კი, პირველად ისტორიაში, ძირძველ ქართულ მიწებზე არაქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები შეიქმნა, რომლებშიც ქართველებისთვის, ქართული ენისთვის, ქართული კულტურისთვის ადგილი არ არის, ანუ ქართველი ხალხის არეალი, სასიცოცხლო სივრცე მკვეთრად შემცირდა. მეტიც, ანალოგიური პროცესებისთვის ნიადაგი მზადდება სხვა ქართულ რეგიონებშიც.** ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა. **ჩვენს ისტორიაში არ ყოფილა ერისთვის ისეთი დამღუპველი მოვლენა, როგორიც ქართული მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციაა. ემიგრაციამ კატასტროფული მასშტაბები მიიღო. საბჭოთა პერიოდის ბოლოსკენ საქართველოს მოსახლეობა 5,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა, დღეს, ავტორიტეტული ექსპერტების შეფასებით, — 3,6-3,8 მილიონი ადამიანია. რამდენია მათ შორის ქართველი?..**

და კიდევ რამდენ ქართველს უნდა ლუკმაპურის საძებნელად საქართველოდან წასვლა? ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არასოდეს ყოფილა. ამას გარდა, **არასოდეს ყოფილა, რომ სახელმწიფოს ხელისუფლება, ქვეყნის ოფიციალური პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა თვითონ ცდილობდეს ქართველი საზოგადოების გახრწნასა და გარყვნას, ტრადიციული ზნეობის, ქცევის ნორმების, სულიერების, ეროვნული სპეციფიკის, სოციო-კულტურული თვითმყოფადობის, ანუ ყველაფერ იმის განადგურებას, რაც ქართველობას განსაზღვრავს.** ზუსტად ამიტომ ვამბობ, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას და, სამწუხაროდ, ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა არ გვაძლევს იმის იმედს, რომ ეს რთული პერიოდი ჩვენთვის პოზიტიურად დამთავრდება.

*საქართველო მართლაც არნახულად მძიმე მდგომარეობაშია — ძალებმა, რომლებსაც არ სურთ საქართველოს დამოუკიდებლობა, იერიში მიიტანეს ყოველივე ქართულზე. ებრძვიან მართლმადიდებლობას, ქართულ ტრადიციებს კულტურას და სურთ, ჩვენს ქვეყანაში დასვლური ფსევდოღირებულებები დაამკვიდრონ, რაც ერს გაქრობით ემუქრება.

## საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია

**(„საქართველო და მსოფლიო“ №10 (148), 14-20 მარტი, 2012 წ.):**

**„პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში არანაირად არ მონაწილეობს. საქართველოში რაღაც პოლიტიკურ პროცესებს რუსეთი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ავადმყოფურ წარმოსახვაში ხელმძღვანელობს. რეალურად კი ეს ასე არ არის, რაც, სხვათა შორის, ცუდია საქართველოსთვის.**

აშშ-ის მხრიდან მონოპოლიურმა პატრონაჟმა ჩვეულებრივ კოლონიად გადაგვაქცია. მოუსმინეთ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს: ყველა კამათობს იმაზე, თუ ვის მხარეს იქნება აშშ; ყველა ცდილობს, მოიპოვოს ამერიკის ელჩის კეთილგანწყობა, რამენაირად თავი მოაწონოს ვინმეს სახელმწიფო დეპარტამენტში, სხვადასხვა მხრიდან წონიან ობამას ყოველ სიტყვას, წერენ უზარმაზარ სტატიებს, რომლებშიც მისი სიტყვების ინტერპრეტაციას ახდენენ თავიანთ სასარგებლოდ. ეს სასაცილო და ამაზრზენია.

**აშშ-ის მონოპოლიური გავლენა საქართველოზე, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე სრულ ბატონობად იქცა, რაც გვართმევს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთაზე ბალანსირების საშუალებას, მათი წინააღმდეგობების ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას.** მსოფლიოში ცოტაა აბსოლუტურად დამოუკიდებელი სახელმწიფო: აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ირანი, სამხრეთ კორეა, კუბა... ქვეყანათა უმრავლესობა, განსაკუთრებით პატარები, დამოკიდებულნი არიან დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის განსაკუთრებულობა ისაა, რომ აქ გადაიკვეთება ოთხი გიგანტის ინტერესები — აშშ-ის, რუსეთის, თურქეთის, ირანის. **ჩვენ გვქონდა შანსი, ამ ინტერესების ბალანსზე სწორი პოლიტიკა აგვეგო.**

**ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის გადარჩენის გარანტია,** მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ ეს შანსი ხელიდან გაუშვა და, უკვე 20 წელია, ერთი ძალის ხელში მარიონეტის როლს ასრულებს. სწორედ ამ როლის შედეგია ტერიტორიების დაკარგვა, ხალხის გაღატაკება და საზოგადოების ზნეობრივი დეგრადაცია“.

* აშშ-ის გავლენის შედეგები „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ვიწვნიეთ — დანგრეული განათლება, მეცნიერება, კულტურა, ქუჩაში დახვრეტილი ათეულობით ახალგაზრდა, უამრავი ადამიანისთვის წართმეული ქონება, ქვეყნისთვის აკიდებული მილიარდობით საგარეო ვალი, რომელიც მომავალი თაობების გასასტუმრებელია... რუსეთთან დაპირისპირება კი ტერიტორიების დაკარგვად დაგვიჯდა, ამიტომ სწორედ ამ დიდი ქვეყნებისა და ჩვენი ინტერესების დაბალანსებით არის შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს მივიღეთ ასეთი სურათი: ძალოვანი ბლოკი და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ მხარეს დარჩა, მეორე მხარეს კი — ე. წ. პოლიტიკური ორგანიზაციები და მათ მიერ შექმნილი უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ასრულებენ მყეფარი ძაღლის როლს, მონადირეები კი უკან დგანან.“**



## სოსო მანჯავიძე:

# ალასანიასა და მის გუნდს საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ!

**თბილისის საკრებულოს წევრი სოსო მანჯავიძე ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აფასებს:**

— დღეს ჩვენს ქვეყანაში სრული გაურკვევლობა და აპათიაა. ხალხმა არ იცის, საით მიემართება ქვეყანა, რა პერსპექტივა აქვს, არის თუ არა გამოსავალი შექმნილი რთული მდგომარეობიდან...

**— რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, რაც დიდი ხნის წინათ დაიწყო და დღესაც გრძელდება. შექმნილია უმძიმესი სოციალური ფონი, მწვავეა დემოგრაფიული პრობლემები — ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, უცხოელების იმატებს. გაურკვეველია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კურსი. ამ კოალიციაში შემავალი ძალები სხვადასხვა ვექტორიდან არიან და იმის შესახებ, რომ მათი გადაჯგუფება მოხდებოდა, 2 წლის წინათ ვსაუბრობდი, რაც კოალიციიდან ირაკლი ალასანიას პარტიის გასვლით დადასტურდა. **დღეს ალასანია ხელისუფლებას არასაკმარის პროდასავლურობაზე უკიჟინებს და უნისონში იმყოფება რესპუბლიკელებსა და „ნაცმოძრაობასთან“. ანალოგიურ პოზიციაზეა საქართველოს პრეზიდენტიც. როდესაც კოალიციაში განხეთქილება მოხდა, ცხადად გამოჩნდა, რომ მარგველაშვილი, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, უნისონში ურტყამდა „ქართულ ოცნებას“.**

ალასანიას პარტია, რესპუბლიკელები და „ნაციონალური მოძრაობა“ შეადგენენ ე.წ. ლიბერალურ ფრთას, რომლის ხელშიც არის საინფორმაციო საშუალებები. „ენჯეოშნიკია“ პრეზიდენტი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს არასამთავრობოებთან და ამას არც მალავს. საკადრო გადაწყვეტილებებსაც კი მათთან ერთად იღებს. რაც შეეხება პარლამენტს, იქ საკმაოდ დიდია რესპუბლიკელების გავლენა. საინფორმაციო ველი კი თითქმის მთლიანად ე.წ. ლიბერალური ფლანგის განკარგულებაშია.

**— ამბობთ, რომ ხელისუფლებაში დაპირისპირებაა. კერძოდ, რომელ ძალებს შორის და რატომ?**

— საქმე ის არის, რომ შს სამინისტრო და აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი სრულად ვერ კონტროლდება გარე პოლიტიკური ძალების მიერ. **აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის ჰომოგენური (შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვარი — ნ.მ.) გუნდი, როგორიც „ნაცმოძრაობა“ იყო და რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ გარე პოლიტიკურ ძალებთან. ბოლოს და ბოლოს, ამერიკულ ინკუბატორში იყვნენ გამოზრდილები და სხვაგვარად არც მოხდებოდა. დააკვირდით,** 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, "ნაცმოძრაობისთვის" მოულოდნელად, მათი ზოგიერთი ლიდერი უნგრეთში აღმოჩნდა მაღალ თანამდებობაზე, ზოგი — უკრაინაში და ა.შ. ანუ, „ნაცმოძრაობა“ იყო საერთაშორისო ქსელი და, როდესაც საქართველოში აღარ გამოუვიდათ არაფერი, მსოფლიოს ქვეყნებში გადაანაწილეს. **ამერიკა ახლა იმაზე ღიზიანდება, რომ სრულად ვერ აკონტროლებს საქართველოს მთავრობას. აი, ამას ვერ ეგუებიან.**

**— ირალი ალასანია თავდაცვის მინისტრად რომ დარჩენილიყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?**

— ალასანია თავდაცვის მინისტრად რომ დარჩენილიყო, სამხედრო გადატრიალებას ნამდვილად ვერ მოაწყობდა, რადგან ამის რესურსი არ ჰქონდა. არც შესაბამისი ფონი არსებობდა ქვეყანაში. გარდა ამისა, ალასანიას ფლანგს არც ქუჩის პოლიტიკისადმის მიდრეკილება აქვს და არც — საზოგადოების მხარდაჭერა. მაგრამ სურს, იყოს პოლიტიკურ ველში და ასეთია მისი ფუნქციაც. **ალასანიას და მის გუნდს, მიუხედავად იმისა, ამდენი ხანია, პოლიტიკურ ველში არიან, საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ. ეს ხომ პარადოქსია?!** ამიტომ, მათი ტაქტიკა იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრედიტაცია, შემდეგ კი შეეცდებოდნენ, ხელისუფლებისგან დემონის ხატის შექმნას. სხვათა შორის, **ამ პროგრამას 2012 წლიდან ახორციელებს ალასანია. ის ცდილობს, ამერიკას დაუმტკიცოს, რომ უფრო პროდასავლურია, რუსეთისგან ქმნის მტრის ხატს და აღმასრულებელი ხელისუფლებისკენ იშვერს ხელს.** რაც შეეხება ხელისუფლების დემონიზაციას, რესპუბლიკელებს ხელისუფლებაში ისეთი პოსტები უკავიათ, რომ კორუფციაში ვერ დაადანაშაულებ. თავდაცვის სამინისტრომ კი გამოუცდელობით დაუშვა შეცდომა, როდესაც გამჟღავნდა მათი კორუფციული სქემა. ამ მხრივ **რესპუბლიკელებს კარგად აქვთ საქმე, გაჰყვირიან ადამიანების უფლებების დაცვაზე და ხელთ უპყრიათ აღმასულებელი ხელისუფლებისთვის საინფორმაციო ალიყურის გარტყმის საშუალება.**

როგორც ჩანს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ამოეწურა მოთმინება, მიხვდა, რომ ალასანიას ამ პოსტზე დარჩენით უფრო რთულად წაუვიდოდა საქმე და პრევენციული ღონისძიება გაატარა. **დღეს მივიღეთ ასეთი სურათი: ძალოვანი ბლოკი და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ მხარეს დარჩა, მეორე მხარეს კი ე. წ. პოლიტიკური ორგანიზაციები და მათ მიერ შექმნილი უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ასრულებენ მყეფარი ძაღლის როლს, მონადირეები კი უკან დგანან.**

თამაშიდან ალასანიას გასვლის შემდეგ უფრო მძიმე გახდა საინფორმაციო დარტყმები. დღეს ხელისუფლებას საკმაოდ რთულ პროცესში უწევს ე.წ. კაბელების საქმის გამოძიება, იოლი არ აღმოჩნდა ალასანიასთვის დანაშაულის დამტკიცება, რადგან პროკურატურა ვის ხელშიც არის, ვიცით. ამასთანავე, გაძლიერდა საინფორმაციო დარტყმები იმის შესახებ, რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავს კულუარებიდან. ჩვენც ხომ კარგად გვესმის, რომ ამ ხელისუფლების გარანტი ბიძინა ივანიშვილია?! ხელისუფლების ეს სუსტი წერტილი კარგად იციან და ამაზე ლაპარაკობენ როგორც ევროპაში, ასევე ჩვენს ქვეყანაში. რაც მთავარია, ვიცი, რომ დიდძალი ფულია გადახდილი, ოღონდ ციხეებიდან ისეთივე სკანდალური კადრები გამოიტანონ, როგორიც „ნაცმოძრაობის“ პერიოდში გამოიტანეს.

**«ვიცი, რომ დიდძალი ფულია გადახდილი, ოღონდ ციხეებიდან ისეთივე სკანდალური კადრები გამოიტანონ, როგორიც «ნაცმოძრაობის» პერიოდში გამოიტანეს... სააკაშვილმა «ნაცმოძრაობის» წევრებს დაავალა, რადაც უნდა დაუჯდეთ, მოიპოვონ პატიმრების წამების კადრები. «ნაცმოძაობას» დიდძალი ფული აქვს და არ არის გამორიცხული, ეს სპექტაკლი დადგან»**

**— ეს საიდან იცით და ვის სურს ამის გაკეთება?**

— სააკაშვილი რომ შეხვდა თავის თანაგუნდელებს თურქეთში, იქ ილაპარაკეს. უფრო ზუსტად, **სააკაშვილმა „ნაცმოძრაობის“ წევრებს დაავალა, რადაც უნდა დაუჯდეთ, მოიპოვონ პატიმრების წამების კადრები. „ნაცმოძაობას“ დიდძალი ფული აქვს და არ არის გამორიცხული, ეს სპექტაკლი დადგან.** ამიტომ ხელისუფლება და მით უმეტეს პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელები ფხიზლად უნდა იყვნენ და თავიანთი ქვეშევრდომებიც გააკონტროლონ.

**— ამით „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ სარგებელს თუ მიიღებს?**

— ვერა და ეს კარგად იციან, თორემ ამას დიდ ხნის წინათ გააკეთებდნენ. საზოგადოებაში „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი ნულია და ამას ძალიან განიცდიან, ამიტომ შესაბამის დროს ელოდებიან. ანალოგიურ მდგომარეობაში არიან რესპუბლიკელებიც და ამიტომაც არ გამოვიდნენ პარლამენტიდან ალასანიას მხარდასაჭერად — იცოდნენ, რომ დაინიშნებოდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ველარ მოხვდებოდნენ პარლამენტში. ამასთანავე, **ისიც უნდა გვესმოდეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილის ქება-დიდება, რომელმაც ანეკდოტური სახე მიიღო, მარაზმია. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სარფიანი სამსახური მიიღონ, იმას კი ვერ ხვდებიან, რომ დათვურ სამსახურს უწევენ აღმასრულებელ ხელისუფლებას და, რეალურად, პროამერიკული ძალების წისქვილზე ასხამენ წყალს.** ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ ძველი წევრს ჰგონია, საქართველოს მთავრობას დღესაც რუსეთი მართავს. იმას, რომ საქართველოში რუსეთის საელჩო არ არსებობს, ანგარიშს არ უწევენ. **როდესაც გაიძახიან, საქართველოში ყველაფერი რუსეთმა იყიდაო, დაუკვირდნენ, თუ რომელმა კომპანიებმა იყიდეს ესა თუ ის სტრატეგიული ობიექტი და რომელი ქვეყნის გავლენით მოქმედებენ რუსეთში.**

**— მინისტრთა კაბინეტზე რას ფიქრობთ?**

— ისინი ნელ-ნელა შედიან საქმის კურსში. ადამიანს, რომელსაც ამა თუ იმ სახელმწიფო სტრუქტურის მართვის გამოცდილება არ აქვს, სულ ცოტა, რვა თვე სჭირდება სიტუაციაში გასარკვევად. როდესაც ამას ემატება მიმდინარე საკითხების მოგვარება, სტრატეგიული ხედვა ველარ უყალიბდება და სწორი გადაწყვეტილებების მიღება უჭირს.

**— რა გამოსავალი არსებობს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან?**

— ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორების სტრატეგიული ხედვა არ არსებობს, ხელისუფლების მხრიდან დღეს მხოლოდ კეთილი სურვილების დეკლარირება ხდება, შედეგად კი სიტუაცია უარესდება. ხელისუფლებამ, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს.

**— ალასანიას შემდეგი ნაბიჯები რა იქნება?**

— ალასანიამ თავისივე ხელით დაწვა ხელისუფლებაში მისასვლელი ყველა ხიდი. ცნობილია მოსმენების საკითხზე მისი პოზიცია, რომელიც რესპუბლიკელებისა და „ნაციონალებისთვის“ მხრის აბმას ნიშნავდა და რამაც გაღიზიანება გამოიწვია პარტია „ქართული ოცნებაში“. **თუ ალასანია დარჩება ამერიკაში და დაელოდება ხელსაყრელ დროს, არ იქნება გასაკვირი, მაგრამ ისიც იცის, რომ ხელისუფლების დისკრედიტაციის შემთხვევაშიც ვერ მიიღებს პოლიტიკურ დივიდენდებს.** ასეთი უცნაური ვითარებაა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება. იქნება მოულოდნელი ცვლილება, ოღონდ რა ფორმის, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

---

## სასამართლომ ჰოსნი მუბარაქი გაამართლა

**ეგვიპტის ყოფილი მმართველი ჰოსნი მუბარაქი ქაიროს სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი სიკვდილით დასჯას მოითხოვდა.** მუბარაქთან ერთად გაამართლეს შს მინისტრი და ხუთი პირადი მცველი. მანამდე სასამართლომ ასევე უდანაშაულოდ ცნო მუბარაქის შვილები და ეგვიპტის ექსპრემიერი. საკაცეზე მწოლი ჰოსნი მუბარაქი სასამართლოში, ციხიდან, ვერტმფრენით მიიყვანეს. ახლა, იმედია, ყველა სენისგან განიკურნება და პოლიტიკაშიც დაბრუნდება.



## ვაშინგტონში აშშ-ის დროშა დაწვეს

**აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში აქციის მონაწილეებმა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად აშშ-ის დროშა დაწვეს.** აქციის მონაწილეები შავკანიანთა ჩაგვრისა და პოლიციის მიერ ფერადკანიანთა მიმართ ორმაგი სტანდარტის გამოყენების წინააღმდეგ გამოვიდნენ. ადრე ამერიკის დროშა დაწვეს ფერგიუსონში გამართულ მიტინგზეც, საიდანაც დაიწყო საპროტესტო ტალღა, რომელმაც ახლა აშშ-ის 40 შტატის ათეულობით ქალაქი მოიცვა.

**„2005 წელს ხელთ მქონდა ყველა საბუთი და ხელშეკრულება, რომლებშიც ოსეთის დაბრუნებაზე იყო საუბარი, მაგრამ შემდეგ გახსოვთ, ალბათ, ირაკლი ოქრუაშვილმა რაც ჩაიდინა. ცხინვალის რეგიონი საქართველოს ძირძველი მიწაა, მისი დაბრუნების შანსი დღესაც არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არც ამ მთავრობას სურს ამის გაკეთება“.**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვაჟა ხაჭაპურიძე: ხელისუფლებას არ სურს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება

**„ხელშეკრულება, რომელიც რუსეთსა და აფხაზეთს შორის დაიდო, საქართველოს ხელისუფლების წარმატებული პოლიტიკის შედეგია. პროცესი დადებითია, ხელშეკრულების გაფორმებით ბევრი რამ დადებითისკენ შეიცვლება“, — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა 24 ნოემბერს აფხაზეთსა და რუსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ. ორი წელია, ხელისუფლება შეიცვალა.**
**რა გაკეთდა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად? შეიცვალა თუ არა საკითხისადმი მიდგომა? არიან თუ არა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები კომპეტენტურები ტერიტორიების დაბრუნების საკითხებში? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვაჟა ხაჭაპურიძე გვესაუბრება.**



**— აფხაზეთსა და რუსეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ ხელშეკრულება დაიდო, ახლა ოსეთსა და რუსეთს შორის გაფორმდება, ოღონდ, ოსური მხარე უფრო მრავლისმომცველ ხელშერულებას ითხოვს. რამ განაპირობა ამ ხელშეკრულების დადება? პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, ეს საქართველოს წარმატებული პოლიტიკის შედეგიაო...**

— მსოფლიოს პოლიტიკა, ძირითადად, რუსულ-ამერიკულ ინტერესებს ემყარება. ვხედავთ, რომ რუსეთს შემუშავებული აქვს სტრატეგია და ახლა ტაქტიკურ ნაბიჯებს დგამს.

ამ ხნის განმავლობაში რუსეთი საქართველოსგან ელოდებოდა შესაბამის ნაბიჯებს, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომის მცდელობას მაინც. აბაშიძე-კარასინის შეხვედრები არ მოიცავს კონფლიქტის მოგვარების საკითხებს, ამ შეხვედრების ფორმატი სულ სხვაა. **კონფლიქტების მოსაგვარებლად ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია.**

**ყველამ უნდა იცოდეს რომ რუსეთი ამიერკავკასიიდან არ გავა!**

**მინისტრი, რომელსაც ამ საქმეების მართვა ევალება, ვგულისხმობ პაატა ზაქარეიშვილს, ვერაფერს გააკეთებს. ჯერ ის რას ნიშნავდა, სამინისტროს შერიგების თუ რაღაც უბედურება რომ დაარქვეს, ასე უნდათ საქმის კეთება? ზაქარეიშვილის უწყებამ ვერაფერი გააკეთა და ვერც გააკეთებდა, რადგან რუსებს ოკუპანტებს უწოდებს და ოსებს — ჩამოთრეულებს, ასეთ ადამიანს ვინ დაელაპარაკება?**

**— ზაქარეიშვილამდე კონფლიქტების მოგვარება თემურ იაკობაშვილისა და შოთა მალაშხიას ჰქონდათ დავალებული. იმხანად ყველა ფიქრობდა, რომ იაკობაშვილი და მალაშხია ყველაზე შეუფერებელი ადამიანები იყვნენ ამ საქმისთვის. როგორი მინისტრია პაატა ზაქარეიშვილი?**

— შოთა მალაშხიასა და თემურ იაკობაშვილზე საუბარიც არ ღირს... არც ზაქარეიშვილზე. ვინ ენდობა ადამიანს, რომელიც გამუდმებით ილანძღება და თავის პოზიციას ასე გამოხატავს?

**— გამოსავალს ხედავთ?**

— სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ჯგუფი იმ ადამიანებისგან, რომლებსაც რუსეთთან მოლაპარაკების შესაძლებლობა და ნდობა აქვთ.

**— ვის აქვს ასეთი ნდობა?**

— მთავრობაში ასეთი ადამიანები არ არიან. ამას ვერ შეძლებს ზაქარეიშვილი. **არ შეიძლება, ადამიანი გალანძღო და მერე მოლაპარაკება შესთავაზო, ლანძღვა ყველა ვარიანტში წამგებიანია.**

**ოსების ლანძღვა არ შეიძლება, ისინი მარტონი არ არიან. საქართველოში არსებობს ხალხი, რომლებმაც მათთან შეინარჩუნეს ურთიერთობა, ნუ გააკეთებენ ისე, რომ ყველა გზა მოიჭრას, თუკი კიდევ რამე დაგვრჩა.**

## «სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ჯგუფი იმ ადამიანებისგან, რომლებსაც რუსეთთან მოლაპარაკების შესაძლებლობა და ნდობა აქვთ»

**— მოგეწონათ პრემიერ ღარიბაშვილის მიმართვა აფხაზი და ოსი ხალხებისადმი?**

— **ღარიბაშვილის საქციელი, იცით, რას ჰგავს? — თავმოჭრილ მოზვერს თივას რომ უყრიან. რაღა დროს ეგეთი მიმართვაა? აქამდე სად იყო? აქამდე რატომ არ მისცა უწყებებს დავალება, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად რამე გაეკეთებინათ?**

პრობლემის მოგვარება მარტივად შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ამის ნება იქნება. საქმეში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ის ადამიანები, რომლებსაც მორალური უფლება აქვთ, აღნიშნულ საკითხში ჩაერიონ. **ოჯახი, რომ ოჯახია, ისიც კი გაგიდგება, თუ გულგრილად მოიქცევი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ აფხაზებსა და ოსებს ჩვენზე უარი ეთქვათ.**

დიდი გულისტკივილით ვამბობ, რომ **ხელისუფლებას არ სურს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება და ჩვენ, ცალკეული ადამიანები, ტყუილად ვოცნებობთ.** ხელისუფლების ინტერესი სხვა რამეა და, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, მხოლოდ აფხაზეთსა და ოსეთს არ დავკარგავთ, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს დასაკარგი ბევრი აქვს.

**— როცა ქვეყანაში ასეთი რამ ხდება და სამინისტრო წარუმატებლად მუშაობს, ვგულისხმობ, ზაქარეიშვილის უწყებას, მინისტრი არ უნდა მოხსნან?**

— ეჰ, შეიძლება, მაგ მინისტრმა იქით მოხსნას ყველა. ძალიან მაინტერესებს **ზაქარეიშვილს პრემიერ ღარიბაშვილისთვის ერთხელ მაინც თუ მოუხსენებია, რა გააკეთა? ან ღარიბაშვილს არასდროს უკითხავს ზაქარეიშვილისთვის, სიზმარი მაინც ხომ არ გინახავს დაკარგული ტერიტორიების შესახებო?**

**პრემიერს შეკითხვა არ უნდა დაესვა? კუნძივით რომ დევს ზაქარეიშვილი, ორი წელიწადია, არ რცხვენია? სამსახურში როგორ დადის? რას არ აკადრებენ, რას არ უწოდებენ, მისთვის კი ყველაფერი სულერთია. ზაქარეიშვილი 300 წელიწადს რომ იჯდეს მინისტრად, ვერაფერს გააკეთებს. ლოგიკა არ აქვს, ტერმინებს სწორად ვერ ხმარობს, მაგან რა ტერიტორია უნდა დაიბრუნოს?**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



ჰერმან ვან რომპეი:

## კრიზისს მივყავართ ომისკენ, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე სისხლისმღვრელ ომად იქცეს

**უკრაინაში არსებული კრიზისი, შესაძლოა, სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდოს, — განაცხადა ევროპის საბჭოს აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში გამოსვლისას. რომპეის აზრით, უკრაინული კრიზისი ყველაზე სერიოზული გეოპოლიტიკური კრიზისია, რომელსაც ევროპა ცივი ომის დასრულების შემდეგ განიცდის.**

„ამ კრიზისს მივყავართ კონტინენტზე ომისკენ, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე სისხლისმღვრელ ომად იქცეს ბალკანური ომის შემდეგ. ევროკავშირმა უკრაინის კრიზისიდან გამოსვლის ისეთი ვარიანტი უნდა იპოვოს, რომლის მიხედვითაც უკრაინა დეცენტრალიზებული ან ფედერალური სახელმწიფო იქნება“, — აღნიშნა ჰერმან ვან რომპეიმ.



## ფინეთში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს

**ფინეთი ევროპის მე-12 ქვეყანაა, რომელშიც ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს. ფინეთის პარლამენტმა კენჭი უყარა გადაწყვეტილებას, ქვეყანაში ერთსქესიანი ქორწინების რეგისტრაციის დაშვების შესახებ, — იუწყება „ბი-ბი-სი“.**

აქამდე ქვეყანაში ჰომოსექსუალი წყვილის „რეგისტრირებული პარტნიორობა“ დაშვებული იყო, მაგრამ ქორწინება ოფიციალურად იკრძალებოდა. მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, ფინეთი ევროპის მე-12 ქვეყანაა, რომელშიც ერთსქესიანი ქორწინება ოფიციალურად დაშვებულია.

მოკლედ

## 6 კგ ოქრო და გერმანიაში დაკავებული 6 ქართველი

**გერმანიის ქალაქ კიოლნში სამართალდამცავებმა საიუველირო მაღაზიის გაქურდვისთვის საქართველოს 6 მოქალაქე დააკავეს.** ქართველებმა დაახლოებით 100 000 ევროს ღირებულების 6 კგ-მდე ოქრო გაიტაცეს. მძარცველები მაღაზიაში გვერდით მდებარე შენობიდან გაჭრილი გვირაბიდან შევიდნენ. პოლიციელებმა მძარცველები ბინაში დააკავეს, სადაც ისინი ნაძარცვს ითვლიდნენ. პოლიციის მისვლის შემდეგ მათ ძვირფასეულობა აივნიდან გადაყარეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ დანაშაულებრივ ჯგუფს ამავე საიუველირო მაღაზიის გაძარცვის მცდელობა რამდენიმე დღის წინათაც ჰქონდა. ისინი მაშინ მაღაზიაში შესვლას სახურავიდან შეეცადნენ, თუმცა ვერ მოახერხეს.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთ ევროპაში აღმოსავლელი პარტნიორები აღიქმება, როგორც ძალა, რომელიც საშიშროების შემცველია თანამედროვე ევროპის კულტურული საფუძვლებისთვის.**

# ევროკავშირით იმედგაცრუებული აღმოსავლეთ ევროპა



**აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც, ჩვენი არ იყოს, თავგამოდებით ისწრაფოდნენ ევროკავშირში გაერთიანებისკენ, უფრო და უფრო ეპარებათ ეჭვი მათ მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორეში.**

არ დაუდო აკაკანებულმა ევროკავშირის კრუხმა ოქროს კვერცხი. პირიქით. გაძვირდა პროდუქტი, ხელფასები და პენსიები პრაქტიკულად ძველ დონეზე დარჩა, სამუშაო ძალა იძულებული გახდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეძება დასაქმების საშუალება, რამაც ფრიად უარყოფითად იმოქმედა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე.

**მორალური თანხვედრაც არ შედგა, ვერ იგუა აღმოსავლეთმა დასავლეთში მიღებული სტანდარტები და ნორმები, მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინება და სხვა უკულმართობანი მსგავსი ამისა.** ვერც ის გაიგეს ევროკავშირის ახალწვეულებმა, რატომ ხდება, რომ უფროსი თანამოძმენი მათ თხოვენ ფინანსურ დახმარებას, როცა ევროგაერთიანების ერთ-ერთი დანაპირები სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას გულისხმობდა და ამით იყო მიმზიდველი.

ამიტომაა, რომ ეს ქვეყნები არცთუ დიდი სიხარულით იხდიან ხარკს — საერთაშორისო სავალუტო ფონდში შესატან სახსრებს. ჩეხეთმა, მაგალითად, განაცხადა, რომ შეამცირებს ამ ფონდში თავისი გადასახადის წილს.

ასეთი განწყობილება გადაედო ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებსაც. ისინი დარწმუნდნენ, რომ ევროგაერთიანების ინსტიტუტებს უნარი არ შესწევთ, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები კრიზისის დასაძლევად და სულ უფრო ხშირად აცხადებენ, რომ დადგა დრო, დაუბრუნდნენ ეროვნულ ვალუტებს და იფიქრონ ევროგაერთიანებიდან გასვლაზეც კი.

## დასავლური და აღმოსავლური ევროსკეპტიციზმი

ევროსკეპტიციზმი ვრცელდება სრულიად ევროპაში.

**დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნების სკეპტიციზმი (დასავლური სკეპტიციზმი),** უწინარეს ყოვლისა, მიუღებლად მიიჩნევს ევროკავშირის გადაქცევას თავისებურ „სუპერსახელმწიფოდ“ (რომლის ნიშნებიც აშკარად იკვეთება), რაც სერიოზულ დარტყმას მიაყენებს ეროვნულ სუვერენიტეტს. კრიტიკის საგანია საზღვრების „გამჭვირვალობაც“, პრაქტიკულად ყოველგვარი ბარიერის მოშლას მიგრანტების ნაკადისთვის ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა უკრაინა, თურქეთი, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოები და ა. შ. ევროსკეპტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ სამუშაო ძალის უკონტროლო და მუდმივად მზარდმა შემოდინებამ გამოიწვია უმუშევრობის გაზრდა — იაფმა მუშახელმა, მიგრანტებმა, უსაქმოდ დატოვეს ადგილობრივი მოსახლეობა.

**აღმოსავლური ევროსკეპტიციზმი,** რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, გულგატეხილობასა და გულაცრუებაშია გამოხატული.

**აღმოსავლეთ ევროპა ძნელად ეწერება საერთოევროპულ კონტექსტში. ისტორიულად, ქრისტიანობა ევროპაში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობდა, მოცემულ მომენტში კი ეკლესიის ავტორიტეტი აღმოსავლეთ ევროპაში გაცილებით ძლიერია. დასავლეთ ევროპაში მიღებული ცხოვრების სტილი, სწორედ ამის გამო, უცხო და მიუღებელია აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეთა უმეტესობისთვის, განსაკუთრებით, — უფროსი ასაკის ადამიანებისთვის.**

აქედან — **მორალური შეუთავსებლობა.**

ევროკავშირისკენ რომ ისწრაფოდნენ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქენი იმედოვნებდნენ, რომ დაუბრუნდებოდნენ „საერთოქრისტიანულ ღირებულებებსა“ და უნივერსალურ ტრადიციებს. ევროგაერთიანებაში ყოფნის პერიოდში კი დარწმუნდნენ, რომ თანამედროვე დასავლეთ ევროპის ღირებულებანი ძალიან დაშორებულია ქრისტიანულ ფასეულობებსა და კულტურულ ტრადიციებს.



**აღმოსავლეთში მატულობს სკეპტიციზმი ევროპული მშენებლობის პროექტისადმი. «ბებერი» ევროპა კი სწორედ ამის გამო აღმოსავლეთ რეგიონს, დასავლეთ ევროპის ღირებულებების თვალსაზრისით, «ჩამორჩენილი» ქვეყნების გაერთიანებად მიიჩნევს**

კომუნიზმი უფრო კონსერვატული აღმოჩნდა, ვიდრე ის საზოგადოებრივი დინებები, რომლებიც თანამედროვე დასავლური დემოკრატიების მიერაა მხარდაჭერილი (ერთსქესიანთა ქორწინების აღიარება, ლიბერალური საიმიგრაციო პოლიტიკა, ნარკოტიკების ლეგალიზაცია ან ნახევრად ლეგალიზაცია და სხვ.).

აღმოსავლეთ ევროპაში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენენ კონსერვატიული პარტიები.

**დასავლეთ ევროპაში აღმოსავლელი პარტნიორები აღიქმება, როგორც ძალა, რომელიც საშიშროების შემცველია თანამედროვე ევროპის კულტურული საფუძვლებისთვის.**

პარალელურად, **აღმოსავლეთში მატულობს სკეპტიციზმი ევროპული მშენებლობის პროექტისადმი.** „ბებერი“ ევროპა კი სწორედ ამის გამო აღმოსავლეთ რეგიონს — დასავლეთ ევროპის ღირებულების თვალსაზრისით, „ჩამორჩენილი“ ქვეყნების გაერთიანებად მიიჩნევს.

**მსოფლმხედველური კონფლიქტი აშკარად გამოკვეთილია.**

ამგვარი **შეუთავსებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატებისადმი მათი განსხვავებული დამოკიდებულებაც არის.** აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა მკვეთრად პროამერიკული ხასიათისაა. იშვიათი არ არის, როცა საერთაშორისო ასპარეზზე მათი ამგვარი პოლიტიკა უპირისპირდება ევროკავშირის პოზიციას ამა თუ იმ საკითხში.

„ახალი“ და „ძველი“ ევროპის ურთიერთობაში თავისებურ წყალგამყოფად წარმოგვიდგა აშშ-ის ხელმძღვანელობით ნატოს ქვეყნების მიერ წარმოებული სამხედრო კამპანია ერაყში. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ დაგმო ერაყში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მოქმედება, აღმოსავლეთ ევროპის 10-მა ქვეყანამ წერილობით დაადასტურა ამ კამპანიის მხარდაჭერა, ზოგიერთმა კი — პოლონეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა და უნგრეთმა — თავიანთი ჯარისკაცები გააგზავნა სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად.

**აღმოსავლური ევროსკეპტიციზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ევროკავშირის ინსტიტუტების მისწრაფება, მოახდინონ კანონმდებლობის უნიფიცირება ევროკავშირის ტერიტორიაზე, მაგრამ ამაოა მათი ეს მისწრაფება, რადგან ევროკავშირის ძველი წევრები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ახლებისგან ეკონომიკური, კლიმატური, სოციალური და სხვა მაჩვენებლებით.** აქედან გამომდინარე, ის კანონები, რომლებიც იდეალურია საფრანგეთისთვის, მიუღებელია აღმოსავლეთ ევროპის ბევრი ქვეყნისთვის. მაგალითად, ერთიანი გადასახადი გათბობაზე, რომელიც ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ევროსკეპტიციზმი გამოიწვია „ახალი წევრი“ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრმა დაქვეითებამ, ფასების გაძვირებამ, ხელფასების ერთ დონეზე გაყინვამ და სამუშაო ძალის დასავლეთ ევროპაში გადინებამ იაფი მუშახელის სახით.

ანალიტიკოს ეკონომისტთა კრიტიკულ პოზიციებს თავს თუ მოვუყრით, ფრიად სკეპტიკური დასკვნის წინაშე აღმოვჩნდებით.

უწინარეს ყოვლისა, — **პოლიტიკურ ასპექტში.** ბალტიისპირეთის პოლიტიკური ელიტები იმთავითვე იქმნებოდა პროამერიკული მიმდინარეობის მომხრეთა საერთო მასიდან — ან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აშშ-ის გავლენის ჯგუფების წევრებიდან, ან ამერიკის მოქალაქეებისგან, რომელთა წინაპრებიც 1939 და 1944 წლებში ბალტიის ქვეყნებიდან აშშ-ში გადაიხვეწნენ, მათ შორის, ფაშისტების დამქაშთა წრეებიდან. ამ ელიტების მიზანი იყო თავიანთი პატრონების მოთხოვნათა დაკმაყოფილება და არა ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

**ამ პოლიტიკურ ფონზე ბალტიისპირეთი თანდათან კარგავს თავისი სამრეწველო ბაზის უკანასკნელ ნარჩენებს.**

მათ შორის, ლიტვაც, რომელიც, ექსპერტების მტკიცებით, ევროკავშირის წევრ 28 სახელმწიფოს შორის მშპ-ის დონით 22-ე ადგილზე იმყოფება, ესტონეთი და ლატვია უფრო ჩამორჩენილია.

ბალტიისპირეთში ცხოვრების ხანგრძლივობა ევროკავშირის საერთო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

**— მაშ, რა მოიგო ბალტიისპირეთმა ევროკავშირში გაერთიანებით?** — ამ შეკითხვით მიმართა ჟურნალისტმა ანასტასია ფროლოვამ (**პორტალი Rubaltic.Ru**) ცნობილ ეკონომისტს, ექსპერტული კონსულტირების კომპანია „ნეოკონის“ პრეზიდენტს — **მიხაილ ხაზინს.**

— ამ ქვეყნებისთვის განვითარების პირობა არავის მიუცია. უფრო მეტიც, სიტუაცია თანდათან გაუარესდება, რადგან ბრიუსელს გასაცემი თანხა სულ უფრო შეუმცირდება. მაშასადამე, ევროკავშირში გაერთიანებით ბალტიის ქვეყნებმა არაფერი მოიგეს. პირიქით, გაიუარესეს იმით, რომ მიიღეს ევრო. თუ ამ კუთხით შევადარებთ პოლონეთს, რომელიც გაცილებით ადეკვატურ პოლიტიკას განახორციელებს, მაგრამ უარი თქვა ევროზე, ისინი გაცილებით ცუდ დღეში აღმოჩნდნენ.

**— რა და როგორ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ლიტვამ, ლატვიამ და ესრონეთმა დაძლიონ ამ დროისთვის წარმოქმნილი სირთულეები?**

— კარგ გზას ვერ ვხედავ... ვფიქრობ, რომ მათ უმძიმესი მომავალი ელით. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ემიგრანტების გამოდევნას დაიწყებენ. სამშობლოში მათ არც სამუშაო ექნებათ, არც იმედიანი პერსპექტივა.

**— რამდენად სასარგებლოა ევროპისთვის** ▶

# ევროკავშირის პოლიტიკური ელიტა ისეთი ადამიანებისგან შედგება, რომლებმაც მოიხსნეს პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების ბედ-იღბალზე.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **და, კერძოდ, ბალტიისპირეთისთვის სანქციები, რომლებსაც აშშ და ევროკავშირი შეთანხმებულად განახორციელებენ რუსეთის წინააღმდეგ?**

— აბსოლუტურად უსარგებლო და მავნეა. ჯერჯერობით მათ პოლიტიკური ხასიათი აქვს და მიმართულია „პუტინის გუნდის“ დასასუსტებლად შიდარუსულ პოლიტიკურ რეალობაში. რაც დღეს ნაკლებად ეფექტიანია.

ეკონომიკური სანქციები არა მხოლოდ ევროკავშირისთვის, არამედ შეერთებული შტატებისთვისაც წამგებიანია.

**— უკრაინა, გარკვეულწილად, ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ განვლილ გზას იმეორებს — ფორსირებულად გადადის ეკონომიკურად ნაკლებად სასარგებლო დასავლურ ორიენტაციაზე.**

— ევროკავშირთან თანამშრომლობა არსებული კონფიგურაციით, მხოლოდ საზიანო იქნება. ამაზე კეთდებოდა აქცენტები არაერთ მოხსენებასა და ანალიტიკურ წერილში. მოძრაობას დასავლეთისკენ წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს და, როგორც ირკვევა, უკრაინის მოსახლეობაში დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობს, პროდასავლურ გალიციაშიც კი.

აშშ-მა მოასწრო უკრაინული ელიტების თავის კონტროლს დაქვემდებარება და ისინიც ამერიკის კარნახით განახორციელებენ ქვეყნის დამღუპველ პოლიტიკას, მაგრამ არა საკუთარი კეთილდღეობის საზიანოდ.

**— შეიძლება იმის თქმა, რომ აშშ უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ომობს?**

— ომი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს, მაგრამ ეს არ არის მთავარი ომი. მთავარი აშშ-ისა და ჩინეთის ომია ევროკავშირის ბაზრების ხელში ჩასაგდებად. ჩინეთი ევროკავშირისკენ მიდის განახლებული „დიდი აბრეშუმის გზით“. ამ გზაზე კი ერთადერთი სერიოზული დაბრკოლება არის უკრაინა, რომლის ამერიკელების გავლენას დამორჩილებული ხელმძღვანელობა არ გაატარებს ჩინურ საქონელს ევროკავშირის ქვეყნებისკენ.

ასე რომ, უკრაინაში ბრძოლა არის აშშ-ის ბრძოლა ევროკავშირის ბაზრებზე კონტროლის დასამყარებლად.

## აღმოსავლეთისკენ ევროკავშირის გაფართოების სოციალური შედეგები

აღმოსავლეთ ევროპაში მოსახლეობის გაღატაკებამ და უმუშევრობამ არნახული მასშტაბს მიაღწია.

**ევროკავშირის ახალ ქვეყნებში ხელფასები 5-8-ჯერ ნაკლებია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ევროკავშირის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ხვედრითი წილი 24,250 ევროა, უნგრეთში — 7,080 ევრო, ლატვიაში — 3,740 ევრო.**

**ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უმუშევრობა კატასტროფულად მატულობს და ჩეხეთში, მაგალითად, 11 პროცენტს გადააჭარბა.**

**თანაც ეს ციფრები სრულად არ ასახავს ცალკეულ ქვეყანაში რეალურად არსებულ ვითარებას. მაგალითად, სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში, რომელიც ვენას სულ რაღაც 60 კილომეტრითაა დაშორებული, უმუშევრობა მხოლოდ 4 პროცენტია, მაგრამ სოფლებში, რომლებიც აქედან 200 კილომეტრშია, 60 პროცენტს აღწევს; საერთოდ, ქვეყანაში — 16 პროცენტია. ასეთივე სურათია უნგრეთშიც: ბუდაპეშტში უმუშევართა რაოდენობა მინიმალურია, რაიონებში კი 40-50 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. უმუშევრობა განსაკუთრებით დიდია 25-წლიანთა ფენაში, ახალგაზრდების 45-50 პროცენტი დასაქმებას ვერ ახერხებს.**

სოციალური ვარდნა სხვა სფეროებშიც თვალშისაცემია. მაგალითად, **პოლონეთსა და უნგრეთში, 80-იან წლებთან შედარებით, სიკვდილიანობა ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის 5 პროცენტზე მეტით გაიზარდა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ უნგრეთის ნახევარი მოსახლეობა გაცილებით უფრო ცუდად ცხოვრობს, ვიდრე ათი წლის წინათ ცხოვრობდა.**

ამავე დროს აღმოსავლეთ ევროპა მიწიერ სამოთხედ იქცა დასავლეთევროპული ფირმებისთვის: უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა და სლოვაკეთმა მკვეთრად შეამცირეს საგადასახადო განაკვეთები უცხოელი ინვესტორებისთვის.

**ბალტიის ქვეყნებმა კი უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნეს საქმეში ფულის დამბანდებლებს. ლატვიაში, რომელიც მათ შორის ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, შექმნილია რამდენიმე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, რომლებშიც გადასახადები 80 პროცენტამდე შემცირდა.**

საერთაშორისო კაპიტალის მიზიდვის მიზნით გადასახადების მოდურ შემცირებაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც ჩაერთნენ. ავსტრიამ, სადაც დასავლეთ ევროპაში ისედაც ყველაზე დაბალი გადასახადები იყო დადგენილი, განახორციელა რეფორმა, რომლის შედეგად კორპორაციების საგადასახადო განაკვეთები 25-34 პროცენტით შემცირდა, შეღავათები დაწესდა ინვესტორებისთვისაც.

მაგრამ ამგვარი რეფორმებით გამოწვეული დეფიციტი ვერ შეავსო ეკონომიის რადიკალურმა რეფორმებმა, რომლებიც ავსტრიის მთავრობამ თავისი ქვეყნის მოსახლეობის

**ევროკავშირის ახალ ქვეყნებში ხელფასები 5-8-ჯერ ნაკლებია დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ევროკავშირის ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ხვედრითი წილი 24,250 ევროა, უნგრეთში — 7,080 ევრო, ლატვიაში — 3,740 ევრო**




**ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უმუშევრობა კატასტროფულად მატულობს და ჩეხეთში, მაგალითად, 11 პროცენტს გადააჭარბა**

მიმართ განახორციელა.

ეკონომისტების აზრით, ბიუჯეტისა და საგარეო ვაჭრობის ამგვარად წარმოქმნილი დეფიციტი შეიცავს ეკონომიკური კრიზისის საშიშროებას, რომელიც რეალობად იქცა ესტონეთში.

მაგალითების ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ის, რაც უკვე აღინიშნა, სავსებით საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მიწიერი სამოთხე, რომელსაც ევროკავშირის ახალწვეულებს ჰპირდებოდნენ, მიუღწეველი დარჩა.

რადგან თავიდანვე ბლეფი იყო.

## ევროკავშირთან ასოცირება: ნახტომი ნათელ მომავალში თუ ხაფანგი?

რას წარმოადგენს დღეს ევროკავშირი, რომელიც ოდესღაც ძალიან კარგად დაიწყო — სრულიად ევროპის წამოწევის გეგმით გერმანიის, უარეს შემთხვევაში — საფრანგეთის დონემდე, ევროკავშირში თანდათან გაერთიანებულმა ახალმა წევრებმა — პორტუგალიამ, საბერძნეთმა, ირლანდიამ მიიღეს უზარმაზარი სოციალური და ფინანსური ავანსები. მათზე გაავრცელეს „ევროპის ძველი წევრების“ — ევროკავშირის დამფუძნებელი ქვეყნების — სოციალური სტანდარტები, მათ შორის, მაღალი ხელფასები და პენსიები. საშუალება მისცეს, აეღოთ ვალები, რითაც, თავის მხრივ, ამ ქვეყნებში ფულის უდიდესი მასის შედინება უზრუნველყო.

ევროკავშირში არსებობს წესი, რომლის თანახმად, წევრი ქვეყნების ექსპორტის მინიმუმ ნახევარი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში უნდა გადიოდეს. თუ ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანას მომგებიანად გააქვს თავისი ნაწარმი მესამე ქვეყანაში, მან უნდა შეკვეცოს ექსპორტის მოცულობა მითითებულ ჩარჩოებამდე. აი, მაგალითად, **საბერძნეთს, რომელსაც ევროკავშირში გაერთიანებამდე გააჩნდა მაღალეფექტიანი ოთხი ეროვნული დარგი — ღვინის, ზეთისხილის, თამბაქოს წარმოება და გემთმშენებლობა, რომელთაც მნიშვნელოვანი მოგება მოჰქონდა, ევროკავშირის ჩარჩოებში მოხვედრის შემდეგ მხოლოდ გემთმშენებლობა შერჩა. სხვა ყველაფრის გასასაღებლად მხოლოდ შიგა ბაზარი დარჩა,** რადგან ევროკავშირის სხვა ქვეყნებს იგივე პროდუქცია ჰქონდათ და საბერძნეთის ნაწარმის თავის ბაზარზე შეშვებით არ იყვნენ დაინტერესებული.

ხოლო მას შემდეგ, რაც საბერძნეთის გემთმშენებლობამ ვერ გაუძლო ჯერ პოლონეთის, შემდეგ სამხრეთ კორეის კონკურენციას, ეს ქვეყანა საერთოდ ეკონომიკის მწარმოებლური დარგის გარეშე დარჩა.

**ევროკავშირის არსი ისეთი ზონის შექმნაა, რომელიც უზრუნველყოფს „ძველი ევროპის“ კორპორაციებისთვის გარკვეული მოგების მიღებას. ფაქტობრივად, ეს ზონა ნეოკოლონიალიზმის ფორმაა.** როცა ევროკავშირში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღება დაიწყეს, იმთავითვე უარი თქვეს ყოველგვარი სოციალური და ფინანსური გარანტიების გაცემაზე. აქედან გამომდინარე, საწარმოები, რომლებიც ამ ქვეყნებში იყო, ან იყიდეს „ძველი ევროპის“ კორპორაციებმა, ან დაიხურა.

კლასიკური მაგალითია რუმინეთი, ევროკავშირის ერთ-ერთი უმსხვილესი წევრი ქვეყანა. ევროკავშირის წევრად მისი ყოფნის პირველ ორ წელიწადში ქვეყნიდან წავიდა შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 25-30 პროცენტი, რადგან საწარმოები, რომლებშიც ისინი დასაქმებული იყვნენ, დაიხურა.

იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა უნგრეთი.

ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ სხვა „ახალი წევრების“ პრობლემებზე, რაც უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანება იმ პირობებით, როგორებსაც ეს გაერთიანება თავის ახალ წევრებს უყენებს, უკიდურესად არახელსაყრელია, რომ არ ვთქვათ, წამგებიანია.

ახლახან მოლდოვამ უკრაინასთან ერთად ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. იგულისხმება მხოლოდ სტატუსი, რომლითაც კარგა ხანია, სარგებლობენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა იორდანია, სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე, ტუნისი, ალჟირი, მაროკო, მექსიკა და რიგი სხვა ქვეყნებისა. მაგრამ, რადგან ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რომელსაც მოლდოვამ ხელი მოაწერა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ შეთანხმებებისგან, რომლებიც ევროკავშირს აღნიშნულ ქვეყნებთან აქვს დადებული, მოლდოვას არავითარი იმედი არ რჩება საიმისოდ, რომ შეძლოს თავისი ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა ევროპული სტანდარტებით გათვალისწინებულ დონემდე.

ასეთი პერსპექტივა გამორიცხულია.

**საქართველოზე, რომელიც ასეთივე დოკუმენტით შეეკრა ევროკავშირს, სიტყვას არ გავაგრძელებთ; ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ განხიბვლის პერსპექტივა წინ გვაქვს და არცთუ შორეულ მომავალში.**

დასასრულ, კიდევ ერთი ასპექტის შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროკავშირის ქვეყნებზე დღეს უდიდესი გავლენა აქვს. **განვითარების ბევრი პროგრამა, რომელთა განხორციელებას ცდილობენ „ძველი ევროპის“ ქვეყნები, ქაღალდზე რჩება, რადგან არ შეესაბამება აშშ-ის ინტერესებს.** ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ელიტებისთვის დამახასიათებელი პირადი პასუხისმგებლობის აღების შიში სწორედ ამ გავლენის შედეგია.

დღეს, როცა აღარ არსებობს „საბჭოთა საფრთხე“, ევროპის ლიდერებს ამერიკელები უკარნახებენ, როგორი გადაწყვეტილებები მიიღონ ვითარება, როცა შეუძლიათ ნებისმიერი წაფორხილების მიზეზები ამერიკელ პატრონებს გადააბრალონ, ევროპელებსაც ხელს აძლევს.

**ევროკავშირის პოლიტიკური ელიტა ისეთი ადამიანებისგან შედგება, რომლებმაც მოიხსნეს პასუხისმგებლობა თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების ბედ-იღბალზე.**

ასეთი სიტუაცია ფრიად მომგებიანია ევრობიუროკრატიისთვის. ეროვნული ბიუროკრატები ევროკავშირში გაერთიანების ან ასოცირების შემდეგ „ევრობიუროკრატიის დიდი ოჯახის“ წევრები ხდებიან, შეუზღუდავი შესაძლებლობა ეძლევათ თვითრეკლამისთვის, მათი გვარები ქვეყნდება მსოფლიოში გავრცელებული მედიასაშუალებების გვერდებზე; შეუძლიათ, დაიკავონ მაღალი თანამდებობები ევროსტრუქტურებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**საქართველო, რომელსაც ჯერ კიდევ ყურში აქვს ევროკავშირთან ასოცირების დროს „საზეიმოდ“ აჟღერებული შალახოს ჰანგები, ფხიზლად უნდა იყოს,** რათა კისერზე არ დაისვას ამგვარი ბიუროკრატიისკენ მიდრეკილი „მოღვაწენი“.

**საბერძნეთს, რომელსაც ევროკავშირში გაერთიანებამდე გააჩნდა მაღალეფექტიანი ოთხი ეროვნული დარგი — ღვინის, ზეთისხილის, თამბაქოს წარმოება და გემთმშენებლობა, რომელთაც მნიშვნელოვანი მოგება მოჰქონდა, ევროკავშირის ჩარჩოებში მოხვედრის შემდეგ მხოლოდ გემთმშენებლობა შერჩა. სხვა ყველაფრის გასასაღებლად მხოლოდ შიგა ბაზარი დარჩა**

დემოკრატიის ფარული ხიბლი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაიხსენეთ „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ — „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო ლოზუნგი, რომელიც სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ღარიბების ფიზიკური მოსპობის გზით სიარულს — ასე აპირებდა ყოფილი ხელისუფლება „ოქროს მილიარდის“ კვალზე საქართველოს მოსახლეობის ამოწყვეტას.**

# ევთანაზია — სიკვდილის უფლება

## ნეოლიბერალიზმის არგუმენტებით გამართლებული

**„არა კაც-ჰკლა“, (გამ. 20,13) — ღაღადებს ძველი აღთქმა. ჭეშმარიტებათა ერთიან სისტემაში გამოკვეთილი ეს მცნება ადამიანის სიცოცხლის ხელუხლებლობის შესახებ აბოლებულ სინის მთაზე ცეცხლის ალში გამოცხადებულმა ღმერთმა აუწყა ხალხს.**

**„და იტყოდა უფალი ყოველთა ამათ სიტყუათა, მეტყველი... მცნებათა თვისთა...**

**„არა კაც-ჰკლა“.**

**„და ყოველი ერი ხედვიდა ხმასა და ლამპართა და ხმასა საყვირისასა და მთაი კუმოლვარე იყო, ხოლო შეშინებულნი ყოველნი ერნი დგეს შორს“ (გამ. 20, 18).**



თანამედროვე ქართულით გადმოღებულია ასე:

„ხედავდა მთელი ერი ჭექა-ქუხილს, ცეცხლის ალს, საყვირის ხმას და აკვამლებულ მთას; დაინახა ხალხმა, შიშით უკუიქცა და მოშორებით დადგა“ (*გამ. 20, 18).*

როგორ დაშორებულან ღმერთის ამ მცნების უგულებელმყოფელნი ნეოლიბერალურ ღირებულებათა ადეპტები, რომლებიც ბრმათა ჯოხის კაკუნს მიჰყვებიან კაცთმოძულეობის გზაზე დამდგარნი.

ნეოლიბერალიზმი — ნეოფაშიზმში გადაზრდილი.

მხოლოდ ასე თუ შეაფასებ იმას, რაც ლიტვის ჯანდაცვის მინისტრმა, ქალბატონმა რიმანტე შალაშიავიაჩიუტემ განაცხადა ევთანაზიის ლეგალიზაციაზე:

„ევთანაზია სწორი არჩევანი შეიძლება იყოს ღარიბი ადამიანებისთვის, რომელთაც სიღარიბის გამო ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო დახმარებაზე. ლიტვა არ არის სოციალისტური სახელმწიფო, რომელშიც პალიატიური დახმარება შეიძლება ყველამ მიიღოს. ამიტომ ევთანაზია შეიძლება გამოსავალი იყოს ადამიანებისთვის, რომლებსაც არ სურთ, საკუთარი ტანჯვის ყურებით შეაწუხონ ნათესავები“.

ამ კაცთმოძულე დებულებაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ, ახლა კი გავიხსენოთ:

**ევთანაზია არის უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანის სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტის პრაქტიკა.**

ევთანაზია — მოკვდინების, სიცოცხლის წართმევის უფლება. რაც მართლმადიდებლობისთვის კატეგორიულად მიუღებელია, რადგან მხოლოდ ღვთის ნებაა, განსაზღვროს ადამიანის გარდაცვალების მომენტი.

ღმერთი განაგებს ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლეს.

ამავე პოზიციაზე დგას მსოფლიოს ყველა ტრადიციული რელიგია.

მაჰმადიან მოღვაწეთა უმრავლესობას ევთანაზიის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. **მაჰმადიანური** რწმენის ქვეყნებში იგი ერთმნიშვნელოვნად არის აკრძალული. „მხოლოდ ღმერთი აძლევს ადამიანს სიცოცხლეს და მხოლოდ მას აქვს უფლება მისი წართმევის!“ — აღნიშნულია ისლამურ პორტალებზე.

**იუდეველები** კატეგორიულად უარყოფენ ევთანაზიას. ისინი მიიჩნევენ, რომ ადამიანის სხეული ადამიანს არ ეკუთვნის: იგი ადამიანს დროებით სარგებლობაში მიეცემა, რადგან ეკუთვნის ღმერთს. „ღმერთის რწმენით, ღმერთის იმედით ადამიანმა სრულად უნდა განვლოს სიცოცხლის ის გზა, რომელიც უფალმა მას დაუწესა“.

ადამიანის სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტისადმი ნეგატიურად არიან განწყობილი **ბუდისტებიც:** „ნებისმიერი სიცოცხლე ძვირფასია, ამით ყველაფერია ნათქვამი. ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ზნეობრივი და სულიერი საწყისთაგანი“.

**სოციალური, მით უფრო, პედიატრიული ევთანაზია (ანუ ბავშვების თვითმკვლელობის წახალისება) ჰიტლერსაც კი არ მოსვლია აზრად; ფაშისტურ გერმანიაში ევთანაზია გამოყენებული იყო მხოლოდ სულიერი ავადმყოფების მიმართ და ისიც მცირე მასშტაბით, 1943 წელს კი საერთოდ აკრძალეს**

ონკოლოგების საერთო პოზიცია ამ პრობლემის მიმართ ასეთია: მიზანშეწონილი არ არის, დაკანონდეს ევთანაზია მრავალი მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, პრაქტიკოს ექიმებს აღარ ექნებათ სტიმული ამ მოურჩენელი სენის დაძლევის ახალი გზებისა და საშუალებების ძიებისა და დანერგვის, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად სამეცნიერო კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩასატარებლად;

მეორე — იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა, ექიმთა არაკეთილსაიმედო პროგნოზის მიუხედავად, უპერსპექტივო ავადმყოფი გამოჯანმრთელებას იწყებს;

მესამე — სიცოცხლე ადამიანს ღმერთისგან და ბუნებისგან აქვს მინიჭებული და არავის, ექიმსაც კი, აქვს უფლება, წაართვას იგი ადამიანს.

ონკოლოგებისა და ფსიქიატრების საერთო აზრით, **ონკოლოგიური ავადმყოფები სულაც არ მიეკუთვნებიან უმძიმეს ავადმყოფთა ყველაზე უფრო სუიციდსაშიშ ჯგუფს.** ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, ონკოლოგიური პაციენტის თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების რისკი დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე ავადმყოფთა საერთო პოპულაციაში, ხოლო თირკმელების უკმარისობით დაავადებული ავადმყოფის, რომელიც ჰემოდიალიზზე იმყოფება, სუიციდის რისკი 80-ჯერ მეტია. ეს მონაცემები მოყვანილია ალექსანდრე საველსკის პუბლიკაციაში „პაციენტის უფლებების დაცვა ქაღალდზე და ცხოვრებაში“.

პრობლემაზე მომუშავე მედიკოსების აზრით, მაღალხარისხიანი მოვლისა და მკურნალობის პირობებში ონკოლოგიურ პაციენტებს მეოთხე კლინიკურ სტადიაზეც კი შეუძლიათ, ღირსეულად იცოცხლონ ბოლომდე.

ამ ფონზე ლიტვის ჯანდაცვის ქალბატონი მინისტრის განცხადება კაცთმოძულეობის ნიმუშად აღიქმება. „ევთანაზია კარგი არჩევანია ღარიბი ადამიანებისთვის, რომლებსაც ხელმოკლეობის გამო სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება არ აქვთ“.

**ღარიბი ავადმყოფები უნდა ამოწყდნენო! და გაიხსენეთ „საქართველო სიღარიბის გარეშე!“ — „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო ლოზუნგი, რომელიც სხვა არაფერს ნიშნავდა, თუ არა ღარიბების ფიზიკური მოსპობის გზით სიარულს — ასე აპირებდა ყოფილი ხელისუფლება „ოქროს მილიარდის“ კვალზე საქართველოს მოსახლეობის ამოწყვეტას.**

ჩანს, ლიტვაშიც იგივე აქცენტია, იქაც სოციალური თემატიკის მოშველიებით — ორიენტაციააღრეული დემაგოგიით გამართლებული პოზიციით. ახალმოდურად გაიკეკლუცა საქვეყნო ზრუნვით დამძიმებულმა ქალბატონმა ტელეკამერების წინ, რომ **ლიტვა არ არის სოციალური სახელმწიფო, სადაც პალიატიური დახმარება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც სჭირდება. მაშასადამე, ევთანაზია არის გამოსავალი მათთვის, ვისაც არ სურს თავისი გაჭირვებული ახლობლები საკუთარი უმწეობით შეაწუხოს.**

შეგზარავს ასეთი „სახელმწიფოებრივი“ ზრუნვა.

გგონიათ, რომ ამით დაკმაყოფილდა ეს აფრებაშვებული ქალბატონი?

არა და არა!

ლიტველების ჯანდაცვის ახალი პრიორიტეტების დადგენა მან (ამ ლუციფერმა კაბაში) **„პედიატრიული ევთანაზიით“** განაგრძო.

ბავშვები დავხოცოთო, რომლებიც თანდაყოლილი დაავადებებით დაიბადნენ(!).

არგუმენტი არ გაინტერესებთ?

**ყოველმხრივ კეთილმოწყობილ გარემოში მცხოვრებ ბელგიელ ბავშვებს უკვე აქვთ ამგვარი უფლება და რატომ უნდა ჩამორჩნენ ამ უფლების მოპოვებაში ლიტველი პატარები ევროპელ თანატოლებსო!**

ჩვენც აქეთ ხომ არ ვისწრაფვით? რიტორიკული არ უნდა იყოს ეს შეკითხვა, რადგან ლიტვის მთავრობის წევრის ასეთი პოზიცია ერთი ჭკუანაღრძობი ქალბატონის კერძო მოსაზრება კი არა, მსოფლიო პოლიტიკის შემაძრწუნებელი ტენდენციის აშკარად გამოვლენილი ფაქტია. მომასწავებელი უმეტესი უბედურების, უფლის მცნებათა წარყვნით რომ ემუქრება კაცობრიობას.

**„ბოლავდა მთელი სინას მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში; როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა“** *(გამ. 19, 18).*

**„არა კაც-ჰკლა“** *(გამ. 20, 13).*

ნიდერლანდების მეფე ვილემ-ალექსანდრმა, ყველაზე ახალგაზრდა ევროპელმა მონარქმა, **სოციალური სახელმწიფოს ეპოქის დამთავრება** ამცნო სამყაროს. შენ ხომ კარგად ბრძანდები, მეფევ ბატონო, და დაიკიდე ფეხებზე ქვეყანაც და ხალხიც!

„ადამიანებმა, — თქვან მან, — საკუთარ მომავალზე პასუხისმგებლობა თავადვე უნდა იკისრონ, მათ შორის, სოციალური და ფინანსური უსაფრთხოებაც, **ხელისუფლების უმნიშვნელო მონაწილეობით“.**

ამ „უმნიშვნელოს“ გამეტებისთვისაც მადლობა დიდი!

**ცნობისთვის: სოციალური სახელმწიფო არის პოლიტიკური სისტემა, რომელიც მატერიალურ სიკეთეებს გადაანაწილებს სოციალური სამართლიანობის პრინციპის მიხედვით, რათა თითოეულმა მოქალაქემ ცხოვრების ღირსეულ დონეს მიაღწიოს სოციალური განსხვავებულობის შემცირებისა და გაჭირვებაში მყოფთა დახმარების გზით.**

მოკლედ

## იმამი „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერისთვის დააპატიმრეს

**ბულგარეთში დააპატიმრეს იმამი ახმედ მუსა და კიდევ ექვსი პირი, რომლებიც დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობაში არიან ეჭვმიტანილნი.**

ბულგარელმა სამართალდამცველებმა ქვეყნის სამხრეთში 40 სახლი და მეჩეთი გაჩხრიკეს რადიკალი ისლამისტების დასაკავებლად. დაპატიმრებულია 26 ადამიანი, პოლიციელებმა ამოიღეს მაისურები, თავსაბურავები, დროშები და „ისლამური სახელმწიფოს“ სიმბოლოები.

ბულგარეთის გენპროკურორის მოადგილემ ბორისლავ სარაფოვმა განაცხადა, რომ დაკავებული იმამი ახმედ მუსა ქრისტიანული სარწმუნოებიდან ისლამზე 2000 წელს გადავიდა და ქრისტიანობის წინააღმდეგ ომის დაწყების, აგრეთვე, მსოფლიოში ხალიფატის ძალაუფლების გავრცელების პროპაგანდას ეწეოდა. ბულგარეთის 7,3-მილიონიანი მოსახლეობის 12% ისლამის მიმდევარია. ეს ევროკავშირის ერთ-ერთი სახელმწიფოა, სადაც მუსლიმები კარგა ხნის წინათ დასახლდნენ — ოსმალეთის იმპერიის ხანიდან.





## ნეოლიბერალური პოზიცია, თითქოს ევთანაზია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდანაა ამოზრდილი, მხოლოდ მოჩვენებითი ჰუმანურობის პროპაგანდისტული „ხალტურაა“.

დემოკრატიის ფარული ხიბლი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აღმოსავლეთ ევროპაში, ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების მიუხედავად, არ მცირდება; უფრო — პირიქით. ევროინტეგრაციამ ამ ქვეყნებში დეინდუსტრიალიზაცია და ეროვნული ეკონომიკების ფაქტობრივი განადგურება გამოიწვია. „ათობით მილიონი ადამიანი გაღატაკდა და ევროპელთა პატრონები მათი მომსახურე ადგილობრივი პერსონალის პირით ოფიციალურად სთავაზობენ — ამოწყდით!“ ამას წერენ საქმეში ჩახედული მიმომხილველები, რომლებიც სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, შეძრწუნებულნი არიან ევროპელთა, უწინარესად კი, თანამედროვე ევროელიტის მიერ ადამიანურობის დაკარგვის შემზარავი მაგალითებით. **„სოციალური, მით უფრო, პედიატრიული ევთანაზია (ანუ ბავშვების თვითმკვლელობის წახალისება) ჰიტლერსაც კი არ მოსვლია აზრად; ფაშისტურ გერმანიაში ევთანაზია გამოყენებული იყო მხოლოდ სულიერი ავადმყოფების მიმართ და ისიც მცირე მასშტაბით, 1943 წელს კი საერთოდ აკრძალეს“ (Art-info).**

დღევანდელ ევროპაში კი 16-მა ბელგიელმა ექიმმა-პედიატრმა პარლამენტარებს მიმართა წინადადებით, მხარი დაეჭირათ არასრულწლოვანთა ევთანაზიის კანონის მიღებისთვის: „ბავშვებს არ უნდა დავუკარგოთ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა“, — აღნიშნავდნენ მედიკოსები. მათი მტკიცებით, არასრულწლოვანებს, სიკვდილს თვალში რომ ჩახედავენ, შეუძლიათ, მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება(!).

ასე ფიქრობენ ევროპელი „წინწაწეული“ ექიმები.

„რა ექიმი დასნეულდეს“...

**შარშან ბელგიაში ევთანაზიის გამოყენებით სიცოცხლე შეუწყვიტეს 1432 ადამიანს, რაც ქვეყანაში სიკვდილიანობის 2 პროცენტს შეადგენს *(Russia Today).***

**ევთანაზია ოფიციალურად ნებადართულია ოთხ ევროპულ ქვეყანაში: ნიდერლანდების სამეფოში, შვეიცარიაში, ბელგიასა და ლუქსემბურგში.**

**პედიატრიული ევთანაზია დანერგილია ბელგიასა და ნიდერლანდებში.**

**ჰოლანდიაში „ევთანაზიური სიკვდილის“ უფლება აქვთ 12 წელზე უფროს ბავშვებს...**

ბენილუქსის ქვეყნებისგან და შვეიცარიისგან განსხვავებით, **ინგლისსა და უელსში** თვითმკვლელობაში ხელის შემწყობს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 14 წლით და არავითარ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც მსგავსი იქნება ბელგიელი ექიმების „პროგრესული“ წინადადების, იქ არ განიხილავენ.



**ევთანაზია, რაგინდ კეთილშობილურობის ნიღბით იყოს დაფარული, არის ერთდროულად მკვლელობისა და თვითმკვლელობის სახეშეცვლილი ფორმა. მოკვდინება, როგორც „სწორი მკურნალობის“ საშუალება, რომელიც მიმართულია ავადმყოფისთვის აუტანელი ტკივილის მოსაცილებლად, ძირშივე მცდარია, რადგან ნებისმიერი მეთოდი, რომელიც სიკვდილს იწვევს, მიუღებელია. ნეოლიბერალური პოზიცია, თითქოს ევთანაზია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდანაა ამოზრდილი, მხოლოდ მოჩვენებითი ჰუმანურობის პროპაგანდისტული «ხალტურაა»**



**ევთანაზია აშშ-ის მხოლოდ სამ შტატშია კანონით დაშვებული (ორეგონი, ვაშინგტონი, მონტანა), თანაც მკაცრადაა რეგლამენტირებული. სხვა შტატებში, მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით უმძიმეს დანაშაულად ითვლება.** თუმცა ისიც სათქმელია, რომ იქაური „უფლებადამცველები“ აქტიურად ლობირებენ ევთანაზიის ლეგალიზაციას. **ამ მოძრაობის სათავე გასული საუკუნის 30-იან წლებში უნდა ვეძებოთ, როცა ამერიკაში არსებობდა და მოქმედებდა საზოგადოება „ევთანაზია“, რომელიც მიზნად ისახავდა „დეფექტიანების“ მოკვდინების ლეგალიზებას. 1938-1939 წლებში იგივე ხდებოდა ფაშისტურ გერმანიაში, სადაც დამუშავებული ჰქონდათ და განახორციელებდნენ „ევთანაზიის პროგრამას“ „არასრულყოფილი“ პირების მიმართ.**

აი, **ავსტრალიაში ევთანაზიის პროპაგანდაც კი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.**

ჯერ არ შეშლილა ბოლომდე მსოფლიო...

თუმცა ლიბერალური იდეოლოგები სწორედ აქეთკენ გვიბიძგებენ. ისინი ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ქმედებას, რომელიც პაციენტის თხოვნითა და ნებართვით მის სიკვდილს იწვევს, არ შეიძლება, ეწოდოს მკვლელობა. მაგრამ **ევთანაზია, რაგინდ კეთილშობილურობის ნიღბით იყოს დაფარული, არის ერთდროულად მკვლელობისა და თვითმკვლელობის სახეშეცვლილი ფორმა. მოკვდინება, როგორც „სწორი მკურნალობის“ საშუალება, რომელიც მიმართულია ავადმყოფისთვის აუტანელი ტკივილის მოსაცილებლად, ძირშივე მცდარია, რადგან ნებისმიერი მეთოდი, რომელიც სიკვდილს იწვევს, მიუღებელია.**

**ნეოლიბერალური პოზიცია, თითქოს ევთანაზია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებიდანაა ამოზრდილი, მხოლოდ მოჩვენებითი ჰუმანურობის პროპაგანდისტული „ხალტურაა“.**

**ევთანაზია ხელშეწყობილი მკვლელობაა.**

**დასასრულ, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს შევთავაზებ ვრცელ ამონარიდს დიმიტრი გოლოლობოვის პუბლიკაციიდან „რამდენი ფაშიზმია ბავშვთა ევთანაზიის ლეგალიზაციაში“. ბოლოთქმის ნაცვლად მიიღონ ეს ციტირება ჩვენმა მკითხველებმა.**

* * *

„ცივილიზებულ სახელმწიფოს არ შეუძლია ბავშვების მოკვდინება? სერიოზულად ასე ფიქრობთ? ათიოდ წლის წინათ ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლოში განიხილავდნენ სიამის ტყუპის — ჯოდისა და მერის განცალკევების საქმეს. ოპერაციის შედეგად ჯოდი, 94 პროცენტის ალბათობით, გადარჩებოდა, მერი — უეჭველად მოკვდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ტყუპს დატოვებდნენ ისე, როგორც დაიბადნენ, ჯოდიცა და მერიც ექვს თვეში დაიღუპებოდნენ.

სასამართლო ატრიალებდა იურიდიულ დოქტრინებს — აუცილებელი თავდაცვიდან დაწყებული ევთანაზიის დასაბუთებით დამთავრებული და, საბოლოო ჯამში, ოპერაციის ნება დართო.

რა შეიძლება ეწოდოს ამ ვერდიქტს, თუ არა სასამართლოს მიერ ნებადართული მკვლელობა? ბავშვი მაინც მოკვდებოდა? დიახ, მოკვდებოდა, მაგრამ თუ ამ პრინციპს დავეთანხმებით, მაშინ თავისუფლად შეგვიძლია გამოვთიშოთ ასობით უიმედო ავადმყოფი ჰოსპისებში რომ წვანან *(ჰოსპისები სამედიცინო დაწესებულებებია, სადაც მკურნალობენ დაავადების უკანასკნელ სტადიაზე მყოფ პაციენტებს — ა.ს.).* თუ შეიძლება გამოვთიშოთ ის, ვინც 6 თვის შემდეგ მოკვდება, მაშინ რატომ არ შეიძლება გამოვთიშოთ სხვა, ვინც, მაგალითად, ერთი წლის შემდეგ გარდაიცვლება? არ არსებობს არავითარი სასამართლო დოქტრინა, რომელიც დაასაბუთებს რამენაირ შეზღუდვას ასეთ შემთხვევაში.

**შეიძლება ადამიანის ხორცის ჭამა? არც ეს ყოფილა პრობლემა. თავის დროზე კანიბალიზმის პრობლემა ზღვაში ნებადართული იყო ბრიტანეთის სასამართლოს მიერ...**

ადამიანების თანაცხოვრების კანონები, სპარტის შემდეგ განვლილი ათასწლეულების განმავლობაში, გარკვეულ შემთხვევაში, ნორმიდან ამოვარდნილი ადამიანების მკვლელობის ნებას იძლეოდა.

**დღეს ადამიანის მოკვდინების აუცილებლობა უმეტესად შეფარული ფორმით არის წარმოდგენილი: ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტის გადანაწილებით, სამედიცინო დაზღვევის პროგრამების შეზღუდვით, საავადმყოფოების დახურვით, წამლების გაძვირებითა და მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოშველიებით არგუმენტირებული.**

ეს ყველაფერი თანამედროვე ცივილიზაციის აუცილებელი ელემენტებია და კაცობრიობა, რომელიც პრიორიტეტული გადაწყვეტილების წინაშე აღმოჩნდა, მონდომებით მალავს თავს მის მიერვე შექმნილ კულტუროლოგიურ და სამედიცინო ქვიშაში, — წერენ სპეციალისტები.

ხოლო ის, რომ არალეგალური შემოსავლების დეკლარირებამ შეიძლება გადაარჩინოს ათასობით ბავშვი, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას, არავის აწუხებს...

**უცხოური პუბლიკაციების მიხედვით მოამზადა**
**არმაზ სანებლიძე**



## შტეფან ფულემ უკრაინისა და საქართველოს გამო ევროკავშირი გააკრიტიკა

**ყოფილი ევროკომისრის — შტეფან ფულეს განცხადებით, უკრაინის კრიზისზე პასუხისმგებლობის წილი გერმანიის ხელისუფლებასაც ეკისრება.**

გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ ინტერვიუში ჩეხმა პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ ერთი წლის წინათ ევროკავშირში უკრაინის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა არა მხოლოდ რუსეთის ზემოქმედების შედეგად ჩაიშალა, არამედ ევროპული ქვეყნების, მათ შორის, გერმანიის მერყევი პოზიციის გამოც, რომლებმაც უარი განაცხადეს უკრაინისთვის გაეხსნათ ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა.

„არ შეიძლება უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას უთხრა, რომ, ერთი მხრივ, რუსეთის საბაჟო კავშირში შესვლა შეუთავსებელია ევროკავშირთან ასოცირებასთან, მეორე მხრივ კი, შეუზღუდო ევროკავშირში გაერთიანების შესაძლებლობა“, — განაცხადა ფულემ.

მისივე თქმით, 2013 წლის შემოდგომაზე გერმანიამ და ევროკავშირის სხვა ქვეყნებმა უარი განაცხადეს, ევროკავშირში გასაწევრებლად პერსპექტივა გაეხსნათ უკრაინისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებისთვის, შედეგად შექმნეს თავისებური „სანიტარული კორდონი“ — მსგავსი ბუფერული ზონისა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის, საფრანგეთის დაჟინებული მოთხოვნით.

„უკრაინელებს ჩვენ, ფაქტობრივად, ვუთხარით: ვწუხვართ თქვენი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ წასვლა არც აღმოსავლეთისკენ და არც დასავლეთისკენ!“ — განაცხადა ფულემ, რომელმაც ევროპის ასეთ პოზიციას „გაუგონარი“ უწოდა.

## ალექსანდრე ლუკაშენკო: ბელარუსის მაგალითზე ვიღაცისთვის ჭკუის სწავლება სურთ

**ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს განცხადებით, თუ რუსეთი ბელარუსულ პროდუქციაზე აკრძალვას არ გააუქმებს, ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.**

„თუ უახლოეს ხანში რუსეთსა და ბელარუსს შორის სავაჭრო საკითხების ნორმალიზება არ მოხდება, იძულებული ვიქნებით, რეაგირება მოვახდინოთ. ეს რა საქციელია!“ — განაცხადა ალექსანდრე ლუკაშენკომ ბელარუსული სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ალექსანდრე ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ რუსეთს, ბელარუსსა და ყაზახეთს შორის თანასწორობა დარღვეულია. განსხვავებით ბელარუსისგან, როდესაც პრობლემები უჩნდება ყაზახეთს, ის მაშინვე გვარდება ერთი ზარის მეშვეობით.

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბელარუსის მაგალითზე ვიღაცისთვის ჭკუის სწავლება სურთ. მაგრამ ჩვენ ძაღლები არ ვართ, საყელურგამობმული რომ გვატარონ“, — აღნიშნა ალექსანდრე ლუკაშენკომ. რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთში ბელარუსული ხორცის შეტანაზე აკრძალვა დაწესდა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეორიულად აშშ ყველას დემოკრატიზაციისკენ მოუწოდებს, მაგრამ რეალურად საპირისპირო ეფექტის პროვოცირებას ახდენს: ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის კორუფცია იზრდება, ქვეყანა კი ნაფლეთებად იშლება.**



# მუდმივი ამერიკული ომის დასასრული?

**ათ წელიწადზე მეტია, ამერიკელი ჯარისკაცები მონაწილეობენ მუდმივ ომში ყოველგვარი წარმატების გარეშე. კოსოვო, ავღანეთი, ერაყი, ლიბია — ამ ჩამონათვალიდან მხოლოდ პირველ სამხედრო ოპერაციას შეიძლება წარმატებული ეწოდოს. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევს კოლუმბიის უნივერსიტეტის ზალცმენის სახელობის ომისა და მშვიდობის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორი, საგარეო კავშირების საბჭოს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ამერიკელი ექსპერტი რიჩარდ ბეტსი.**

გავლენიანი ჟურნალის — Foreign Affairs ახალ ნომერში რიჩარდ ბეტსი საუბრობს იმ უსასრულო ომზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში აწარმოებს. ავტორის თქმით, ვაშინგტონის მიერ გაჩაღებული პერმანენტური ომები არანაირი წარმატების მომტანი არ არის და შესაბამისად, სჭიროა მათი შეწყვეტა.

ათ წელზე მეტია, ამერიკელი ჯარისკაცები „სამწუხარო პარადოქსის“ ილუსტრაციად იქცნენ: მიუხედავად აშშ-ის უპრეცენდენტო გლობალური სამხედრო ბატონობისა, ეს ქვეყანა განუწყვეტლივ აწარმოებს უშედეგო საბრძოლო მოქმედებებს. აქამდე ამერიკის ისტორიაში მსგავსი რამ არ მომხდარა. კოსოვოში, ავღანეთში, ერაყსა და ლიბიაში ამერიკის სამხედრო ქმედებებიდან მხოლოდ პირველი კამპანია შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად.

ექსპერტი ამ საკითხზე საუბარს აქტუალურად მიიჩნევს, რადგან ამჟამად აშშ-ის თავდაცვის სისტემა არის ის მინდორი, რომელზეც არკვევენ ურთიერთობებს ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები. ვაშინგტონში გარკვეული ძალები უკმაყოფილონი არიან დაუსრულებელი ომიანობით და თვლიან, რომ მკვეთრად უნდა შემცირდეს სამხედრო ხარჯები, სხვები კი პასუხობენ, რომ „შემაშფოთებელი პრობლემებია“ სამ რეგიონში: ისლამისტმა ექსტრემისტებმა ერაყსა და სირიაში დიდი ტერიტორიები მიიტაცეს, რუსეთი უკრაინის საქმეებში ერევა და ჩინეთი აღმოსავლეთ აზიაში კუნთებს ათამაშებს. მაშ, რა ქნას ვაშინგტონმა? მიაფურთხოს ყველა ამ საქმეს თუ პირიქით — გააძლიეროს ჩარევა?

იმისათვის, რომ რისკი ნაკლები იყოს, ანალიტიკოსი თვლის, რომ გასათვალისწინებელია წარსულის მაგალითები და, შესაძლოა, პოლიტიკოსებს მთელი რიგი პუნქტების ათვისებამაც არ აწყინოთ.

**პირველი პუნქტი.** ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაცილებით იშვიათად უნდა იომოს, მაგრამ, თუ მაინც იომებს, უფრო თავდადებით, ვიდრე აქამდე. გამარჯვების საშუალებები საჭიროზე მეტი უნდა იყოს და არა საჭიროზე ნაკლები.

**მეორე პუნქტი**. ქვეყანამ თავი უნდა აარიდოს საომარ მოქმედებებს იქ, სადაც გამარჯვება პოლიტიკურ კონტროლზეა დამოკიდებული, რადგან ადგილობრივი პოლიტიკოსები იშვიათად აკეთებენ იმას, რაც ამერიკელებს სურთ და რაც მათ საკუთარ ინტერესებს არ ემთხვევა.

**მესამე პუბქტი.** ვაშინგტონმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანებს, თავის სამხედრო დაგეგმარებაში აქცენტები უნდა გააკეთოს დიდ სახელმწიფოებთან ომების წარმოებაზე და მთელი თავისი დიპლომატია ამ ომების თავიდან ასაცილებლად უნდა მიმართოს.

**პერმანენტურ ომში აშშ-ის მონაწილეობა ნათლად აჩვენებს, რომ პრეზიდენტებისთვის არ შეიძლება, დანებდნენ ცდუნებას და გამოიყენონ აშშ-ის სამხედრო ძლევამოსილება, მაგრამ, თუ ომი უკვე გაჩაღებულია, ისინი არ უნდა დანებდნენ მეორე ცდუნებას და არ უნდა დაკმაყოფილდნენ მინიმალური შედეგებით.**

მიუხედავად ამისა, სანახევრო ზომები ძალზე მიმზიდველად გამოიყურება პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც „ინსტინქტურად“ ეძებენ კომპრომისს უცხოურ კონფლიქტებში საბრძოლო მოქმედებების დონესა და „სკეპტიკოსების“ პროტესტს შორის.




**აზრი არა აქვს ომის დაწყებას იქ, სადაც მიზანი არ არის ლოკალური კონფლიქტების გადაჭრით მოგვარება და საუბარია მხოლოდ გარკვეული ფიგურების მოშორებაზე ან ხელისუფლებაში «ვაშინგტონის მიმართ მეგობრული» ხელისუფლების მოყვანაზე**



სხვათა შორის, გარდა სამხედრო მოქმედებებისა, აშშ-ს სხვა მრავალი ინსტრუმენტის გამოყენებაც შეუძლია: დიპლომატია, ეკონომიკური ძალა, საიდუმლო ოპერაციები, სპეცოპერაციების ძალები, სამხედრო-პროფესიონალური მომზადება, სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა და ბოლოს იარაღის მიწოდება. **აზრი არა აქვს ომის დაწყებას იქ, სადაც მიზანი არ არის ლოკალური კონფლიქტების გადაჭრით მოგვარება და საუბარია მხოლოდ გარკვეული ფიგურების მოშორებაზე ან ხელისუფლებაში „ვაშინგტონის მიმართ მეგობრული“ ხელისუფლების მოყვანაზე.** რომც არაფერი გამოვიდეს, დანაკარგებიც არ იქნება დიდი.

არასტაბილურ ქვეყანაში სამხედრო ინტერვენციამ შედეგი შეიძლება მოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება სტაბილური პოლიტიკური სისტემის განვითარების საქმეს, თუმცა ეს უკანასკნელი უკვე დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკოსების მიზნებსა და ქმედებებზე. სხვადასხვა სახის ამბოხებულებთან ბრძოლის ამგვარი სისტემა თეორიულად აღიარებულია აშშ-ის მიერ, მაგრამ პრაქტიკაში ხელისუფლება ყოველთვის არ მისდევს მას. ისინი, ვინც ამ სტრატეგიის რეალიზებას ეწევიან, ძალიან ხშირად ურევენ „ადმინისტრაციულ მიღწევებს“ პოლიტიკურ პროგრესში. გარდა ამისა, ეს ადამიანები გადამეტებულად აფასებენ ვაშინგტონის შესაძლებლობებს უცხო ქვეყნის პოლიტიკური მართვის სფეროში.

**თეორიულად აშშ ყველას დემოკრატიზაციისკენ მოუწოდებს, მაგრამ რეალურად საპირისპირო ეფექტის პროვოცირებას ახდენს: ადგილობრივ პოლიტიკოსებს შორის კორუფცია იზრდება, ქვეყანა კი ნაფლეთებად იშლება.**

2003-ში უმცროსი ბუშის მიერ დაწყებული ერაყის კამპანია „თვითგვემაა“. ეს კამპანია საერთოდ არ იყო საჭირო. გარდა ამისა, მისი მომხრეები ცდებოდნენ, როდესაც ფიქრობდნენ, რომ ერაყი „მსუბუქი გასეირნება“ აღმოჩნდებოდა. „დემოკრატიზაციამ“ ბოთლიდან ჯინი გამოუშვა: ქვეყანა შეარყია სოციალურმა უთანხმოებებმა, გაჩაღდა პოლიტიკური კონფლიქტი, არჩევნებმა ვერ განაპირობა ერთიანი ხელისუფლების ფორმირება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ვაშინგტონმა მრავალი შეცდომა დაუშვა. საჭიროა წარსულის გაკვეთილების დასწავლა. პოლიტიკოსებმა, რომლებიც საომარ მოქმედებებს გეგმავენ, საკუთარ თავს ორი მთავარი კითხვა უნდა დაუსვან: თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინტერესები, რომლებიც ფსონზე დევს და რამდენად ეფექტიანად მოხერხდება სამხედრო ძალით ამ ინტერესების დაცვა?

ბეტსის აზრით, აშშ-ისთვის დადგა დრო, პრიორიტეტების ორიენტირება მოახდინოს იმ „სახელმწიფოთაშორისი ომების“ დაგეგმვაზე, რომელთაც ჩვეულებრივი ▶



## ვენესუელის ლიდერი ნავთობის გაძვირებას მოითხოვს

**ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო აცხადებს, რომ ნავთობის სამართლიან ფასად 100 დოლარი მიაჩნია და პირობას იძლევა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ფასები ამ ნიშნულზე დააბრუნოს. „ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ ნავთობის მოპოვების შემცირება, მაგრამ გავაგრძელებთ მუშაობას მანამ, სანამ ფასები არ დაუბრუნდება სამართლიან დონეს, ანუ 100 დოლარს“,** — განაცხადა მადურომ. ნავთობის მოპოვების შემცირებას და ამ გზით ნედლეულის გაძვირებას OPEC-ის ქვეყნებს შორის ყველაზე აქტიურად ვენესუელა მოითხოვდა. ამ ქვეყნის ბიუჯეტი უდეფიციტო იმ შემთხვევაში იქნება, თუ ნავთობის ფასი 160 დოლარზე მაღალი იქნება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ის წარუმატებელი მდგომარეობა, რომელშიც აშშ აღმოჩნდა, იმაზე ნაკლებად არ უნდა აშფოთებდეს თეთრ სახლს, ვიდრე სანახევრო ზომები და კომპრომისები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

◀ იარაღით აწარმოებენ, და აშშ-ის უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს ევროპისა და აზიის ძველი მოკავშირეების დაცვა.

ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში არსებული საფრთხეები ახლო აღმოსავლეთში, ქაოტურ შიდა ომებთან შედარებით, მეტად ექვემდებარება ჩვეულებრივი ძალის გამოყენებას. ამ რეგიონებში ჩვეულებრივ შეიარაღებაში აშშ-ის უპირატესობა, შესაძლოა, მძლავრ შემაკავებელ ფაქტორად იქცეს, ამასთან, აშშ-ს ტრადიციული ომების თავიდან აცილების წარმატებული გამოცდილება აქვს.

აზიაში ანალიტიკოსი მხოლოდ ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე არ მიანიშნებს. მისი ყურადღების ცენტრში გაძლიერებული ჩინეთიცაა.

საუბარი შეეხება რუსეთსაც, რომელსაც ავტორი ჩინეთთან ერთად „პირველი რიგის საფრთხეებს“ განაკუთვნებს. მისი აზრით, პერსპექტივაში ორივე ხსენებული ქვეყანა აშშ-ის მოწინააღმდეგეა. და ორივეს შეუძლია, კოლოსალური ზიანი მიაყენოს აშშ-საც და მის მოკავშირეებსაც. სწორედ ამის გათვალისწინებით ადგენს ანალიტიკოსი დიპლომატიურ პრიორიტეტს: საჭიროა დროებითი შეთანხმების მიღწევა ორივე ქვეყანასთან და საომარ დაპირისპირებასთან მიახლოების აღკვეთა. მაგრამ, თუ პრობლემასთან გამკლავება პოლიტიკური საშალებებით ვერ მოხერხდება, მისი გადაჭრა ამერიკელ სამხედროებს დააწვებათ მხრებზე: მათ მოუწევთ, შეაკავონ მოწინააღმდეგე ან მოახერხონ თავდაცვა.

**რიჩარდ ბეტსი საკმაოდ ობიექტურია და აღნიშნავს, რომ უკრაინის კრიზისი ვლადიმერ პუტინის აგრესიის შედეგად კი არა, „გაუაზრებელი დასავლური პროვოკაციების“ შედეგად წარმოიშვა და ამ პროვოკაციებს შორის ასახელებს ნატოს აულაგმავ ექსპანსიას, რუსეთის დამამცირებელ გაგდებას ზესახელმწიფოების რიცხვიდან და ევროკავშირის ძალისხმევას, კიევი მოსკოვთან კავშირების შემცირებაში დაერწმუნებინა. ახლა კონფლიქტი გაართულა უკრაინაში რუსეთის ქმედებებმაც.**

ამ ყველაფრის პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ დასავლელი ამომრჩევლები არ იწონებენ უკრაინაში ომის გაჩაღების იდეას. ახალი ცივი ომის გრადუსის შემცირებას ევროპაში, შესაძლოა, პოლიტიკური კომპრომისი დასჭირდეს: მაგალითად, აღმოსავლეთ უკრაინისთვის მეტი ავტონომია, კიევისთვის კი — ნეიტრალური საგარეო პოლიტიკა.

მაგრამ ბეტსი ვარაუდობს, რომ რუსეთის ქმედებებმა გაამძაფრა ნატოს ქვეყნების, განსაკუთრებით ალიანსის ახალი წევრების, მღელვარება. **თუ რუსეთი აგრესიას გამოიჩენს, მის პასუხად შეიძლება იქცეს ნატოს ძალების განლაგება ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში, რითაც მოსკოვთან კონფლიქტი გამწვავდება.**

როგორც ანალიტიკოსი წერს, დასავლეთის საბედნიეროდ, თუ ევროპაში შეკავებისა და თავდაცვის აუცილებლობა მართლაც კვლავ სერიოზულ პრობლემად იქცევა, ამ მისიის შესრულება გაცილებით იოლი იქნება, ვიდრე ცივი ომის დროს იყო.

ვაშინგტონმა უნდა იცოდეს, რომ მოსკოვი სულაც არ არის ისეთი „ველური და შეშლილი, როგორიც ფხენიანია“, — აღნიშნავს ანალიტიკოსი. გარდა ამისა, აშშ-ის ნატოელი მოკავშირეების ნახევარი საერთო შიდა პროდუქტის მოცულობასთან პროპორციული გათვლით ახლა იმის ნახევარზე ნაკლებს ხარჯავს, რასაც ამერიკა ხარჯავს თავდაცვაზე.

მაშ ასე, სტრატეგიის არჩევა მოითხოვს ჯანსაღ მსჯელობას იმაზე, თუ რა მიზნები დგას ამერიკის ჯარისკაცების წინაშე, ჯარისკაცებისა, რომლებსაც საკუთარი სიცოცხლის გარისკვა მოუწევთ. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს უცხოელი სამოქალაქო პირებიც. **ავღანეთსა და ერაყში ამერიკელმა მაღალჩინოსნებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს ვერც ფულადი ხარჯები, ვერც დაღვრილი სისხლი. სიტუაციის ტრაგიზმი იმაშიც გამოიხატება, რომ 2003 წელს ერაყზე თავდასხმამ მხოლოდ ავნო აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას: ვაშინგტონს ახლა გაცილებით უფრო ბევრი მტერი ჰყავს მუსლიმანურ სამყაროში.**

ყველა ეს არასწორი გათვლა რესპუბლიკელებისა და დემოკრატების აულაგმავი ამბიციების შედეგია. მათ სურთ, რომ აშშ-მა უსამართლობა ამოძირკვონ და წესრიგი დაამყარონ მსოფლიოში და ხშირად ცდილობენ ამის გაკეთებას იარაღის მიშვერით.

პერმანენტური ომის ეპოქამ აშშ-ს მკაცრი გაკვეთილები ჩაუტარა. მთავარი დასკვნა, რომელიც ანალიტიკოსმა ამ გაკვეთილებიდან გააკეთა, ისაა, რომ მეორეხარისხოვანი მიზნების მისაღწევად აშშ-ის სამხედრო მანქანის გამოყენება დაუშვებელია.

გლობალური პირველობა კვლავაც უამრავ საშუალებას აძლევს აშშ-ს მანევრირებისთვის, უფრო მეტს, ვიდრე ცივი ომის დროს. მაგრამ რუსეთსა და ჩინეთთან ურთიერთობების დაძაბვის ზრდის პარალელურად მანევრირებისთვის სივრცე მცირდება. ამიტომაც ბეტსი ურჩევს აშშ-ს, „მოთოკოს საკუთარი ამბიციები“.

ამრიგად, ბეტსმა განიხილა არა მხოლოდ აშშ-ის მიერ საზღვარგარეთ წარმოებული ომების ისტორია და თეთრი სახლისთვის სავალალო დასკვნები დადო, არამედ მიანიშნა, რომ ვაშინგტონისთვის უსასრულო ომების პერიოდი წარსულს უნდა ჩაბარდეს. აშშ-ის არმია უნდა წავიდეს იქიდან, სადაც ამრავლებს ტანჯვა-წვალებას, სადაც პოლიტიკური და სოციალურ კრიზისს ბადებს, სადაც დაპირებული დემოკრატიის ნაცვლად მხოლოდ კორუფციასა და განხეთქილებას თესავს...

**topwar.ru**




# ჩაკ ჰეიგელის მემკვიდრეობა

**აშშ-ის თავდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს — ჩაკ ჰეიგელს უკიდურესად რთული თანამდებობა ეკავა მსოფლიოში დიდი არეულობების პერიოდში. რას იტყვის მასზე ისტორია?**



თავდაცვის მინისტრის — ჩაკ ჰეიგელის გადადგომა სასიამოვნო ამბავი არ იყო არმიისთვის, რომელიც ახალი საბიუჯეტო შემცირებების წინაშე დგას. თუ როგორ შეიცვალა უკვე მეოთხე ხელმძღვანელი უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე, ამ ამბავს არც პენტაგონის ბიუროკრატია გაუხარებია, ამის შემდეგ ის საკუთარ თავში აღარაა დარწმუნებული.

**ჰეიგელი საკვირაო თოქშოუების ხმაურიანი და მუდმივი სტუმარი არ იყო, მაგრამ იგი სავსებით კომპეტენტურად ხელმძღვანელობდა მძლავრი გლობალური რყევების პერიოდში ყველაზე დიდი საბიუჯეტო უწყების შემცირების პროცესს.**

ჰეიგელი თანამდებობაზე ობამას პრეზიდენტობის ყველაზე რთულ მომენტში დაინიშნა, მაშინ, როდესაც სეკვესტრი მთელი ძალით უნდა ამოქმედებულიყო. მისი წინამორბედები ხარჯების ამ ავტომატური შემცირების გამო მოსალოდნელ კატასტროფაზე საუბრობდნენ და მინისტრ ჰეიგელს სწორედ ამ შემცირების პირობებში მოუხდა რთული გადაწყვეტილებების მიღება.

საგარეო პოლიტიკაში მისი მოღვაწეობის შედეგებს შეიძლება არაერთგვაროვანი ეწოდოს, თუმცა თავდაცვის პოლიტიკაში მინისტრმა ნამდვილად მიაღწია წარმატებას. მან ეს იმ მომენტში გააკეთა, როდესაც პენტაგონიდან არანაირი დადებითი ცნობა არ მოდიოდა.

მინისტრი სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც თავისთავად დიდი მიღწევაა. ეს წარმატება იგნორირებულ არ უნდა იქნეს, გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მრავალი სამხედრო მოსამსახურე ავღანეთში, ერაყსა და ნიგერიაში ყოველდღიურად საფრთხის წინაშე დგას.

თავდაცვის მინიტრის თანამდებობაზე მისი ერთ-ერთი უპირველესი ქმედება იყო მის მიერვე ჩატარებული ანალიზის „სტრატეგიული არჩევანი და მართვა“ შედეგების გამოქვეყნება. შედეგად ჰეიგელმა თავის წინამორბედებზე ბევრად უფრო გულახდილად და კეთილსინდისიერად წარმოადგინა სეკვესტრირების კონკრეტული შედეგები. მან შტაბების მეთაურების გაერთიანებული კომიტეტი აიძულა, უფრო სერიოზულად მიდგომოდა საკითხს, რომ სამხედრო უწყებაში შიდა ხარჯების გაზრდა ჯარებს საბრძოლო ძლიერების ასამაღლებლად ესოდენ აუცილებელ სახსრებს ართმევდა.

ჰეიგელის მიერ ჩატარებული ანალიზი იდეალური არ იყო, მაგრამ მინისტრი სწორად მოიქცა, როდესაც მისი შედეგები გამოაქვეყნა. შემდგომში ეს ანალიზი დაეხმარა პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, გაერკვიათ კავშირები საბიუჯეტო უპირატესობებსა და საგრძნობ შედეგებს შორის ნაციონალურ უსაფრთხოებაში და ყველაფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინათ.

შედეგად ჰეიგელმა მოინდომა, პენტაგონში გონივრული, მაგრამ სადავო რეფორმები გაეტარებინა. ამ რეფორმების რეალიზება არასრული აღმოჩნდა და დიდი სიხარულიც არ მოუტანია, მაგრამ ის უკვე ვადაგასული კომპრომისი იყო, რომელიც, უბრალოდ, აუცილებლობას წარმოადგენდა მას შემდეგ, რაც ყველა იოლი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა; ყბადაღებული, ადვილად მისაწვდომი ყველა ნაყოფი კი — მოწყვეტილი.

ჰეიგელის თავდაცვის სტრატეგია გაცილებით პატიოსანი და რეალისტური აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედებისა იმის შეფასებაში, თუ როგორ აისახებოდა საბიუჯეტო შემცირება ჯარზე. თვით ამ დოკუმენტის გასაკრიტიკებლად შექმნილმა წარმომადგენლობითმა კომისიამ განაცხადა, რომ პენტაგონი არ არის დამნაშავე პერსპექტიული შეხედულებების არარსებობაში და ამაში დამნაშავენი არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ვერ ახერხებენ, ნათლად აჩვენონ თავდაცვის სამინისტროს, თუ როგორი ბიუჯეტი იქნება.

**ჰეიგელი ცდილობდა, გაეგრძელებინა პატიოსანი კამპანია აუდიტორიაში, რომელსაც არ სურდა პატიოსანი განცხადებების მისმენა და პრეზიდენტს წარუდგინა 2015 წლის საბიუჯეტო განცხადება.** ბოლო მომენტში თეთრმა სახლმა პენტაგონს მისცა მითითება, კანონით ნებადართული ლიმიტის გარდა, მეტი სახსრები მოეთხოვა. ამის შემდეგ მინისტრი იძულებული გახდა, რამდენიმე ბიუჯეტიდან ერთი გამოეძერწა, რათა თვალნათლივ ეჩვენებინა სეკვესტრის შედეგები. ეს სასარგებლო ჩანაფიქრი აღმოჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფრის შედეგი უკანასკნელი წლების მანძილზე ყველაზე აბდაუბდა საბიუჯეტო მოთხოვნა გახდა.

ახლახან ჰეიგელის მიერ წარმოდგენილი „მესამე საპირწონის“ სტრატეგია აშშ-ის სამხედრო-ტექნოლოგიური უპირატესობისთვის საფრთხის მატების ფონზე საკმაოდ ჭკვიანური კონცეფციაა. იმავე ფაქტორების გამო, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არ არის, ეს ინიციატივაც, შესაძლოა, იმითვე დასრულდეს, რითაც — ობამას ადმინისტრაციის აზიაზე „მიბმა“: ფუჭი ლაპარაკით, რომელიც არ ეფუძნება რეალობას. რაც არ უნდა იყოს, ეს სწორი სტრატეგია იყო.

მზარდი საფრთხეების საწინააღმდეგო სტრატეგიაშიც კი **მინისტრი ჰეიგელი ყურადღებით უსმენდა თავის საბრძოლო მეთაურებს და აქტიურად გამოდიოდა ადმინისტრაციის წინააღმდეგ.** სამწუხარო რეალობა არის ის, რომ საბრძოლო უნარისა და სამხედრო პოტენციალის შესუსტება, რაც ჰეიგელამდე დიდი ხნით ადრე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა, უკვე იქამდე მიდის, რომ მთავარსარდალს ქმედებებისთვის სულ უფრო ცოტა ვარიანტი რჩება. **ის წარუმატებელი მდგომარეობა, რომელშიც აშშ აღმოჩნდა, იმაზე ნაკლებად არ უნდა აშფოთებდეს თეთრ სახლს, ვიდრე სანახევრო ზომები და კომპრომისები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.**

**The National Interest**

მოკლედ

## ევროპარლამენტმა Google-ის გაყოფა მოითხოვა

Google

**ევროპარლამენტში კენჭი უყარეს საძიებო სისტემის გიგანტი კომპანიის — Google-ის გაყოფას. ინიციატივა პარლამენტში გავიდა, თუმცა კომპანია არაა ვალდებული, ის შეასრულოს. მთავარი გადაწყვეტილება კონკურენციის საკითხებში ევროკავშირის კომისარმა უნდა მიიღოს.** ევროპარლამენტის გადაწყვეტილებას ამერიკელი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო სტრუქტურების კრიტიკა მოჰყვა. ევროპარლამენტარების თქმით, Google-ი, რომელსაც ევროპული ბაზრის 90% უკავია, ძიების შედეგებში უპირატესობას თავისივე პროდუქტს აძლევს. ასევე, მათივე თქმით, კომპანია აკოპირებს ზოგიერთ მასალას, მაგალითად, სასტუმროებისა და რესტორნების რევიუებს, რათა შემდეგ ისინი თავის პროდუქციაში მოახვედროს. ევროპარლამენტი Google-ის ორ ნაწილად გაყოფას მოითხოვს, სადაც ცალკე იქნება საძიებო მომსახურება და ცალკე — სხვა პროდუქტები.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთ DER SPIEGEL-ის მტკიცებით, 150-ზე მეტ სირიელს სახალხოდ გამოსჭრეს ყელი. და ეს ყველაფერი ხდებოდა ტელეარხების — FRANCE 24-ისა და AL-JAZEERA-ს ჟურნალისტის — აბუ სალეჰის აპლოდისმენტების ფონზე.**

**ევროპელი ჯიჰადისტების დანაშაულებით შეშფოთებული არიან ევროპული სახლმწიფოების მეთაურები; საფრანგეთსა და ბრიტანეთში უკვე ხმამაღლა საუბრობენ ამაზე და ცდილობენ, ახსნან, — როგორ მოხდა, რომ ადამიანები, რომელთაც საკუთარ გარემოცვაში პატივს სცემდნენ, სირიასა თუ ერაყში კაციჭამიებად რატომ იქცნენ. ისინი საუბრობენ „ცნობიერებით მანიპულირებაზე“, მაგრამ მსჯელობისას არასდროს მიდიან მთავართან, რადგან, თუ ახლანდელი ევროპელი ჯიჰადისტები მანიპულაციების მსხვერპლნი არიან, სხვა ჯიჰადისტებიც მსხვერპლნი გამოდიან უკანასკნელი 13 წლის მანძილზე და ამ შემთხვევაში ხელახალ გადაფასებას მოითხოვს ყველაფერი, რაც არსებულ სიტუაცის უძლოდა წინ.**

# ვინ და როგორ მანიპულირებს ჯიჰადისტებით



ვიდრე განვიხილავდეთ ევროპელების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ომის შედეგებისადმი დამოკიდებულებაში ღრმა ცვლილებებს, აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ევროპელი ლიდერების ორპირობაზე, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შეგნებულად უჭერდნენ მხარს და აფინანსებდნენ კიდეც ამ დანაშაულებს. დღეს, როდესაც მსგავსი დანაშაულები ხდება, ევროპელი ლიდერები მოჩვენებითი გაოცებით ცდილობენ ადამიანების დარწმუნებას, თითქოს ეს მათთვის მოულოდნელი სიახლეა.

**ევროპული ქვეყნების ლიდერებმა პირადად უნდა აგონ პასუხი თავიანთ ქვეყნებში ადამიანების ტერორისტებად ქცევისთვის.**

ადამიანებისთვის თავების მოკვეთა ახალი მოვლენა არ არის. ეს დაიწყო ერაყში ამერიკის ოკუპაციის დროს 2003-ში, ხოლო ლიბიის არაბული ჯამაჰირიისა და სირიის არაბული რესპუბლიკის წინააღმდეგ ომებში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ლიბიაში არაბული რევოლუცია 2011 წლის 16 სექტემბერს დაიწყო ბენღაზში. მაშინ ლიბიის ისლამური სამხედრო დაჯგუფების, ანუ ადგილობრივი „ალ ქაიდას“ წევრებმა კოორდინირებულად გახსნეს ცეცხლი. მეორე დილით ჯიჰადისტები თავს დაესხნენ ყაზარმებსა და პოლიციის განყოფილებებს. მათ ჩამოახრჩეს და თავები მოჰკვეთეს ჯარისკაცებს.

სირიის არაბული რევოლუცია დერაში დემონსტრაციით დაიწყო. პარასკევის ლოცვის შემდეგ დაახლოებით 15-მა ადამიანმა კონსტიტუციური ხელისუფლების საწინააღმდეგო ლოზუნგები გამოფინა. ამის შემდეგ ჯიჰადისტები თავს დაესხნენ სამხედრო დაზვერვის შენობას. მოულოდნელობის გამო სამხედროებმა დიდი დანაკარგები განიცადეს. მათგან ერთს თავი მოჰკვეთეს.

**ატლანტიკური ალიანსის წევრები, ნაცვლად იმისა, რომ დაეგმოთ ეს დანაშაულები, ტაშს უკრავდნენ ჯიჰადისტებს და ადანაშაულებდნენ სახელმწიფოებს, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა ეს შეტევები. შედეგად თავის მოკვეთა შიშის ჩანერგვის მეთოდად იქცა. მას ჯერ ლიბიაში იყენებდნენ, შემდეგ კი — სირიაშიც, მას შემდეგ, რაც ჯამაჰირია დაეცა და ლიბიელი ჯიჰადისტები სირიაში ჩავიდნენ.** თუმცა თავის მოკვეთა ერთადერთი საშუალება არ არის — ჯიჰადისტებს, ასევე, ჩვევად აქვთ, დაანაწევრონ მოკლულთა სხეულები და მათი ნაწილები გამოსაჩენ ადგილებში დაყარონ.

როდესაც 2012 წლის თებერვალში დასავლეთის ქვეყნებისა და ყურის ტელეარხები გაჰყვიროდნენ, რომ სირიული არაბული არმია ბომბავდა ბაბა ამრის ისლამურ ემირატს, სიტყვაც არ დასცდენიათ იმაზე, თუ რას წარმოადგენდა ეს ემირატი. ის არაფრით ჩამორჩებოდა დღევანდელ ელისს. იქ ისლამური ტრიბუნალი სასიკვდილო განაჩენებს არიგებდა სუნიტებისა და ურწმუნოთათვის, რომელთაც ადანაშაულებდნენ რესპუბლიკის მხარდაჭერაში. **გაზეთ Der Spiegel-ის მტკიცებით, 150-ზე მეტ სირიელს სახალხოდ გამოსჭრეს ყელი. და ეს ყველაფერი ხდებოდა ტელეარხების — France 24-ისა და Al-Jazeera-ს ჟურნალისტის — აბუ სალეჰის აპლოდისმენტების ფონზე.**

ეს ყასბები არ განუკითხავთ არც ნატოს წევრებს, არც საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს, რომელმაც 2012 წლის 5 ივლისს პატივით მიიღო საფრანგეთში აბუ სალეჰი და ტაშს უკრავდა მას 120 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

ვერანაირმა ფაქტმა, თვით „ისლამური ემირატი ბაბა ამრის“ ყოფილი მეთაურის — აბუ საკარის კანიბალიზმის სცენამ, რომელიც YouTube-ზე გავრცელდა, ვერაფერი შეცვალა. გამოდის, რომ „ზომიერებმა“ შეიძლება ხოცონ საკუთარი სისხლი და ხორცი და მათი გულ-ღვიძლი ჭამონ.

ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში პრეზიდენტს, რომელიც ღიად უჭერს მხარს ამგვარ დამნაშავეებს, ჩამოაგდებდნენ, მაგრამ არა საფრანგეთში, სადაც პარლამენტარები თვლიან, რომ ეს დანაშაულები პრეზიდენტის ადმინისტრაციის კომპენსაციას განეკუთვნება.



## ევროპული ქვეყნების ლიდერებმა პირადად უნდა აგონ პასუხი თავიანთ ქვეყნებში ადამიანების ტერორისტებად ქცევისთვის



**წამყვანი ევროპელი პოლიტიკოსები სახალხოდ გაჰყვირიან ბაშარ ასადის განადგურების მოწოდებებს და სახალხოდვე უჭერენ მხარს „ალ ქაიდას“.** ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორან ფაბიუსი. 2012 წლის 17 აგვისტოს მან განაცხადა: „მშვენივრად ვაცნობიერებ იმ სიტყვების შინაარსს, რომელთაც წარმოვთქვამ: ბატონი ბაშარ ალ-ასადი არ იმსახურებს, რომ დარჩეს დედამიწაზე“. იმავე წლის 12 დეკემბერს მან საკუთარ თავზე აიღო „ალ ქაიდას“ დაცვა და უარი განაცხადა, მისი სირიული განშტოება შეეტანა ტერორისტული ორგანიზაციების ამერიკულ სიაში იმ მიზეზით, რომ „ისინი კარგად ასრულებდნენ საკუთარ სამუშაოს“.

ასე რომ, ევროპელი ჯიჰადისტები უბრალო დამნაშავეები არ არიან — ისინი ასრულებენ საკუთარი მეთაურების ბრძანებებს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მაინც გაასამართლეს, პოლიტიკოსები კი, რომლებმაც წინასწარ განსაზღვრეს მათი დანაშაულები, ამ დრომდეც საკუთარ თანამდებობებზე რჩებიან.

**თუ დასაწყისში ევროპელ ჯიჰადისტებს იმ დამნაშავეთაგან არჩევდნენ, რომლებმაც ციხეებში მოიხადეს სასჯელი და თვლიდნენ, რომ სირიაში გააკეთებდნენ ყველაფერს, რაც საკუთარ ქვეყანაში კანონით ეკრძალებოდათ (გაუპატიურება, ძარცვა, ხოცვა), დღეს მეთოდები დაიხვეწა და ინტერნეტის საშუალებით ნორმალურ ადამიანებსაც აგროვებენ.**

ახალგაზრდებთან საუბარი ფორუმებზე და სოციალურ ქსელებში მათსავე ენაზე, მათივე კულტურის, პირადი ისტორიის იმ დონეზე ცოდნით, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მკვლელებად ქცევა, დიდ მოხერხებას მოითხოვს. ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ ამის უნარი შესწევთ დაქირავებულ ბოევიკებს? ამგვარი მანიპულაციებისთვის აუცილებელია მთელი რაზმი, რომელიც ობიექტის შესახებ შეაგროვებს ინფორმაციას, განსაზღვრავს მის ფსიქოლოგიურ მიდრეკილებებს და გამონახავს შესაფერის სიტყვებს მის ჩასათრევად. ასე რომ, ეს სპეციალიზებული ჯგუფების სამუშაოა და არა უბრალო ერაყელი გლეხების.

**მას შემდეგ, რაც ახალგაზრდებს დაარწმუნებენ, რომ ისინი საერთაშორისო საზოგადოებას განეკუთვნებიან და იარაღით ხელში უნდა დაიცვან ის, თურქეთში გზავნიან.** იქ ისინი კონტროლს ექვემდებარებიან, ეს უკანასკნელი კი თურქული სპეცსამსახურების მფარველობით მოქმედებს. მას შემდეგ, რაც ერაყისა თუ სირიის ტერიტორიაზე გადაიყვანენ, ეს ახალგაზრდები ჯერ მოლოდინის რეჟიმში არიან. ამ პერიოდის მანძილზე მათ ნარკოტიკების დახმარებით ფსიქო- ▶

---

მსოფლიო




## ამერიკის აჯანყებულ ქალაქში ეროვნული გვარდია შეიყვანეს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქალაქ ფერგუსონში დაწყებული მასობრივი არეულობა და ძალადობა დაგმო.** მისი თქმით, ისეთი ქმედებები, როგორიცაა შენობებისა და ავტომანქანების დაწვა, რომლის შედეგადაც ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, უნდა დაისაჯოს. „ამას გამართლება არ აქვს“, — განაცხადა პრეზიდენტმა. ძალადობა მას შემდეგ დაიწყო, რაც სასამართლომ აფროამერიკელი ახალგაზრდის მკვლელობის ბრალდებაში პოლიციელი გაამართლა. სასამართლოს ვერდიქტმა საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქციები გაიმართა ნიუ იორკში, ლოს-ანჯელესში, ჩიკაგოში, ატლანტასა და ვაშინგტონში, თუმცა ეს აქციები, ფერგუსონისგან განსხვავებით, მშვიდობიანად გაიმართა. ფერგუსონში კი ეროვნული გვარდიის დამატებითი ძალები შეიყვანეს 2200-კაციანი შემადგენლობით.



**1951 წელს ცსს-მ ჩაატარა ექსპერიმენტი სოფელ პონტ სენტ-ესპრის მოსახლეობაზე. ამ ადამიანებს ფსიქოლოგიურად ისე ამუშავებდნენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ნარკოტიკული აეროზოლების ფრქვევამ მასობრივი შეშლილობა გამოიწვია. რამდენიმე საათის განმავლობაში დარეგისტრირდა სიკვდილის 7 შემთხვევა, ასევე, განუკურნელი პათოლოგიების — 32 შემთხვევა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლოგიურად ამზადებენ, რათა მზად იყვნენ მკვლელობისთვის.

ნორმალური ადამიანების მკვლელებად ქცევის შესახებ ძირითადი კვლევები ცსს-სა და ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ ტარდებოდა კოდური სახელწოდებით Chatter (1951-1953), Bluebird (1951-1953) და MKultra (1953-1973). აშშ-ში გადასახლებული ნაცისტი მეცნიერების მიერ განხორციელებული ამ პროგრამების ფარგლებში იკვლევდნენ ჰიპნოზური ზემოქმედების, მგრძნობელობითი აღქმის მოშლის, იზოლაციის, სექსუალური გადამეტების, ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედებისა და ათასგვარი წამების შედეგებს. საჭირო იყო პასუხის გაცემა კითხვაზე: შეიძლება თუ არა ადამიანის მართვა იმ დონეზე, რომ იგი აკეთებდეს ყველაფერს, რასაც მისგან მოითხოვენ თუნდაც საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ და იმ ფუნდამენტური კანონების საწინააღმდეგოდაც, რომელიც თვითგადარჩენასაც მოიცავს?

ამ პროექტების თითქმის მთელი არქივი განადგურებულ იქნა 1973 წელს ცსს-ის დირექტორის — რიჩარ ჰელმსის ბრძანებით. მაგრამ სენატორ ფრენკ ჩიორჩეს ხელმძღვანელობით მომუშავე სენატის კომისიამ და შემდეგ ცსს-ის კიდევ ერთი დირექტორის, ადმირალ სტენსფილდ ტიორნერის ძალისხმევით დადგინდა, რომ ამ კვლევებში მონაწილეობდა 30-ზე მეტი უნივერსიტეტი და ჩატარდა 150-ზე მეტი ექსპერიმენტული სამუშაო. ცდის ობიექტები იყვნენ როგორც აშშ-ის, ასევე ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მოქალაქენი, თუმცა მათ ამის თაობაზე არაფერი იცოდნენ.

მაგალითად, რამდენიმე ხნის წინათ გამომზეურებული არქივის თანახმად, **1951 წელს ცსს-მ ჩაატარა ექსპერიმენტი სოფელ პონტ სენტ-ესპრის მოსახლეობაზე. ამ ადამიანებს ფსიქოლოგიურად ისე ამუშავებდნენ, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ნარკოტიკული აეროზოლების ფრქვევამ მასობრივი შეშლილობა გამოიწვია. რამდენიმე საათის განმავლობაში დარეგისტრირდა სიკვდილის 7 შემთხვევა, ასევე, განუკურნელი პათოლოგიების — 32 შემთხვევა.**

1973 წელს აშშ-მა შეწყვიტა ეს კვლევები, უფრო სწორად კი, ისრაელს გადააბარა, მაგრამ 2001 წელს მან კვლავ განაახლა აღნიშნული მიმართულებით მუშაობა და ამ მიზნით შეიქმნა გუანტანამოში ბანაკი X-Ray პროფესორ მარტინგ სელიგმენის ხელმძღვანელობით. საუბარია წამების მეთოდების გამოყენებაზე, ოღონდ არა იმისათვის, რომ წამების ობიექტებმა რაიმე აღიარონ, არამედ იმისათვის, რომ დაარწმუნონ, მათ დანაშაული ჩაიდინეს და ამ დანაშაულზე სიამაყით უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. ამ დანაშაულთა გამოძიებასთან დაკავშირებით კონგრესის ანგარიშის გამოქვეყნება ამ დრომდეც ვერ მოხერხდა.

ეს ფართოდ ცნობილი ფაქტებია. ისინი უკვე მასობრივი კულტურის ნაწილად იქცნენ და მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-შიც დოკუმენტურ და მხატრულ ფილმებს დაედო საფუძვლად.

საეჭვოა, რომ ამ ექსპერიმენტებს რაიმე შედეგი არ მოჰყოლოდა, შესაბამისად, აშშ-სა და ისრაელში ახლა არსებობს საშუალებები, ისე დაამუშაონ ნორმალური ადამიანები, რომ აიძულონ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჩაიდინონ მკვლელობები. ეს სრულად ადასტურებს „ალ ქაიდას“, როგორც კამიკაძეების საშუალებით ტერაქტების მომწყობი ორგანიზაციის, შესახებ არსებულ შეხედულებას.

აქამდე ნაცისტი მედიკოსების გამოცდილებაზე დაყრდნობით მომზადებული ევროპელი ჯიჰადისტების მონაწილეობით განხორციელებული ყველა ტერაქტი ვაჰაბისტური იდეოლოგიით აიხსნებოდა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ „ისლამის სახელით“ ჩადენილი ყველა დანაშაულის მიზეზი მხოლოდ ფანატიზმია.

სინამდვილეში უამრავ ჯიჰადისტს არანაირი წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ რა არის ვაჰაბიზმი, მით უფრო, არ ჰქონიათ წარმოდგენა ამაზე მანამ, ვიდრე „ალ ქაიდასა“ და ელისს გადაეყრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1979 წლიდან ვაჰაბიზმი საუდის არაბეთმა და ყატარმა ევროპასა და ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში ისე ჩანერგეს, როგორც ისლამის შემადგენელი ნაწილი, ეს მიმდინარეობა საკუთარ თავს განსაზღვრავს, როგორც ერთადერთ სწორ ისლამს და სხვა ყველა თეოლოგიურ სკოლას — შიიზმი იქნება ეს თუ ოთხი ტრადიციული სუნიტური სკოლა, ერეტიკულად მიიჩნევს. ვინც ვაჰაბიზმის ფუძემდებლის — მუჰამედ ბენ-აბდელვაჰაბის ნაშრომებს პირველად გადახედავს, აღმოაჩენს, რომ სუნიტები საერთოდაც არ არიან მუსლიმანები.

ახლახან ჟან მიშელ ვერნოშემ აჩვენა, თუ როგორ ცდილობდნენ ინგლისელები ერთდროულად არაბულ მითსა და ვაჰაბისტურ სექტაზე დაყრდნობით თურქული ხალიფატის გახლეჩას და ოსმალეთის იმპერიის დამხობას. იმავე ლოგიკით აღადგენს ხალიფატს ელისი, მაგრამ არა როგორც მის მიერ ერეტიკოსებად მიჩნეული ფატიმიდების, აბისიდებისა და ომეიადების შთამომავლების, არამედ, უბრალოდ, მათ საცხოვრებელ ტერიტორიებზე.

posthunt.net

# ევროპელი ახალგაზრდობა და ჯიჰადი: აღფრთოვანების საფასური



**ცივილიზებული და პაციფისტური ევროპა მოულოდნელად გაუგებრობაში აღმოჩნდა და არ იცის, რა მოუხერხოს თავის დეზორიენტირებულ და კეთილდღეობის მაღალი დონით განებივრებულ ახალგაზრდობას, რომელიც „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან განხორციელებული ძალდობებით საეჭვოდაა დატყვევებულ-აღფრთოვანებული. დაჯგუფება „ისალმური სახელმწიფო“ თავისი ხალიფატიანად უკანასკნელ პერიოდში ტვინების გამორეცხვის უმსხვილეს სისტემად იქცა.**

ისლამისტები პირობას დებენ, რომ შექმნიან ისლამურ იმპერიას ევფრატსა და ტიგროსზე, იქ, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია ჩაისახა. ეს დაპირება მიმართულია მსოფლიოს ყველა იმედგაცრუებული და ორიენტაციადაკარგული მუსლიმანისადმი. ყველა იმ დამცირების შემდეგ, რომელიც კი მათ გადაიტანეს ცივილიზებული სამყაროს მხრიდან, ბოლოს და ბოლოს აქვთ გრანდიუზოლი პროექტი, რომელიც ახლა მსოფლიოში დაძაბულობის საბაბია.

**ამიტომაც არაფერია საკვირველი იმაში, რომ გლობალური ტერორიზმის ეპოქაში ჯიჰადის მებრძოლთა რეკრუტირება მსოფლიოში მიმდინარეობს.** წარმოიდგინეთ, რა სასწაულებრივი მეტამორფოზები შეიძლება მოხდეს „წმიდა ომის“ წყალობით: ევროპაში თუნდაც მატერიალურად უზრუნველყოფილი, მაგრამ ძველი სამყაროსთვის კულტურულ ჭრილში უცხო „მეორეხარისხოვანი მოქალაქიდან“ შეიძლება გადაიქცე ახლო აღმოსავლეთში წამებულ გმირად. უფრო დიდი სოციალური ზრდა წარმოუდგენელია. ეს რაღაცით ჰგავს ერთგვარ რადიკალურ-ისლამისტურ სამოთხეს დედამიწაზე: სოცდახმარების მიმღებიდან ომის გმირობამდე, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო პირობით ტელეშოუში „ევროპა ეძებს სუპერტერორისტს“.

„ისლამური სახელმწიფოს“ ვიდეორგოლები სავსებით შეესაბამება ევროპული რეკლამისა და მარკეტინგის ტრადიციებს. მათი მესიჯი გასაგებია — ომი სიამოვნების მომნიჭებელია, მით უფრო, თუ გამარჯვებულის მხარეს ომობ! ცივილიზებული და პაციფისტური ევროპისთვის ეს ნამდვილი კოშმარია.

**ევროპაში ბევრი სალაფიტი ცხოვრობს — მუსლიმანები, რომლებიც არა მხოლოდ მისდევენ ისლამის ყველაზე მკაცრ განშტოებას, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი ჯიჰადის მეომრების გადაბირებაში.** საოცარია, რომ ეს ოდნავაც არ ადარდებთ ევროპელ პოლიტიკოსებსა და მედიას. მათ საკუთარი საქმეც საკმარისად აქვთ: ევროპული კრიზისი, ევროზონის კრიზისი, უკრაინის კრიზისი... ამ ყველაფრის ფონზე ახლო აღმოსავლეთის ჯიჰადი რაღაც ძალიან შორეულად და ნაკლებსახიფათოდ ეჩვენებათ.

**თუ გერმანიაში შექმნილ ვითარებას გავაანალიზებთ, ერთადერთი რეაქცია იქნება გაოცება, რეალური სამყაროსგან მისი მოწყვეტილობისა და მისი სრულიად უსარგებლო საშუალებების გამო.** მაგალითად, ერთმა პოლიტიკოსმა ქალბატონმა „მწვანეთა“ პარტიიდან, რომელსაც აქამდე საგარეო-პოლიტიკურ სფეროში თავი არაფრით გამოუჩენია, განაცხადა, რომ ვერ იტანს ძალადობას, რადგან ევანგელისტი მღვდლის ოჯახში დაიბადა. ამის გამო მან მხარი დაუჭირა გაეროს მისიას სირიასა და ერაყში, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს იქაურ მასობრივ მკვლელობებს. შესაძლოა, ამ ქალბატონს ჰგონია, რომ ერაყისა და სირიის სიტუაციაში ბუნდესვერის ჯარისკაცების ჩარევა ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც იყო ავღანეთში, სადაც ისინი დაკავებულნი იყვნენ ქალთა სკოლების აღდგენითა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ჭების გათხრით, თუნდაც წარმოუდგენელი რაოდენობის ფულისა და ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე.

მაშ, რა გამოდის: ეს „ახალი ავღანეთი“ იქნება? ამის გამო ამჯობინეს მისმა პოლიტიკოსმა კოლეგებმა ამ თამამი განცხადების იგნორირება. კონტრდაზვერვის სამსახურის მეთაურმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიაში დიდი სისწრაფით იზრდება სალაფიტების რაოდენობა და რომ ძალადობისთვის მზადმყოფი აქტივისტების რაოდენობამ წლის ბოლოსთვის, შესაძლოა, შვიდ ათასს მიაღწიოს. ამის გამო მან ახალი პრევენციული ზომების საჭიროების შესახებ განაცხადა. ეს ზომები ზედმეტი ნამდვილად არ იქნება, თუმცა შესატყვისი წინადადება ძალიან დაგვიანებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისლამური სახელმწიფოს რიგებში უკვე იბრძვის ევროპიდან წასული შვიდი ათასამდე ბოევიკი.

**ევროპაში ადამიანები, როგორც ჩანს, აქტიურ მოქმედებაზე მხოლოდ მას შემდეგ გადავლენ, როდესაც ეს ყბადაღებული და ავბედითი «ყველაზე უარესი შემთხვევა» დადგება, როდესაც ვილაცას პირდაპირ ქუჩაში მოკვეთენ თავს და ამას ვიდეოზე გადაიღებენ, მაშინ ყველა მიხვდება, რომ ეს უშუალოდ მას ეხება...**

ცხადია, სოციალური სამსახურების მუშაკებთან ან ექიმთერაპევტებთან გულითადი საუბრები ვერ აიძულებს ძალადობისთვის უკვე მზად მყოფ მებრძოლს, ჩანაფიქრზე ხელი აიღოს. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება, რომელიც სახელმწიფოს საკმაოდ ძვირი დაუჯდება, მაგრამ რომელიც პირველივე დღიდან შეაგნებინებდა მუსლიმანთა შვილებს, რომ ისინი იმ საზოგადოების წევრები არიან, რომელშიც იზრდებიან. ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა საზოგადოების ცალკე აღებული წევრების იზოლაციის საწინააღმდეგოდ და პარალელური საზოგადოებების ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდაც.

ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობენ ხულიგნები, რომელთაც აღარ სურთ ერთმანეთთან ბრძოლა, გამოვიდნენ დემონსტრაციაზე და განაცხადეს, რომ საკუთარ ძალებს სალაფიტების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმართავენ. ეს, რა თქმა უნდა, საეჭვო იდეაა, რადგან ამ შემთხვევაში წარმოიშობოდა სიტუაცია „ძალადობა ძალადობის წინააღმდეგ“ და ეს ბოლოს მოუღებდა იმას, რითაც ასე ამაყობს ევროპა — ძალადობის აღმოფხვრა საზოგადოების შიგნით — იმას, რასაც ჩვენ ცივილიზაციას ვუწოდებთ. ამიტომ ანალოგიურ კონფრონტაციას ევროპამ ნებისმიერ პირობებში და ნებისმიერ ფასად უნდა აარიდოს თავი.

მათ, ვისაც სურს, მკაფიო და გარკვეული პოზიცია ჰქონდეს ისლამის საწინააღმდეგოდ, არ ასვენებს აზრი, რომ ისლამოფობებად მიიჩნევენ. **ევროპაში ადამიანები, როგორც ჩანს, აქტიურ მოქმედებაზე მხოლოდ მას შემდეგ გადავლენ, როდესაც ეს ყბადაღებული და ავბედითი „ყველაზე უარესი შემთხვევა“ დადგება, როდესაც ვილაცას პირდაპირ ქუჩაში მოკვეთენ თავს და ამას ვიდეოზე გადაიღებენ, მაშინ ყველა მიხვდება, რომ ეს უშუალოდ მას ეხება...**

NeueZuercherZeitung

მსოფლიო



## ნორვეგიაში პოლიციელები შეიარაღდნენ

**ნორვეგიაში, ტერორიზმის გაზრდილი საფრთხის გამო, პოლიციელებმა იარაღის ტარება დაიწყეს.** ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, როგორც წესი, ნორვეგიელი პოლიციელები უიარაღოდ პატრულირებენ, თუმცა შობის წინ, ტერორიზმის მომატებული საფრთხის გამო, პოლიცია შეიარაღებული იქნება მომავალი ოთხი კვირის განმავლობაში. ნორვეგიის ხელისუფლების განცხადებით, ბოლო პერიოდში ქვეყნიდან 60-მდე ადამიანი შეუერთდა სირიაში მოქმედ „ისლამურ სახელმწიფოს“. ისლანდიასთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად ნორვეგია იმ სამ ევროპულ ქვეყანას შორისაა, რომლებშიც სამართალდამცავები მხოლოდ რეზინის ხელჯოხებით არიან შეიარაღებულნი.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმ შემთხვევაში, თუ ბახმაროს სააგარაკე სახლების 2500 მესაკუთრე-მაძიებელი საკუთრების უფლების აღსადგენად მიმართავს სასამართლოს, მათ უნდა გადაიხადონ ორ-ნახევარი მილიონი (2500 X 1000-ზე) ლარი. ამასთანავე, კანონიერი მესაკუთრეებისადმი შეთავაზებულ „შეღავათიან“ პირობებთან ერთად, იუსტიციის სამინისტრომ იმაზეც ხომ უნდა იფიქროს, რომ ოზურგეთის ადმინისტრაციულ სასამართლოში (რადგან ბახმარო ამ მუნიციპალიტეტის სასამართლოს ქვემდებარეა) შესაძლებელია თუ არა 2500 სასამართლო პროცესის ჩატარება?**

# რა დააშავა კურორტ ბახმაროს სააგარაკე სახლების 2500-ზე მეტმა კანონიერმა მესაკუთრემ, რატომ აკისრებენ მათ 1000-1000 ლარის გადახდას?

**უკვე 10 წელზე მეტია, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უარს ეუბნება ქონების რეგისტრაციაზე 80-90 წლის წინათ კურორტ ბახმაროში კოოპერატიულ საწყისებზე აშენებული, საზიარო-ამხანაგური სახლების დაახლოებით 2500-მდე თანამესაკუთრეს. ამ ადამიანებს არ აძლევენ ქონების უფლებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ ცნობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ, ფაქტობრივად, წართმეული აქვთ ქონების განკარგვის (გაყიდვისა და გაჩუქების) უფლება.**



## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი სარეგისტრაციო სამსახურები მესაკუთრეებს ურჩევენ, საკუთრების უფლების აღსადგენად მიმართონ ადმინისტრაციულ სასამართლოებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ სასამართლოს გზით საკუთრების უფლების მოპოვება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, რომელიც ერთ მესაკუთრეზე გადანაწილებით დაახლოებით 1000 ლარს მაინც შეადგენს

აღნიშნულის მიზეზად საჯარო რეესტრის სააგენტო ასახელებს უწყებაში განხორციელებულ რესტრუქტურიზაციას, კურორტ ბახმაროს არქივის გადატან-გადმოტანას ჩოხატაურიდან ოზურგეთში, ოზურგეთიდან — ფოთში, ფოთიდან — თბილისში. მათი განცხადებით, არქივის დოკუმენტაცია ამ პერიოდში დაიკარგა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. ამ საკითხზე ბევრს სრულიად განსხვავებული აზრი აქვს, ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი განზრახ იყო მოწყობილი, რადგან „ნაცები“ კურორტ ბახმაროს უცხოელებისთვის მისაყიდად ამზადებდნენ.

კურორტ ბახმაროს სააგარაკე სახლების მესაკუთრეებს ამჟამად ხელთ აქვთ საზიარო-ამხანაგური სახლების საკუთრების დამადასტურებელი მთელი რიგი საბუთებისა (საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცემული):

**1. შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტი (ქსეროასლი);**

**2. მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახატი (ასლი);**

**3. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურში დაცული კურორტ ბახმაროს საგადასახადო სიების მონაცემები, რომლებშიც თანამოზიარეები აღრიცხული არიან საგარაკე ბინების თანამესაკუთრეებად.**

კურორტ ბახმაროს სახლების თანამესაკუთრეები, უკვე 10 წელზე მეტია, ქონების დასარეგისტრირებლად რეგულარულად მიმართავენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, მათ სარეგისტრაციო სამსახურებს ჩოხატაურსა და ოზურგეთში, მაგრამ ისინი თავიდან იცილებენ ყოველგვარ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას; იძლევიან არალოგიკურ, არაპროფესიონალურ და ბიუროკრატიულ პასუხებს.

საჯარო რეესტრის სამსახურის ერთადერთი უცვლელი (შაბლონური) პასუხი ასეთია: „თქვენ მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტის ასლი და მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზი, ასევე, სარეგისტრაციო სამსახურის არქივში დაცული საგადასახადო სიების მონაცემები უფლებას არ იძლევა, გავცეთ საკუთრების დამადასტურებელი ცნობები“.

იქვე განმარტავენ, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ კანონის თანახმად, მათ არ აქვთ უფლება, ტექნიკური ინვენტარიზაციის მონაცემებში შეიტანონ რაიმე ცვლილებები, კერძოდ, გაასწორონ ხარვეზი, გააუქმონ, აღადგინონ ან სრულყონ საარქივო ინფორმაცია და ა. შ.“.

**საჯარო რეესტრის სამსახურის წარმომადგენლები მესაკუთრეებისგან ჯიუტად მოითხოვენ დოკუმენტების მხოლოდ დედნებს, რომლებიც მათ თვითონ დაკარგეს ან დამალეს.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი სარეგისტრაციო სამსახურები მესაკუთრეებს ურჩევენ, საკუთრების უფლების აღსადგენად მიმართონ ადმინისტრაციულ სასამართლოებს და არ ითვალისწინებს იმას, რომ სასამართლოს გზით საკუთრების უფლების მოპოვება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, რომელიც ერთ მესაკუთრეზე განაწილებით დაახლოებით 1000 ლარს მაინც შეადგენს.

იმ შემთხვევაში, თუ ბახმაროს საგარაკე სახლების 2500 მესაკუთრე-მაძიებელი საკუთრების უფლების აღსადგენად მიმართავს სასამართლოს, მათ უნდა გადაიხადონ ორ-ნახევარი მილიონი (2500 X 1000-ზე) ლარი. ამასთანავე, კანონიერი მესაკუთრეებისადმი შეთავაზებულ „შეღავათიან“ პირობებთან ერთად, იუსტიციის სამინისტრომ იმაზეც ხომ უნდა იფიქროს, რომ ოზურგეთის ადმინისტრაციულ სასამართლოში (რადგან ბახმარო ამ მუნიციპალიტეტის სასამართლოს ქვემდებარეა) შესაძლებელია თუ არა 2500 სასამართლო პროცესის ჩატარება?

**ჩნდება კითხვა — რა დააშავა კურორტ ბახმაროს სააგარაკე სახლების 2500-ზე მეტმა კანონიერმა მესაკუთრემ? რატომ გზავნიან მათ სასამართლოში და სრულიად არაკანონიერად აკისრებენ 1000-1000 ლარის გადახდას?** თუ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ტექნიკური ინვენტარიზაციის მონაცემები უყურადღებობით ან ბოროტი განზრახვით დაიკარგა, ეს ხომ მესაკუთრეების ბრალი არ არის, მოძებნონ დამნაშავეები და ისინი გაუშვან სასამართლოში?!

**და, რადგან საჯარო რეესტრის სააგენტო ყოველივე ზემოთქმულს ვერ ათვითცნობიერებს, იგი ეროვნული კი არა, ანტიეროვნული სააგენტოა.**

ბუნებრივად ჩნდება კითხვა — ამ ხელოვნურად წარმოქმნილი სიძნელეებისა და უხერხულობების დასაძლევად ხომ არ აჯობებს, გავაუქმოთ იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ ის მუხლები, რომლებიც მიმართულია საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ?

ფაქტია, რომ ამჟამად არ არსებობს ბახმაროს საარქივო მონაცემები (დავუშვათ, დაიკარგა, რაც ძნელი დასაჯერებელია), **მაგრამ ხომ უნდა მოხდეს მათი აღდგენა და მონაცემთა ბაზაში ხარვეზების აღმოფხვრა? გასაკვირი არის ის, რომ ახლა მაინც, დამნაშავე ხელისუფლების განდევნის შემდეგ, დროულად რატომ არ ხდება შეცდომების გამოსწორება?**

კურორტ ბახმაროს (და არამხოლოდ ბახმაროს) სააგარაკე სახლების მესაკუთრეთა უფლებების სასამართლოს მეშვეობით დადგენის გადაწყვეტილება აშკარა შეცდომაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევა აუცილებელია. ბევრი მესაკუთრე გაჭირვებაში ცხოვრობს, შიმშილობს და აუცილებელ ყოფით პრობლემებს ვერ აგვარებს, ვერ ყიდის საკუთარ ქონებას და სასოწარკვეთილია. ასეთ შემთხვევაში სამართლიანობას ანგარიში უნდა გაეწიოს და საკუთრების რეგისტრაციის პირობები უნდა გამარტივდეს.

**მივმართავთ იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს.**

**ქალბატონო თეა!**

მოგეხსენებათ, მსოფლიოში არსებობს საკუთრების უფლების დადგენის დაახლოებით ათამდე სამართლებრივი ტრადიცია: რომანულ-გერმანული; ანგლო-საქსური (ზოგადი); მუსლიმანური; ჩინური; აფრიკული; სოციალისტური და ა. შ. ეს ტრადიციები განსხვავებულია, მაგრამ ყოველი მათგანი ხასიათდება საკუთრების უფლებისა და მისი ნორმების დადგენის პროცედურებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით.

ამ მხრივ გამორჩეულად საინტერესოა ორი სამართლებრივი ტრადიცია — რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსური. სწორედ ეს სამართლებრივი ტრადიციები დაედო საფუძვლად საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფორმირებას: რომანულ-გერმანულისა — ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, ხოლო ანგლო-საქსურისა — დიდ ბრიტანეთსა და მის კოლონიებში.

საერთოდ კი, ბუნებასა და საზოგადოებაში საკუთრების ფორმისა და მესაკუთრის გარეშე არ არსებობს ობიექტები (ნივთები). და თუ ეს ასეა, მაშინ მიპასუხეთ — **ამჟამად ვის ეკუთვნის ჩვენი მშობლების მიერ 90 წლის წინათ ბახმაროში აშენებული სახლი?**

## საჯარო რეესტრის სამსახურის წარმომადგენლები მესაკუთრეებისგან ჯიუტად მოითხოვენ დოკუმენტების მხოლოდ დედნებს, რომლებიც მათ თვითონ დაკარგეს ან დამალეს

**ამირან ჩიჩუა,**
**გელა ლომჯარია,**
**ვახტანგ კობიძე**

მსოფლიო



## საფრანგეთს რუსეთისთვის 3 მილიარდი ევროს გადახდა მოუწევს

**საფრანგეთს 3 მილიარდი ევროს გადახდა მოუწევს რუსეთისთვის, თუ „მისტრალის“ გადაცემაზე საბოლოოდ უარს იტყვის.** ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. რუსულ მხარეს, ასევე, აქვს უფლება, მოითხოვს კომპენსაცია — 800 მილიონი ევრო თითოეული ხომალდის სანაცვლოდ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა განაცხადა, რომ უწინდებურად ვერ ხედავს რუსეთისთვის „მისტრალის“ გადაცემის პირობებს. რუსეთისთვის „მისტრალის“ ტიპის ხომალდი „ვლადივოსტოკი“ ფრანგულ მხარეს 14 ნოემბერს უნდა გადაეცა, მაგრამ გადაცემის ცერემონია ჩაიშალა.



**ისე მოვექცევით, როგორც ჩვენ გვეკადრებაო! ჩვენ რა, ის გვეკადრება, ხაზინის ქურდები და ხალხის მწამებლები, მამულის გამყიდველები და წინაპართა ხსოვნის წამბილწველები მორჭმით დავსვათ ხალხის რჩეულთა სკამებზე და მათი ბრიყვული სიბრძნე ვისმინოთ ტელეეკრანებიდან?**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილის სინდრომი

**ხალხს ე. წ. პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ ჭირის დღესავით სძულდა და სძულს. ამ სიძულვილმა გააერთიანა ადამიანები 2012-ში და, ბიძინა ივანიშვილის მოწოდებით, რომლებმაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს საძულველ მმართველ ბანდას, ანუ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 1 ოქტომბრის არჩევნებში. უცხოელი პატრონების თავგამოდება რომ არა, საქართველოს პარლამენტში ერთ საცოდავ ფრაქციასაც ვერ შექმნიდნენ „ნაცები“, მაგრამ...**

ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებში გამარჯვებისთანავე ისეთი რამ განაცხადა, წესით და რიგით, ძალიან უნდა გავჯავრებულიყავით. რა თქვა ასეთი? რა და — „ნაცებს“ ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, ჩვენ რომ გვეკადრებაო. არ გავჯავრდით იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, გამარჯვების ეიფორიაში ვიყავით და მერე ისიც გაგვახსენდა, რომ „გმირთა წესია ლმობიერება, წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა“. აი, ეიფორიამ რომ გაიარა, მერე გავაცნობიერეთ იმჟამინდელი პრემიერმინისტრის ნათქვამის შინაარსი და მივხვდით, რომ, თუ ყველას ისე არ მოექეცი, როგორც იმსახურებს, ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრებაზე ლაპარაკი ფუჭი ლაყბობაა მხოლოდ.

ისე მოვექცევით, როგორც ჩვენ გვეკადრებაო! ჩვენ რა, ის **გვეკადრება, ხაზინის ქურდები და ხალხის მწამებლები, მამულის გამყიდველები და წინაპართა ხსოვნის წამბილწველები მორჭმით დავსვათ ხალხის რჩეულთა სკამებზე და მათი ბრიყვული სიბრძნე ვისმინოთ ტელეეკრანებიდან?**

სწორედ ამაზეა ნათქვამი, ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ტენიდნენო!

მერე და მერე უარესებიც მოვისმინეთ მათგან, ვინც ჩვენივე ძალისხმევით დავისვით წინამძღოლებად. ჩვენი ამოცანა „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენააო, — მოგვახალა ჩვენ მიერ გადიდკაცებულმა ერთმა პატარა კაცმა. **ეგ ჩვენი ამოცანა არ ყოფილა და, თუ თქვენი ამოცანა იყო, რატომ ადრე არ გვითხარი, შე ერთპროცენტიანი რეიტინგის მქონე პარტიის წარმომადგენელო, — ვიყვირეთ ჩვენ, მაგრამ რაღა დროს?! ამ გაანაურებულ მდაბიოს, ახლა კუდი ყავარზე კი არა, ოკეანის გაღმა რომ აქვს გადებული, რას უზამ?** ხახვი ბევრიც რომ გქონდეს და ალესილი დანაც გედოს ჯიბეში, მის ყურებამდე არავინ მიგიშვებს.

მერე ჩვენში ისეთი და იმდენი სამწუხარო რამ მოხდა და კიდევ უფრო ბევრი, სამწუხაროდ, არ მოხდა, რომ ეჭვი შეგვეპარა, — არჩევნებში „ნაცებმა“ ხომ არ გაიმარჯვეს და ჩვენ კი ჩვენი თავი გვგონია გამარჯვებულიო. „ნაცებს“ ხომ კარგად ეხერხებათ დამარცხების გამარჯვებად წარმოჩენა?! თუ ქართულ ტელევიზიებს უყურებთ, ადვილად დარწმუნდებით ამაში: იგივე რიტორიკა, იგივე გეზი, იგივე ნაცარი, რომელიც თავზე აქვს წაყრილი ჩვენს ხელისუფლებას და არც ჩვენი თვალებისთვის იშურებს.

ერთხელ ყოფილმა ე. წ. პრეზიდენტმა ნიშნისმოგებით განაცხადა: მე ქართულ პრესას არ ვკითხულობო. ეს რომ ნორმალური ქვეყნის პრეზიდენტს ეთქვა, მას მაშინვე არანორმალურად გამოაცხადებდნენ და იქით გაისტუმრებდნენ, საითაც არანორმალურებს უშვებენ ხოლმე. ჩვენსას კი შერჩა. შერჩა კი არა, მგონი, სააკაშვილის სინდრომის სახით დამკვიდრდა ჩვენს პოლიტიკაში. აი, სწორედ ახლა ასრულდა ერთი ძველი, ნიშნისმოგებით ნათქვამი: „წერე და იკითხე!“ აბა, მაშინ, როცა ეს ითქვა, სრულიად საპირისპირო მდგომარეობა იყო. გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებს გულდასმით კითხულობდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და რეაგირების გარეშე არაფერს ტოვებდნენ. სწორედ მაშინ იყო პრესა მეოთხე ხელისუფლება. ახლა კი აღარც მეოთხეა და აღარც — ოცდამეოთხე. რაც გინდა, წერე, ვის გასაგონადაც წერ, ის, მგონი, სააკაშვილის ანდერძის ერთგულია — პრესას არ კითხულობს! შენ კი იფხანე გული და იყავი!

**თუ ასე არ არის, რომ დაუჩემებია ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ევროატლანტიკური არჩევანი ჩვენი ხალხის არჩევანიაო, გაზეთებს არ კითხულობენ? ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი ლაქია გრანტიჭამია „პოლიტოლოგების“ გარდა, ვინ უჭერს მხარს ამ ყბადაღებულ ევროატლანტიკურ ორიენტაციას?**



**ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათი ლაქია გრანტიჭამია «პოლიტოლოგების» გარდა, ვინ უჭერს მხარს ამ ყბადაღებულ ევროატლანტიკურ ორიენტაციას? საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ყველა გონიერი, მცოდნე და პატიოსანი ქართველი ნატოს სამხედრო ბლოკში გაერთიანების სურვილს ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნევს და ისეთი არგუმენტები აქვს, მართლა მტერი ან ჭკუიდან გადამცდარი თუ არ ხარ, დაუჯერო უნდა**

**საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ყველა გონიერი, მცოდნე და პატიოსანი ქართველი ნატოს სამხედრო ბლოკში გაერთიანების სურვილს ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველად მიიჩნევს და ისეთი არგუმენტები აქვს, მართლა მტერი ან ჭკუიდან გადამცდარი თუ არ ხარ, დაუჯერო უნდა**. ესენი კი მაინც „ნატონატოო“ გაიძახიან და გინდა თუ არა, ევროპაა ჩვენი სახლიო. ჯერ ერთი, იმ სახლში, ევროკავშირი რომ ჰქვია, ვინ გიშვებს?! და თუ შეგიშვეს, რაც კი რამ ზნეობრივი გვაქვს, გარეთ უნდა დავტოვოთ. **ვის უნდა იმ „სახლში“ შესვლა, სადაც ზარ-ზეიმით ხვდებიან კაცზე კაცის დაქორწინებას, სადაც და-ძმასა და დედაშვილს შორის სქესობრივი კავშირი (ღმერთო დაგვიფარე!) ნორმალურად ითვლება?!**

**— ვის და გონებრივად, ფიზიკურად და სულიერად ცვედანს!** რა უფლება აქვთ ამ ცვედნებს ხალხის სახელით ელაპარაკონ კაცობრიობას?! პიროვნების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, უფლება უნდა მივცეთ მათ, დაირაზმონ, თანაც ოცლარიან ჰონორარს დახარბებულებიც გაიყოლონ, ტაშის დამკვრელებად რომ მივიდნენ 15 ნოემბრის მიტინგზე; წავიდნენ იმ ევროპაში, რომლის მზის ჩასვენება ასი წლის წინათ იწინასწარმეტყველა დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ ოსვალდ შპერგლერმა. ახლა იქ კუნაპეტი ზნეობრივი ღამეა უკვე!

**ევროპელ პოლიტიკოსებს რომ ვუსმენ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ევროპა, უბრალოდ, ბებერი კი არ არის, როგორც მას თვითონ ე.წ. დასავლელები უწოდებენ, არამედ სკლეროზიანი ბებერია, რომელიც უკვე თავის შვილებსა და შვილიშვილებსაც ველარ ცნობს**. აბა, რა იყო, ბალტიისპირეთის ერთ-ერთი სახელმწიფოს მეთაური ქალის ამასწინანდელი ისტერიკული შეკივლება, რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოაო?! ჯერ ერთი, რაც იმ ქალის სახელმწიფოა, რუსეთს იმაზე დიდი რამდენიმე პროვინციული ქალაქი აქვს და, მეორე: იმ ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად რუსეთზეა ჩამოკიდებული. იმ ქალს, დავიჯერო, საერთოდ, ახსოვს კი თავისი ხალხი? მას თავში ერთადერთი აზრი აქვს ლურსმანივით ჩაჭედილი: თავი მოაწონოს დასავლეთის იმ ლიდერებს, ანტირუსული განწყობებით რომ გამოირჩევიან. ამ „ტერორისტ“ ქვეყანას მოთმინებამ რომ უმტყუნოს და გაჯავრებულმა ერთი ჩაახველოს, ფეხზე დგომას თუ შეძლებს ის ქალი თავისი ქვეყნიანად?

ჩანს, სააკაშვილის სინდრომი მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის. იქნებ ევროპას ჩვენგან გადაედო ეს მებრძოლი უვიცობა?!

**„ნაცების“ ხელისუფლება ქვეყნის პატრიოტებსა და უშიშარ მებრძოლებს რომ ვერ იტანდა, ვიცით ყველამ, მაგრამ ახალი ხელისუფლების უპრინციპობის გამო, კოაბიტაციას თავშეფარებული „ნაცები“ ისევ ძველებურად რომ ჭრიან და კერავენ, როგორ შევეგუოთ ამას? იკოაბიტაციეთ მიშისტებთან, ჩაეხუტეთ და ლოგინშიც ჩაიწვინეთ, თუ გინდათ, მაგრამ კანონსა და სამართალს ისევ მათ ხელში ტოვებთ?**

ახლახან ზუგდიდის სასამართლომ თორმეტი წელი მიუსაჯა კაცს, რომელიც კოდორის ხეობას იცავდა ვაჟკაცურად — ემზარ კვიციანს! მერედა, არ იკითხავთ, რა ბრალი წაუყენეს? სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდაო! საქართველოს მტრების, უცხოტომელთა ყურმოჭრილი მონების ხელისუფლების დამხობა სდომია კაცს და, ეს რომ ხალხის ხელისუფლება იყოს, გული იმაზე უნდა წყდებოდეს, ჩანაფიქრი რომ ვერ განახორციელა. **კარგი, დავუშვათ, ზუგდიდელი მოსამართლე პირწავარდნილი „ნაცია“, მაგრამ საქართველოში ისევ მიშა ხომ არ არის გამგებელი?! ვიღაც ზუგდიდელ მოსამართლეს როგორ ჩაუგდეს ხელში ეროვნული გმირი?**

არა! ამ ოხერი სააკაშვილის აჩრდილი ისევ დაძრწის საქართველოში და თავის ბნელ საქმეებს განაგრძობს.

რაც შეეხება ემზარ კვიციანს, **კაცი მის მიერვე შექმნილი სახალხო ლაშქრით საქართველოს ერთ-ერთ სასაზღვრო ბურჯს რომ დაიცავს თავისი მოსახლეობიანად და ცხვირს არ შემოაყოფინებს იმ მტერს, რომელმაც დანარჩენ საქართველოს კუდით ქვა ასროლინა, ეროვნული გმირია, აბა, რა არის?**

მაგრამ მიშას სინდრომით დაავადებულ ადამიანებს ამას როგორ შეასმენ. ისინი ხომ მათი შეგირდები არიან, ვისთვისაც სამშობლო საარქივო ექსპონატია, პატრიოტიზმი კი — ატავიზმი.

ერთმა გადიდკაცებულმა მდაბიომ ხომ თქვა ამას წინათ, მე ჩემს შვილს იმას კი არ ვასწავლი, სამშობლოს შესწიროს თავი, არამედ თავისუფალ პიროვნებად ვზრდი და, თუ სურს, ვისაც უნდა იმას შესწიროს თავიო. ეს რომ მოვისმინე (თუ წავიკითხე), გავიფიქრე, ერთი ჩათლახი ყველგან გამოერევა-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი — თურმე საკმაოდ ყოფილან ამ გადიდკაცებული მდაბიოს მსგავსნი. ამას წინათ „ნაცების“ ერთ-ერთ ტელევიზიაში ამ ხელისუფლების მიერ ერთ-ერთი „დაჩაგრული“ ჩიოდა: მთავრობა არ მეხმარება, უყურადღებოდ მიმატოვეს; არადა, ჩემი შვილი და რძალი გმირულად იბრძოდნენ 2008 წლის ომში რუსეთის წინააღმდეგო. ახლა სად არიანო? — ჰკითხა წამყვანმა. ახლა საფრანგეთის ლეგიონში მსახურობენო. საფრანგეთის ლეგიონი კი არის სამხედრო შენაერთი, რომელშიც უცხოელი დაქირავებულები მსახურობენ, რომელთათვისაც სულერთია, ვის წინააღმდეგ იომებენ — ალჟირელებისა თუ ვიეტნამელების, ესპანელებისა თუ ფინელების. ა, ბატონო, ამ კაცს იმ მაღალჩინოსანზე ადრე გაუზრდია თავისი შვილი (და რძალი!) მიშა კოსმოპოლიტის ჭკუაზე.

საკითხავი ის არის, — ჩვენ რა გვეშველება, როცა ქვეყნისთვის თავდადებულ კაცს, უშიშარ მებრძოლს პატიმრობას უსჯიან; ის კი, ვინც კაბინეტში მოყუჩებული ტელეეკრანიდან „ვაჟკაცურად“ გვემუქრებოდა და გვაგინებდა, საკანონმდებლო ორგანოში ზის და მოურიდებლად დაგვცინის ქართველ ხალხს.

დავფიქრდეთ, მართლა ამ მახინჯების დასაცინი ვართ თუ არა! თუ ვართ, მაშინ ნურარც პრეტენზია გვექნება რამეზე...

**ზურაბ ცუცქირიძე**

## კატალონია 18 თვეში გეგმავს დამოუკიდებლობას

**კატალონიის ლიდერმა არტურ მასმა განაცხადა, რომ ის გეგმავს ვადამდელ არჩევნებს, რათა ესპანეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადოს. მისი თქმით, ვადამდელი არჩევნები რეგიონის დამოუკიდებლობის პლებისციტის ტოლფასი იქნება.** მან ვადამდელი არჩევნები კატალონიელთა მიერ ეკზისტენციალურ საკითხზე აზრის გამოხატვის „ერთდერთ საშუალებად“ მიიჩნია. მასმა არჩევნების მიზნად 18 თვის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაფუძნება გამოაცხადა. არჩევნების კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით არ დასახელებულა.



## პამელა ანდერსონი პოლიტიკაში მიდის

**47 წლის პამელა ანდერსონი პოლიტიკაში მიდის. ამერიკელმა მსახიობმა და ფოტომოდელმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საყვარელი ძაღლი გარდაეცვალა.** ანდერსონის მეგობარმა განაცხადა, რომ პამელამ გადაწყვიტა, ცხოველებს დაეხმაროს არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით. პემი მიხვდა, რომ სურს, დაეხმაროს ხალხს და განსაკუთრებით ცხოველებს, არამხოლოდ სიტყვით, არამედ საქმითაც. ამჟამად პემის ცხოვრებაში სიმშვიდეა — საყვარელი ძაღლის, ჯოს, სიკვდილის შემდეგ გამოკეთდა, სულიერად გამოიღვიძა და გადაწყვიტა, ხელი მოჰკიდოს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შიმშილი, საღამოს 6 საათის შემდეგ არაფრის ჭამა, რაციონიდან მხოლოდ პურ-ფუნთუშეულისა და ტკბილეულის ამოღება არ არის დიეტა. დიეტა ნიშნავს სწორ, ჯანსაღ, რაციონალურ და დაბალანსებულ კვებას.**

# ყველაფერი სიმსუქნის წინააღმდეგ



**სიმსუქნის მკურნალობა და სხეულის ნორმალური წონის აღდგენა აუცილებელია ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ჯანმრთელობის პრობლემათა რისკის შესამცირებლად. ეს მხოლოდ ესთეტიკისა და გემოვნების საკითხი კი არა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. და ვინაიდან სიმსუქნე მაინც ავადმყოფობად მიიჩნევა, მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობა მედიკოსებთან და მათი მითითებების შესრულება.**



წესისამებრ, სიმსუქნეს ენდოკრინოლოგები მკურნალობენ.

მკურნალობის დაწყებამდე აუცილებელია რამდენიმე ანალიზის ჩატარება, რათა განისაზღვროს პაციენტის ჰორმონული ფონი, კერძოდ, ესტროგენებისა და პროჟესტერონის კონცენტრაცია. დასადგენია მათი შეფარდების დონეც.

**ჰორმონული მიზეზებით გამოწვეული სიმსუქნის განვითარებისთვის სასქესო ჰორმონთა გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების კონცენტრაციის განსაზღვრასაც, რადგან ისინი ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე, მათ შორის — ცხიმების ცვლაზეც ზემოქმედებს.** ორგანიზმში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების უკმარისობისას სუსტდება ნივთიერებათა ცვლის შესაბამისი რგოლი. შედეგად, სისხლის პლაზმაში ქოლესტერინისა და სხვა ლიპიდების რაოდენობა მატულობს.

**ჰორმონული სიმსუქნის განვითარებაში მნიშვნელობა ენიჭება ზრდის (სომატოტროპული) ჰორმონის დონესაც, ამიტომ სიმსუქნის მკურნალობისას აუცილებელია სომატოტროპული ჰორმონის კონცენტრაციის განსაზღვრაც.**

თანამედროვე რეკომენდაციების თანახმად, მთავარია, პირველი 6 თვის განმავლობაში სხეულის მასის შემცირება წონის 5-10%-ით.

დადგენილია, რომ ადამიანის ჯანმრთელობა გაუმჯობესებას იწყებს წონის 5-15%-ით შემცირების შემდეგ. რეკომენდებულია, **წონის კლება ნელი და განუწყვეტელი რომ იყოს, პაციენტი კვირაში 0,5-1 კილოგრამს უნდა კარგავდეს, რადგან საკვების მკვეთრი შეზღუდვისა და წონის უეცარი კლებისას ძალიან მცირეა ალბათობა, რომ პაციენტი მიღწეულ შედეგს დიდხანს შეინარჩუნებს.**

დღეს წონის შესამცირებლად რეკომენდებულია დიეტა, ფიზიკური აქტიურობის გაზრდა და ვარჯიში, ცხოვრების წესის შეცვლა, მედიკამენტები და ქირურგიული ჩარევაც კი. რა თქმა უნდა, ბოლო ორი მეთოდი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება.

სიმსუქნის მკურნალობა ეფექტურად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მკურნალობის შერჩეული მეთოდიკა უზრუნველყოფს შედეგის შენარჩუნებას ორი წლის მანძილზე მაინც. მკურნალობის მეთოდიკა და მიდგომა მკვეთრად ინდივიდუალური და მოქნილი უნდა იყოს. სხეულის მასის 5-10%-ით შემცირება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დისლიპიდემიის (სისხლში ლიპიდების მატების), შაქრიანი დიაბეტისა და არტერიული ჰიპერტენზიის მიმდინარეობას. სწორედ ეს არის სხეულის მასის შემცირების საწყისი მიზანი. ამასთან ერთად, უნდა მოხდეს სხვა თანმდევი დაავადებების მკურნალობაც.

პირველ რიგში, აუცილებელია ცხოვრების სტილის შეცვლა, რაც თავისთავად გულისხმობს კვების, ფიზიკური აქტივობისა და ქცევის ცვლილებას.

არსებობს სიმსუქნის დიეტური მკურნალობის სხვადასხვა მეთოდი. არჩევანს ექიმი პაციენტის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით აკეთებს, თუმცა პრინციპი ერთია: მიღებული კალორიების შემცირება. კალორიების შემცირება კი ნაკლებად კალორიული საკვებით, საკვების ოდენობისა და ულუფების შემცირებით არის შესაძლებელი.

**იმ შემთხვევაში, როცა გარკვეული მოსაზრებით აუცილებელია წონის სწრაფი დაქვეითება, შეიძლება დაინიშნოს ეგრეთ წოდებული განტვირთვის დღეები, მაგრამ გადაწყვეტილება ამის თაობაზეც ექიმმა უნდა მიიღოს. მნიშვნელოვანია, პაციენტი პერიოდულად კი არ იცავდეს დიეტას, არამედ ზოგადად გამოიმუშაოს ჯანსაღი კვების ჩვევა, რათა დაკარგული კილოგრამები უეცრად არ აღიდგინოს.**

**წონის კლება ნელი და განუწყვეტელი რომ იყოს, პაციენტი კვირაში 0,5-1 კილოგრამს უნდა კარგავდეს, რადგან საკვების მკვეთრი შეზღუდვისა და წონის უეცარი კლებისას ძალიან მცირეა ალბათობა, რომ პაციენტი მიღწეულ შედეგს დიდხანს შეინარჩუნებს**



შიმშილი, საღამოს 6 საათის შემდეგ არაფრის ჭამა, რაციონიდან მხოლოდ პურ-ფუნთუშეულისა და ტკბილეულის ამოღება არ არის დიეტა. დიეტა ნიშნავს სწორ, ჯანსაღ, რაციონალურ და დაბალანსებულ კვებას.

ცხადია, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ კვების რეჟიმს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმსუქნე ქრონიკულ დაავადებად იქცა, წონის კორექცია, ფაქტობრივად, მთელი სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს. მკურნალობა არ უნდა იყოს წყვეტილი, ხანმოკლე. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკლებულ წონას ისევ მოვიმატებთ.

სხეულის მასის შემცირების ყველაზე ეფექტიანი მეთოდი დიეტაა.

**დიეტა ბერძნული სიტყვაა და „ცხოვრების წესს" ნიშნავს. ის სწორი კვებითი ჩვევების ჩამოყალიბებას, ცხოვრების ძველი წესის შეცვლას გულისხმობს. დიეტა სწორ, რაციონალურ, ჯანსაღ და დაბალანსებულ კვებასთანაცაა გაიგივებული.**

დიეტა თითოეული ადამიანისთვის ინდივიდუალურად და კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე უნდა იყოს შედგენილი. უნივერსალური დიეტა, რომელიც ყველა ადამიანს ერთნაირად დააკლებინებს წონას, არ არსებობს. ნებისმიერ შემთხვევაში, რაციონში გათვალისწინებული უნდა იყოს მიკროელემენტებისა და ამინომჟავების ის რაოდენობა, რომელიც კონკრეტული ადამიანისთვის აუცილებელია. დიეტის თვითნებურად შერჩევას არა ერთი დარღვევა მოსდევს თან.

სასურველია, საკვები დღეში 5 მიღებაზე იქნეს გადანაწილებული. კარგია სრულფასოვანი საუზმე, სადილისა და ვახშმის შუალედში კი ხილის მირთმევა. კალორიული საკვების მიღება რეკომენდებულია დღის პირველ ნახევარში, რათა დღის ბოლომდე მიღებული ენერგიის დახარჯვა მოესწროს.

სამკურნალო კვება გულისხმობს:

დაბალი ენერგეტიკული ღირებულების საკვებს;

*ნახშირწყლების, განსაკუთრებით ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლების, შეზღუდვას, რადგან ისინი ორგანიზმში მარტივად გარდაიქმნება ცხიმად;

*ცხოველური ცხიმების შეზღუდვას და რაციონში მცენარეული ცხიმების ჩართვას;

*სიმაძღრის განცდის განვითარებას კვების რაციონში დაბალკალორიული და დიდი მოცულობის საკვების ჩართვით. ესენია: უმი ბოსტნეული, ხილი და სხვ.;

*მრავალჯერად კვებას (5-4 ჯერ);

*სითხის 1-1,5 ლიტრამდე გაზრდას და მარილის 5 გრამამდე შეზღუდვას;

*საკვები სანელებლების შეზღუდვას.

*სამკურნალო დიეტის დანიშვნისას პირველად ინიშნება დიეტა, რომელიც 1750-1800 კკალ მოიცავს.

**სამკურნალო დიეტის დაცვა ადამიანს საშუალებას აძლევს, ფსიქოლოგიური დისკომფორტის გარეშე, ორგანიზმისთვის ზიანის მიუყენებლად, ხელმისაწვდომი საკვები პროდუქტებით, ნორმალური ფიზიოლოგიური კვებით არეგულიროს საკუთარი წონა, ანუ კვება თავის ენერგეტიკულ დანახარჯებს შეუფარდოს. ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გაგრძელდეს.**

**გაითვალისწინეთ! დადგენილი ნორმა ადამიანს რომ ცხოვრების წესად ექცეს, 1,5 წელია საჭირო.**

სხვათა შორის, კვების რეჟიმის კორექციის გარდა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ტარდება ელექტროსტიმულაციის მეთოდზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც ყურის ნიჟარაზე არსებულ ცდომილ ნერვსა და შენმანის წერტილზე (რელაქსაციის წერტილი) ერთდროული ზემოქმედებით ითრგუნება მადა. შედეგად ძლიერდება სეროტონინის სეკრეცია, რაც სიმაძღრის შეგრძნების ჩამოყალიბებას განაპირობებს. ინდივიდუალურად შედგენილი დიეტისა და ამ პროცედურის ურთიერთშეხამება სასურველ შედეგს იძლევა.

**ეცადეთ, ნელა ჭამოთ. ხშირად ადამიანები სწრაფად ჭამენ, მიუხედავად იმისა, რომ არსად ეჩქარებათ. ნელა ჭამისას ორგანიზმი უკეთესად ამუშავებს მიღებულ საკვებს. დადგენილია, რომ ნელა ჭამა წონის შესანარჩუნებლადაც უკეთესია. როცა ნელა ვჭამთ, გარდა იმისა, რომ საჭმელი უკეთ გვერგება, უფრო მალე ვნაყრდებით, ხოლო სწრაფად ჭამისას შიმშილის განცდა გვიან გვიქრება, რადგან ასეთ შემთხვევაში კუჭი ვერ ასწრებს, ტვინს სიგნალი დროულად მიაწოდოს და ადამიანი ზედმეტს ჭამს.** შედეგად გვიჩნდება სიმძიმის შეგრძნება და ორგანიზმს უჭირს მიღებული საკვების გადამუშავება.

**შეარჩიეთ სწორი დრო. უკეთესი იქნება, თუ თქვენი ყოველდღიური კვების რეჟიმი მკაცრად გექნებათ განსაზღვრული. დღეში ხუთჯერადი კვება (08:00; 12:00; 15:00; 18:00; 21:00;) ყველაზე მისაღები განაწილებაა ჯანმრთელი ორგანიზმისთვის.**

თუ დიეტაზე ხართ და სა- ▶



**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა 60%-ით ცხოვრების წესსა და კვების სისტემაზეა დამოკიდებული, 15%-ით — მემკვიდრეობით ფაქტორებზე, 15%-ით — გარემოზე და მხოლოდ 10%-ით — ჯანდაცვაზე.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ღამოობით ჭამას ერიდებით, შეგიძლიათ 21:00-ზე აღარ ივახშმოთ, ოღონდ ეცადეთ, დილით და შუადღით უკეთ დანაყრდეთ.

მიიღეთ რაც შეიძლება ბევრი ნახშირწყლები. ისინი ენერგიას შეგმატებთ. ამისათვის კარგი იქნება, თუ შეძლებისდაგვარად გაზრდით თქვენს რაციონში ბოსტნეულის რაოდენობას და შეამცირებთ შაქარს.

**საუზმე არ გამოტოვოთ. ის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სადილი ან ვახშამი. იგი განწყობაზე და აზროვნების უნარზეც დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა, ცნობილია, რომ, ვინც რეგულარულად საუზმობს, სიმსუქნის პრობლემა ნაკლებად აწუხებს.**

ხილი ყოველთვის ჭამის წინ მიიღეთ. დღეს გავრცელებული კულტურაა ჭამის შემდეგ დესერტად ხილის დაყოლება, მაგრამ ეს არასწორია. იმისათვის, რომ ორგანიზმმა ხილის კარგი თვისებები გამოიყენოს, იგი ცარიელ კუჭზე ან ჭამიდან არაუმცირეს 3 საათის შემდეგ უნდა მივიღოთ. მას შემდეგ, რაც ხილს მიირთმევთ, ნახევარსაათიანი შუალედი სრულიად საკმარისია საკვების მისაღებად.

**თუ წყალს მალ-მალე დალევთ, ზედმეტი წონის პრობლემა არ შეგაწუხებთ. თუმცა, დროითი შუალედების დაცვა მაინც მნიშვნელოვანია.** შუა ჭამაში წყლის სმა ან ჭამის შემდეგ დაყოლება მაინც და მაინც სასურველი არ არის.

**მოერიდეთ საკვებ დანამატებს — ჯანმრთელობაზე დამანგრევლად მოქმედებს.** ეცადეთ, ნაკლებად ჩაიტკბარუნოთ პირი სხვადასხვა ტკბილეულით, კარამელებით, საღეჭი რეზინით.

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა და ჯანმრთელობა 60%-ით ცხოვრების წესსა და კვების სისტემაზეა დამოკიდებული, 15%-ით — მემკვიდრეობით ფაქტორებზე, 15%-ით — გარემოზე და მხოლოდ 10%-ით — ჯანდაცვაზე.**

ადამიანი გამუდმებით ასრულებს სამუშაოს. მუშაობა მხოლოდ ფიზიკური ან გონებრივი ძალისხმევა კი არ არის, არამედ თავად ორგანიზმის ცხოველმყოფელობაც.

კვება ორგანიზმის მიერ საკვები ნივთიერებების მიღების, მონელების, შეწოვისა და ათვისების რთული პროცესია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ენერგეტიკული დანახარჯის აღსადგენად, უჯრედებისა და ქსოვილების განახლებისა და მათი ფუნქციის რეგულაციისთვის, ამიტომ ორგანიზმმა უნდა მიიღოს აუცილებელი საკვები ოპტიმალური რაოდენობით საჭირო დროს.

სწორი რაციონალური კვება ორგანიზმის ყველა სისტემის ნორმალური ფუნქციობის საწინდარია. ორგანიზმისთვის საჭირო ენერგია საკვებიდან მოდის. მიიჩნევა, რომ თანამედროვე ადამიანი დღე-ღამეში დაახლოებით 2200 კილოკალორიას ხარჯავს. ეს რიცხვი იზრდება, როდესაც ადამიანი მისდევს სპორტს ან ეწევა მძიმე ფიზიკურ შრომას, მცირდება, თუ მისდევს მჯდომარე ცხოვრების წესს.

მნიშვნელოვანია არამარტო კალორიების ჯამი. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, რომელი ჯგუფის საკვები ნივთიერებებისგან მივიღებთ კალორიებს. ნორმალური ცხოველმყოფელობისთვის აუცილებელია ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, ასევე ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების გარკვეული თანაფარდობა. იდეალურ შემთხვევაში, **ცილები უნდა შეადგენდეს საერთო კალორიულობის დაახლოებით 12%-ს, ცხიმები — 30-35%-ს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ზრდასრულ ადამიანს, რომელიც ეწევა მსუბუქ ფიზიკურ შრომას, სჭირდება 80-90 გრამი ცილა, 100-105 გრამი ცხიმი და 360-400 გრამი ნახშირწყლები, ჯამში — დაახლოებით 2750-2800 კილოკალორია.**

ამქვეყნად არ არსებობს პროდუქტი, რომელიც შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ ყველა კომპონენტს (გარდა დედის რძისა, რომელიც მხოლოდ ახალშობილებისთვისაა განკუთვნილი), ორგანიზმი ყველა აუცილებელ ნივთიერებას სხვადასხვა პროდუქტის კომბინაციით იღებს, ამიტომაც არის საჭირო მრავალფეროვანი კვება.

ჯანსაღი კვების პირველი კანონია სწორი თანაფარდობა მიღებულ კალორიებსა და ორგანიზმის მიერ დახარჯულ ენერგიას შორის. ჯანსაღი კვების მეორე კანონია ადამიანის სადღეღამისო რაციონის ქიმიური შემადგენლობის შესატყვისობა საკვებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებასთან.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ **სიმსუქნის მკურნალობის აუცილებელი კომპონენტია ფიზიკური აქტივობის გაზრდა და ვარჯიში. ცნობილია, რომ იმ პაციენტთა დიდი ნაწილი, რომლებიც მიღწეული წონის შენარჩუნებას ახერხებენ, არა მარტო ფეხით დადიან, არამედ რეგულარულადაც ვარჯიშობენ.**

ვარჯიშის მიზანი საკვებიდან მიღებულზე უფრო მეტი კალორიის დახარჯვაა. შედეგი უშუალოდ არის დამოკიდებული ვარჯიშის სიხშირეზე, ხანგრძლივობასა და ინტენსივობაზე. ცხიმის კარგვას ხელს უწყობს რეგულარული აერობული ვარჯიში — სიარული, ველოსიპედის ტარება, კიბეზე ასვლა, ცურვა.

სპორტის საშუალებით სასურველი შედეგი მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც ვარჯიში არის ზომიერი, თანმიმდევრული, სისტემატური და ხანგრძლივი.

სპორტული მედიცინის ამერიკის კოლეჯის რეკომენდაციის თანახმად, მსუქნები კვირაში, სულ ცოტა, 150 წუთის განმავლობაში უნდა ასრულებდნენ საშუალო ინტენსივობის დატვირთვას, რათა თავიდან აიცილონ წონის შემდგომი მატება ან ზომიერად დაიკლონ, ხოლო წონის მნიშვნელოვანი კლებისთვის ვარჯიშის ხანგრძლივობა კვირაში 250-300 წუთი უნდა იყოს.

რა თქმა უნდა, ვარჯიშის ინტენსივობა თანდათან უნდა იზრდებოდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ერთბაშად დიდმა დატვირთვამ, შესაძლოა, საბედისწერო შედეგამდე მიგვიყვანოს, განსაკუთრებით ჭარბწონიანობის შემთხვევაში. შეიძლება ვივარჯიშოთ დღეში რამდენიმეჯერ, 5-5 წუთის განმავლობაში.



## სიმსუქნის მკურნალობის აუცილებელი კომპონენტია ფიზიკური აქტივობის გაზრდა და ვარჯიში. ცნობილია, რომ იმ პაციენტთა დიდი ნაწილი, რომლებიც მიღწეული წონის შენარჩუნებას ახერხებენ, არა მარტო ფეხით დადიან, არამედ რეგულარულადაც ვარჯიშობენ



**ვარჯიშთან ერთად მნიშვნელოვანია ყოველდღიური ფიზიკური აქტივობის ზრდაც. ცნობილია, რომ დღეში 7000 ნაბიჯის გადადგმა იცავს ადამიანს გასუქებისგან, ხოლო 10 000 — წონაში კლებას იწვევს. ჭარბი პურის კალორიულობის გასანეიტრალებლად ადამიანმა, სულ ცოტა, 45-50 წუთი უნდა იაროს, ნახევარი კგ ცხიმის დასაკარგად უნდა გაიაროს 232 კმ ან ირბინოს 69 კმ.**

არის შემთხვევები, როცა სიმსუქნის სამკურნალოდ ინიშნება სპეციალური პრეპარატები. ყველა პაციენტმა უნდა იცოდეს, რომ ისინი არ ცვლიან დიეტასა და ფიზიკურ აქტივობას, პირიქით, მხოლოდ მათთან ერთად გვაძლევს შედეგს. თანაც ასეთი საშუალებების მიღების შესახებ გადაწყვეტილება მხოლოდ ექიმმა შეიძლება მიიღოს.

გასახდომად გამოიყენება ცენტრალური და პერიფერიული მოქმედების პრეპარატები, ანტიდეპრესანტები და მადის დამაქვეითებლები, რომელთა მიღებაც სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობით არ შეიძლება. პრეპარატები დიეტასთან ერთად ინიშნება.

გაუმართლებელია გახდომის მიზნით შარდმდენების მიღება, როცა სხეულის მასა სითხის ძალისმიერი მეთოდით გამოდევნის ხარჯზე იკლებს. სამედიცინო თვალსაზრისით, ეს სრულიად დაუშვებელია. ასეთი გზით დაკარგული წონა 1-2 დღეში აღდგება.

ჩვეულებრივ, მედიკამენტები ინიშნება მაშინ, როცა სხვა მეთოდები უეფექტოა, სხეულის მასის ინდექსი 27-ზე მაღალია და ამავე დროს პაციენტს აქვს შაქრიანი დიაბეტი, მაღალი წნევა ან ძილის აპნოე.

სიმსუქნის მედიკამენტური მკურნალობისას აუცილებელია მკაცრი სამედიცინო კონტროლი.

სიმსუქნის დროს თავის ტვინში შეინიშნება ერთ-ერთი ნივთიერების — **სეროტონინის** კონცენტრაციის შემცირება. ამისთვის შექმნილია პრეპარატები, რომლებიც ტვინში სეროტონინის კონცენტრაციის მატებას განაპირობებს. არსებობს პრეპარატები, რომლებიც მადის დაქვეითებასა და მცირე რაოდენობით საკვების მიღების შემდეგ სიმაძღრის გრძნობას იწვევს. შექმნილია ასევე სხვადასხვა პრეპარატები, რომელთა მოქმედება ორგანიზმზე განსხვავებულია, მიზანი კი ერთი — სხეულის მასის დაკლება.

**ზოგჯერ სიმსუქნის სამკურნალოდ ქირურგიულ მეთოდებსაც მიმართავენ. ასეთი ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებას უმეტესად მაშინ იღებენ, როცა სხეულის მასის ინდექსი 40 და მეტია.**

ოპერაციას, რომელიც მიმართულია ჭარბწონიანობის, ანუ სიმსუქნის საკორექციოდ, ბარიატრიულს უწოდებენ. სიტყვა „ბარიატრია" სწორედ ჭარბი წონის მკურნალობას ნიშნავს. პირველი ბარიატრიული ოპერაციები ოთხმოციანი წლების დასაწყისში განხორციელდა, მათ შორის — საქართველოშიც, მაგრამ ვინაიდან ეს ოპერაციები მეტად ტრავმული და ადამიანისთვის, მით უმეტეს ჭარბწონიანისთვის, ძნელად გადასატანი იყო, ისინი რამდენიმე ხნით მიივიწყეს. ლაპაროსკოპიის განვითარებამ ეს თემა ისევ წამოსწია წინ.

არსებობს ოპერაციის ორი ძირითადი ტიპი: მალაბსორბციული და რესტრიქციული. ტარდება აგრეთვე, კომბინირებული — მალაბსორბციულ-რესტრიქციული ოპერაციებიც. მალაბსორბციული ოპერაციების დროს ნაკლებად ზღუდავენ საკვების ოდენობას, მაგრამ იზღუდება მისი შეწოვის მექანიზმები. მეორე ტიპის ოპერაციების დროს შეწოვის მექანიზმი პრაქტიკულად იგივე რჩება, მაგრამ იზღუდება საკვების ოდენობა. შერეული ტიპის ოპერაციების დროს კი ხდება საკვების მომნელებელი ტრაქტის იმგვარად გადაკეთება, რომ იზღუდება საკვების ოდენობაც და ყალიბდება მალაბსორბციაც. ამ შემთხვევაში ლაპარაკია კონტროლირებად მალაბსორბციაზე, იმის მიხედვით, რა ჭარბ წონასთან გვაქვს საქმე.

მაგალითად, პაციენტი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია სიცოცხლე „კოკა-კოლას", ლუდის, ტკბილეულის, ნაყინის გარეშე, რესტრიქციული ტიპის ოპერაციით გრამსაც ვერ მოიკლებს. ასეთ დროს უნდა გაკეთდეს მალაბსორბციული ოპერაცია. საზოგადოდ, როცა პაციენტს დიეტის გაგონებაც არ უნდა, რესტრიქციული ოპერაციის გაკეთება სრული უაზრობაა, რადგან, ჯერ ერთი, პაციენტი მუდმივი ღებინებით დაიტანჯავს თავს და მეორე — კუჭის ბანდაჟს, კუჭზე დადებულ რგოლს გააფუჭებს. არსებობს კიდევ ერთი, ურთულესი ოპერაცია: ბილიოპანკრეატიული დივერსია, ანუ გარდაქმნა. ეს არის ღრმად მალაბსორბციული ოპერაცია, რომელიც ძნელი გადასატანია და მხოლოდ ისეთ პაციენტებს უკეთდებათ, რომელთა მასის ინდექსი 65-70 და მეტია, ანუ 250 კგ-ზე მეტი წონის ადამიანებს.

კუჭის ბალონირება ზღუდავს მიღებული საკვების რაოდენობას, მაგრამ ეს არის არა ქირურგიული, არამედ ენდოსკოპიური პროცედურა. კუჭში გასტროსკოპის საშუალებით შეჰყავთ ეგრეთ წოდებული ბალონი — **სპეციალური ბუშტი**, რომელშიც შედის სითხე. სითხე შეფერილია, რათა, თუ ბალონი გასკდა, შარდი შეიფეროს და მივხვდეთ, რომ ბალონი გახეთქილია. ეს მოწყობილობა კუჭის დაახლოებით ორ მესამედს იკავებს. იგი ოთხიდან ექვს თვემდე რჩება ორგანიზმში, შემდეგ აუცილებლად უნდა ამოვიღოთ.

მსოფლიო სტატისტიკით, ნაოპერაციებთა დაახლოებით 15%-ს 4-5 წლის შემდეგ ბანდაჟი, რომელიც მთელი ცხოვრება უნდა ედოს, ამოსაღები უხდება. ასეთივეა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ვერ ეგუებიან კვებითი ქცევის შეცვლას ოპერაციული გზით — ისინი ისევ იმატებენ წონას. წონის მომატების ერთ-ერთი მიზეზი არასწორად შერჩეული ოპერაციაა. მეორე — ბანდაჟირების დროს, წესისამებრ, დაკლებული წონის 30-50% უკან ბრუნდება. ვთქვათ, თუ ადამიანმა დაიკლო 40 კილოგრამი, 5 წლის შემდეგ 20 კილოგრამს ისევ მოიმატებს. ხაზოვანი რეზექციის დროს ხდება დაახლოებით 10-15%-ის მომატება. რაც შეეხება შუნტირებას, აქ ბრუნდება დაახლოებით 5%, მაქსიმუმ 10%. ეს იმიტომ, რომ ორგანიზმი ეგუება ახალ ფიზიოლოგიას, შემდეგ წყდება კონტაქტი პაციენტსა და დიეტოლოგს შორის და პაციენტი თვითონ იწყებს საკუთარი კვების რეგულირებას.

სამწუხაროდ, **დაკარგული კილოგრამების აღდგენა ხშირია სიმსუქნის მკურნალობის ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემდეგ. ამის გათვალისწინებით, პაციენტი წინასწარ უნდა განეწყოს საიმისოდ, რომ სიმსუქნის მკურნალობა იდეალური წონის მიღწევით არ მთავრდება.**

წონის დაკლების შემდეგ მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად საჭიროა რამდენიმე მარტივი წესის დაცვა:

მუდმივად უნდა კონტროლდებოდეს კვების ყოველდღიური რეჟიმი, ადამიანი უნდა გადავიდეს დაბალანსებულ, რაციონალურ კვებაზე და, რაც მთავარია, შეიზღუდოს ცხიმები. რაციონი უნდა შეიცავდეს საჭირო რაოდენობით ხილს, ბოსტნეულსა და მარცვლოვნებს. ბოსტნეულისა და დაბალკალორიული ხილის რაოდენობა არ იზღუდება.

აუცილებელია არაერთგვაროვანი, მრავალფეროვანი სურსათით კვება. იკრძალება ისეთი საკვების მიღება, რომლის 100 გრამი 3 გრამზე მეტ ცხიმს შეიცავს.

**გაითვალისწინეთ! რეკომენდებული არ არის კვირაში ორ კილოგრამზე მეტის დაკლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმი ამას ე. წ. ჰიპოფიზური პასუხით დაგიბრუნებთ უკან — დიეტის შემდეგ ძალზე სწრაფად აღდება დაკლებული კილოგრამები. სიმსუქნე ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა. მსუქანმა ადამიანმა საკუთარი წონა მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა აკონტროლოს.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შავ ზღვაში ყველაზე შხამიანი თევზი აღმოაჩინეს

**სევასტოპოლელმა მებადურებმა შავი ზღვის წყლებში ორი ფუგუს თევზი დაიჭირეს.** სამხრეთის ზღვების ბიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკის — ალექსანდრ ბოლტაჩოვის თქმით, მსგავსი შემთხვევა აქამდე არასდროს დაფიქსირებულა. პროფესორის განცხადებით, თევზებმა მებადურების ყურადღება უჩვეულო ფორმით მიიპყრეს. შეგახსენებთ, რომ თევზი ფუგუ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ ყველაზე შხამიან თევზად ითვლება. ამის მიუხედავად, იაპონიაში, ყოველწლიურად ათასობით ადამიანი მიირთმევს მისგან დამზადებულ საკვებს, რომელიც სპეციალური წესების მიხედვით მზადდება. მომზადების წესის დარღვევის შემთხვევაში, შედეგები, შესაძლოა, ფატალური აღმოჩნდეს.



## შიშველი ქურდი პატარძალი

**ხორვატიის პოლიცია ეძებს ოთხ გოგონას, რომლებმაც საქორწინო კაბების სალონიდან კაბები მოიპარეს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, პოლიციას განცხადებით სალონის 34 წლის მფლობელმა მიმართა.**

ქალბატონის თქმით, ხუთშაბათს დაახლოებით, 17:00-ზე სალონში პატარძალი მივიდა, რომელსაც თან სამი მეგობარი ახლდა. გოგონამ კაბების მოსინჯვა დაიწყო და ყვებოდა ისტორიას, რომ მალე ქორწილი უნდა ჰქონოდა. სანამ პატარძალი საქორწილო ისტორიებით მაღაზიის პერსონალის გართობას ცდილობდა, მისმა მეგობრებმა რამდენიმე კაბას მოჰკიდეს ხელი და ქუჩაში გაიქცნენ.

ამის შემდეგ საცვლების amara დარჩენილი პატარძალიც ფანჯრიდან გადახტა და მათთან ერთად გაიქცა. მეპატრონის თქმით, ბოროტმოქმედები უზრუნველყოფილი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.



# 2080 წლისთვის ტელეპორტაცია შესაძლებელი იქნება

**ინჟინერიაზე, მედიცინასა და ბიზნესზე სპეციალიზებული ლონდონის საიმპერატორო კოლეჯის მეცნიერთა აზრით, უკვე ჩვენს ასწლეულში ტელეპორტაცია და უჩინმაჩინის მანტიები სრულიად რეალური გახდება.**

კერძოდ, დროში მოგზაურობა შესაძლებელი იქნება უკვე 2100 წლისთვის, ხოლო ტელეპორტაცია ჩვეულებრივ მოვლენად 2080 წელს იქცევა.

„არ არსებობს არავითარი ფუნდამენტური კანონი, რომელიც ამტკიცებს, რომ ტელეპორტაცია შეუძლებელია. თუკი გავითვალისწინებთ თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარების ტემპებს, ტელეპორტაცია ხელმისაწვდომი უკვე 2080 წლისთვის იქნება. ადამიანის ტელეპორტირება ძალიან რთული იქნება და ეს ფიზიკოსების საქმეა. მაგრამ, შესაძლოა, ფიზიკასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში გაკეთებულმა აღმოჩენებმა ეს პროცესი უფრო დააჩქარონ“, — აცხადებს მეცნიერებათა დოქტორი მერი ჟაკლინ რომერო. EngineeringUK-ის ხელმძღვანელი პოლ ჯექსონი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა თაობები შეძლებენ, სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმებში არსებული ატრიბუტები რეალურ ცხოვრებაშიც გამოიყენონ. ჯექსონის თქმით, საჭიროა იმ მეცნიერებისა და ინჟინრების მხარდაჭერა, რომლებიც მსგავს საქმეებზე მუშაობენ.



# რძე სიკვდილს იწვევს?

**შვედმა მკვლევარებმა 20-წლიანი დაკვირვების შედეგად დაასკვნეს, რომ რძის მოხმარება ჯანმრთელობისთვის საზიანოა. მედიკოსები ცდილობდნენ, გამოეკვლიათ, რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე კალცი, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ძროხის რძე.**



დაკვირვების შედეგად გაირკვა, რომ სარგებელი ძროხის რძისგან არც თუ ისე დიდია. აღმოჩნდა, რომ ძროხის რძე, შესაძლოა, ნაადრევი სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს. მეცნიერებმა გამოკვლევები 45000 მამაკაცსა და 61000 ქალზე ჩაატარეს. როგორც აღმოჩნდა, ის ადამიანები, რომლებიც დღეში სამ ჭიქა რძეს მოიხმარდნენ, ორჯერ უფრო ხშირად კვდებოდნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც 1 ჭიქა რძეს სვამდნენ ან საერთოდ არ მოიხმარდნენ ამ პროდუქტს. როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, რძეში საკმაოდ დიდი შემცველობითაა ცხიმი, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. მკვლევარებმა განმარტეს, რომ მოზრდილი ადამიანის ორგანიზმიდან არ ხდება რძეში არსებული ცხიმების გამოდევნა, რის გამოც, იგი სისხლძარღვებს ეკვრის. რძის დიდი დოზით მოხმარებამ, შეიძლება, ქოლესტერინის დონის მომატება გამოიწვიოს, რაც ინფარქტის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად ითვლება.

# მეცნიერებმა სიბერის შეჩერება მოახერხეს

**ჰარვარდისა და ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტების მკვლევართა ჯგუფმა საოცარი აღმოჩენის შესახებ განაცხადა. მეცნიერთა თქმით, მათ შეძლეს თაგვებში დაბერების პროცესის შეჩერება.**



როგორც მეცნიერებმა მოგვიანებით განმარტეს, ნატურალური პროტეინებისა და მოლეკულების მეშვეობით მათ შეძლეს, გაეთიშათ ის გენები, რომლებიც დაბერების პროცესს უზრუნველყოფენ და გააქტიურებინათ ე.წ. ახალგაზრდა გენები.

ამ დროისთვის მსგავსი ექსპერიმენტები მხოლოდ ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარდა, თუმცა, მეცნიერთა თქმით, მათ უკვე დაიწყეს კლინიკური ცდების პირველი ეტაპის ჩატარება ადამიანებზე. „ჩვენ აღმოვაჩინეთ გენები, რომლებიც აკონტროლებენ, როგორ ებრძვის სხეული დაბერების პროცესს და, თუკი სწორი აქტივირება მოხდება, მათ ძალიან ძლიერი ეფექტი აქვთ, მათ სიბერის პროცესის უკან შემობრუნებაც კი შეუძლიათ, ყოველი შემთხვევისთვის, თაგვებში მაინც“, — განაცხადა პროფესორმა დევიდ სინკლერმა, რომელიც მეცნიერთა ჯგუფს ხელმძღვანელობს.

მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ შეძლებენ NMN წამლის შექმნას, რომელიც შეაჩერებს ადამიანების უჯრედებში დაბერებას და წამოიწყებს გაახალგაზრდავების პროცესს.

# კაზუარი — ყველაზე საშიში ფრინველი დედამიწაზე



**კაზუარი ერთადერთი სახეობაა კაზუარისებრთა ჯგუფის ფრინველებიდან, რომლებსაც ფრენა არ შეუძლიათ. ეს ფრინველები ბინადრობენ ახალი გვინეის და ჩრდილო-აღმოსავლეთ ავსტრალიის ტროპიკულ ტყეებში. ფრინველის დასახელება წარმოდგება ინდონეზიური ენიდან, აქვს პაპუასური ფესვები და სიტყვასიტყვით ნიშნავს „რქებიან თავს“.**

ეს ფრინველი ძალიან ჰგავს ინდაურს. ეს, ერთი შეხედვით უწყინარი, ფრინველი რატომღაც **შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც**

**ყველაზე საშიში ფრინველი მთელ დედამიწაზე.**

ფრინველებს შორის კაზუარს სიდიდის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, სირაქლემის შემდეგ. მას ძალიან ბასრი ბრჭყალები და ნისკარტი აქვს, რაც იშვიათი არაა ფრინველებში, მაგრამ **კაზუარი გაუწონასწორებელი ფრინველია და უმიზეზოდ ესხმის ხოლმე თავს ადამიანს, ხოლო ბასრი ბრჭყალებით შეიარაღებული ორი მეტრი სიმაღლისა და 80-85 კილოგრამი წონის მრისხანე ფრინველის თავდასხმა ხშირად ადამიანისთვის სავალალოდ მთავრდება.**

კაზუარის სამთითა ფეხის შუა თითზე **ბრჭყალის სიგრძე 120 მილიმეტრს აღწევს**, რაც თავისთავად ამაზრზენი და შიშისმომგვრელია.

**ფრინველს შეუძლია განავითაროს 50 კმ/სთ სიჩქარე და ახტეს ერთნახევარ მეტრ სიმაღლეზე,** ამასთანავე კაზუარი შესანიშნავად ცურავს. ასე რომ, ადამიანზე თავდასხმის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადარჩენის შანსი ძალიან მცირეა.



ასეთი აგრესიული ხასიათის გამო ამ ფრინველის შენახვა ზოოპარკებში ძალიან რთულია. ამბობენ, რომ კაზუარის დასაჭერად უნდა გამოიყენონ ტრანკვილიზატორიანი ნემსი, შემდეგ კი გაბრუებული ფრინველის ხელში ჩასაგდებად სამი ჯანლონით სავსე მამაკაცია საჭირო.

ავსტრალიაში ჩასულ ტურისტებს გიდები ურჩევენ, თავი შორს დაიჭირონ ადგილებიდან, სადაც ეს მრისხანე და საშიში ფრინველი ბინადრობს.

## სიჩლუნგის ვირუსი

**ჯონ ჰოპკინსისა და ნებრასკას უნივერსიტეტების მკვლევარებმა შემთხვევით აღმოაჩინეს ვირუსი, რომელიც ინტელექტის კოეფიციენტზე ახდენს გავლენას. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვირუსი ადამიანის ინტელექტის მაჩვენებელს საგრძნობლად ამცირებს.** მეცნიერებმა ვირუსი ხელოვნურად შეუყვანეს თაგვებს და ამის შემდეგ მღრღნელებმა დაკარგეს იმ ლაბირინთებში ნავიგაციის უნარი, რომლებშიც მანამდე ადვილად აგნებდნენ გზას. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ვირუსი თაგვების ორგანიზმს დაეუფლა, მათი გონებრივი შესაძლებლობები რეგრესისკენ წავიდა. ჯერჯერობით უცნობია ვირუსის სახელი, წარმოშობა, არის თუ არა გადამდები და ა.შ. მკვლევარები ირწმუნებიან, რომ ამ ვირუსის გავრცელების საშიშროება არ არსებობს.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტერორისტები ელისაბედ II-ს დანით მოკვლას გეგმავდნენ



**ლონდონის პოლიციამ ოთხი მამაკაცი დააკავა, რომლებიც ელისაბედ მეორეზე თავდასხმის მცდელობაში არიან ბრალდებულები. ტერორისტები დედოფალზე თავდასხმას პირველი მსოფლიო ომის დასრულების 96-ე წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიების დროს გეგმავდნენ. ჩანაფიქრის მიხედვით, მას თავს ცივი იარაღით უნდა დასხმოდნენ.**

საბედნიეროდ, ბრიტანულმა პოლიციამ ტერაქტის თავიდან აცილება მოახერხა. საქმესთან დაკავშირებით დაკავებულები არიან 19-27 წლამდე პირები. სკოტლანდ-იარდის პოლიციის განცხადებაში ნათქვამია, რომ ახალგაზრდებს კავშირი აქვთ ისლამისტურ ტერორისტულ დაჯგუფებასთან. როგორც ცნობილია, თავდასხმა 8 ნოემბერს, სამეფო ალბერტ-ჰოლში იგეგმებოდა.



# დედამიწას საშინელი სიცხე დაატყდება თავს

**ამერიკული კოსმოსური სააგენტოს ცნობით, მომავალი წელი დედამიწის მცხოვრებთათვის ანომალიურად ცხელი იქნება.** სპეციალისტებმა დასკვნები ბოლო რამდენიმე წლის ტემპერატურულ ანალიზზე დაყრდნობით გამოიტანეს. მათი თქმით, 1880 წლიდან სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა ტემპერატურის ანომალიური მაჩვენებლები. ტემპერატურული რეკორდები დარეგისტრირდა: 1995, 1997, 1998, 2005 და 2010 წლებში. 2015 წლისთვის დედამიწის ზოგიერთ რეგიონში უპრეცენდენტოდ მაღალი ტემპერატურის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. გარდა ამისა, ამერიკული კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტების მტკიცებით, 1998 წლიდან დღემდე წლევანდელი წელი ყველაზე ცხელ წლად შეიძლება ჩაითვალოს.

# ზესწრაფი მატარებელი



**იაპონურმა სარკინიგზო კომპანია Central Japan Railway-მ ახალი მაღალსიჩქარიანი სამგზავრო მატარებლის — Shinkansen-ის გამოცდა დაიწყო.**

საგამოცდო ვადის პირველ დღეს მატარებელში იმყოფებოდა ასამდე მგზავრი, რომლებსაც პირველად მოუწიათ 500კმ/სთ სიჩქარის მატარებლით მგზავრობა. აღსანიშნავია, რომ ახალი მატარებელი, ენერგიის ხარჯვის რაოდენობის მინიმალიზაციას მაგნიტური ლევიტაციის დროს წარმოქმნილი „მაგნიტური ბალიშის“ მეშვეობით ახერხებს. ახალი მატარებელი ერთმანეთთან ტოკიოსა და ნაგოის დააკავშირებს. რკინიგზის ხაზის სიგრძე 286 კილომეტრი იქნება.

შეგახსენებთ, რომ იაპონია მაგნიტურ-ინდუქტიური ტრანსპორტის წარმოების სფეროში მსოფლიო ლიდერთა სიის სათავეში მოექცა.







# 7 წელი კორსეტით

ნიუ იორკის მცხოვრები ქალბატონი სპეციალური კორსეტის დახმარებით წელის გარშემოწერილობის შემცირებას ცდილობს, რათა მულტიპლიკაციურ გმირს, ჯესიკა რებითს, დაემსგავსოს. 27 წლის კელი ლი დიკეი ამბობს, რომ კორსეტი მას გარკვეულ უხერხულობას უქმნის — მისით სარგებლობის დროს რთულია კიბეზე ასვლა და მძიმე ნივთების გადაადგილება. **„რამდენიმეჯერ ვითამაშე ბურთით, საინტერესო გრძნობა იყო. თუმცა არასდროს დავდივარ კორსეტით სავარჯიშო დარბაზში, იმიტომ, რომ ეს ნამდვილად სახიფათოა“,** — აღნიშნავს ლი დიკეი. მიუხედავად იმისა, რომ ეს აკვიატება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა, ეს ქალბატონი მაინც აპირებს, ისარგებლოს ამ აქსესუარით.

# მოარული სამრეცხაო



**ორმა 20 წლის ავსტრალიელმა, რომლებიც პროფესიით ინჟინრები არიან, უსახლკარო ადამიანების დასახმარებლად გამოსავალი იპოვეს. მათ შექმნეს გადაადგილებადი სამრეცხაო, რომელიც უსახლკაროებს დაეხმარება, რომ მათი ტანსაცმელი მუდამ სუფთა იყოს.**

ლუკას პატჩეტმა და ნიკოლას მარჩესიმ ყველაფერი დაიწყეს ძველი მანქანითა და გენერატორით, ხოლო შემოწირულობების შეგროვების შემდეგ 2 სარეცხი მანქანა და საშრობები შეიძინეს. პროექტი ივლისში დაიწყო და უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორც მეგობრები აღნიშნავენ, მათი ფირმა კვირაში ხუთი დღის განმავლობაში ემსახურება ადამიანებს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ფულადი გასამრჯელოს გარეშე.








# ჩემპიონი და პრიზიორი

## ნიკოლოზ ანდრიაძის ახალი სპორტული მიღწევები





**ტიციან ტაბიძის შვილიშვილის და ცნობილი ექიმების შთამომავლის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, შპს „კარდიორეანიმაციური ცენტრის“ დირექტორის, მსოფლიო ჩემპიონის ახალგაზრდებს შორის რაპირით ფარიკაობაში (1963 წელს) მიღწევებს წლეულს ახალი წარმატებები შეემატა.**

ჯერ იყო გერმანიის ქალაქ ლაიფციგში მედიკოს მოფარიკავეთა ევროპის პირველობაზე მოპოვებული პირველი ადგილი. შეჯიბრების მონაწილეთა უმრავლესობას დოქტორები წარმოადგენდნენ. მედლებისთვის 10 ქვეყნის რაპირისტები იბრძოდნენ. ნიკოლოზ ანდრიაძემ ჯგუფში ორი გერმანელი — პენპელმანი (5:1), ლეიპელტი (5:2) და პოლონელი პოპრავა (5:3) დაამარცხა. მეოთხედფინალში ისევ ლეიპელტს აჯობა — 10:5, ნახევარფინალში ალემან კოლბეს 10:9 სძლია, გადამწყვეტ პაექრობაში კი ტასილ სეიდლერი (გერმანია) დაჯაბნა — 10:7 და ჩემპიონობა მოიპოვა.

ახლახან კი **უნგრეთის ქალაქ დებრეცენიდან ვეტერანი სპორტსმენი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.** ვეტერანთა შორის გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა ვეტერანმა მესამე ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნიკოლოზ ანდრიაძე საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ **ლუდვიგ ღაღანიძესთან** ვარჯიშობდა.

მედლისკენ მიმავალი გზა ბატონმა ნიკოლოზმა ჯგუფური ეტაპიდან დაიწყო, რომლის დაძლევის შემდეგ, ბრძოლა უკვე ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა. მან ჯერ იტალიელი ჯოვანი კოლომბო (10:5) დაამარცხა, რომელსაც ბრიტანელი პეტერ ბარონი (10:7) და გერმანელი ჰანს ვიზერი (10:5) მიაყოლა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც თავის უშუალო „მტერს“, რუს გარი ავთანდილოვს შეებრძოლა. ეს ის ავთანდილოვია, რომელმაც შარშან, ევროპის ჩემპიონატზეც გადაუკეტა ოქროსკენ მიმავალი გზა. როგორც **ნიკოლოზ ანდრიაძემ** ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მანამდე განაგრძობს ვარჯიშს, სანამ ავთანდილოვის „ჯავრს არ იყრის“.



## პურ-პროდუქტების მწარმოებლები პურის გაძვირებას არ ვარაუდობენ

**პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები პურზე ფასის მატებას არ ვარაუდობენ. როგორც პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარემ მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ფქვილის მარაგი არის და, შესაბამისად, ამჟამად ფასის მატება ნავარაუდევი არ არის.** „რაც იყო ფქვილის ფასი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ჯერჯერობით არ არის ნავარაუდევი ფასის მატება. 50-კილოგრამიანი ტომრის ფასი იგივეა და 36-37 ლარს შეადგენს. მარაგები არის. კონკურენციაა და ფასი სტაბილურია“, — განაცხადა დოლიძემ. მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარის — ლევან სილაგავას თქმით კი, ლარის გაუფასურებამ, რუსეთში ხორბლის გაძვირებამ და სხვა პროცესებმა ცუდად იმოქმედა, თუმცა პურის გაძვირება არ მომხდარა.



## დავით თევზაძე: ყველას დაგვცინიან!

**ადამიანების წამებაში ბრალდებულ მეგის ქარდავას ზუგდიდის სასამართლომ 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ამ ფაქტს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:**

„მეგის ქარდავას წამების საქმეზე ზუგდიდის სასამართლომ 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, კვიციანს — თორმეტი. ყველას დაგვცინიან. გიგლა აგულაშვილი ამბობს: „დემოკრატიის ოთხ პრინციპზე მაქვს მოსმენილი საინტერესო ლექცია. მომხსენებელი ამბობდა ასეთ რამეს: პირველი პრინციპია — დაიცავი შენი სამშობლო, მეორე — გადაიხადე გადასახადები, მესამე — დაამხე შენი ხელისუფლება, იგულისხმება მომენტი, თუ შენი სახელმწიფო ხდება ტირანული, უფლება გაქვს, ყველა ღონე იხმარო, მათ შორის დაამხო ის; მეოთხე — დაემორჩილე სასამართლოს“. მაგრამ რას დავარქვათ სასამართლო?

ჩვენ რომ სასამართლო გვაქვს, იმასაც დავემორჩილოთ? იქნებ სჯობს, რომ ტირანიად მივიჩნიოთ? სახელმწიფო ვერასოდეს გახდება ტირანული, თუ სასამართლო არ „მოიმარჯვა“. ასე რომ, როდესაც ამხობ ერთს, უნდა მიაყოლო მეორეც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ იმას, რაც მივიღეთ: აბუჩად აგდება“.

## საკვები პროდუქტები გაძვირდა



**როგორც სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებმა განაცხადეს, პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასებმა მოიმატა. ერთი ტომარა წიწიბურა 10-12 ლარით გაძვირდა, თუ ტომარა წიწიბურა აქამდე 25-26 ლარი ღირდა, ახლა 36-37 ლარი ღირს. გაძვირებულია ბურღულეული და შაქარი. ერთი ტომარა შაქარი 61 ლარიდან 64 ლარამდე გაძვირდა.**

10-დან 20 თეთრამდე გაძვირდა შესქელებული რძე და ახალი მისი ფასი 1,65 ლარია. ყველა დასახელების კარაქი 5-დან 10 თეთრამდე გაძვირდა. რაც შეეხება რძის სხვა პროდუქტებს, ფასი უმნიშვნელოდ შეცვლილა. სავაჭრო ობიექტებში ფასების ზრდას ლარის გაუფასურებას უკავშირებენ.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვატკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**


ვიქტორ ცაავა, როლანდ ჯალაღანია, ზაურ გახარია, ტარიელ გაგნიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უფროსი მეგობარი, სამაგალითო პიროვნება

**ლეონტი ბიწაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩევენების გარეშე.

**ტელ: 599-913-765; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## გახდომა უმადობით

რაც უნდა დაცულნი ვიყოთ სოციალურად, ქალის ცხოვრებაში არის მძიმე პერიოდები — მშობიარობა, კლიმაქსი, სტრესი და სხვ. მათთან გასამკლავებლად შინაგანი მობილიზება გვჭირდება.

სტრესის დროს კი ხშირად ირღვევა ნივთიერებათა ცვლა და იწყება წონაში მომატება.

ნაყენი, რომელსაც ქალბატონი ნუნუ გვირჩევს, ფაქტობრივად, უნიკალურია, რომლის მიღების დროს მადის დაქვეითებისა და ორგანიზმის აქტიური წმენდის ხარჯზე დაიკლებთ წონაში, თან განიკურნებით მრავალი პათოლოგიისგან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღარ მოიმატებთ და შეინარჩუნებთ წონას.

**ტელ. 599-25-11-98; 2-93-47-51**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009